К.

F909

ფარმაცია მეცნიერებაში

სსრ. საქართველოს საბჭოთა შრომლების ფედერაციის ყოველთვიური ჟურნალი

94046

წელიწადი მეხუთე

1—2

[illegible]

იანვარი-თებერვალი — 1980

ტფილისი

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

პასუხისმგებელი რედაქტორი ს ი მ ო ნ ხ უ ნ დ ა ძ ე

სარედაქციო კოლეგია
ბ. ბუაჩიძე
ვ. კოტეტიშვილი
ტიციან ტაბიძე
ლეო ქიაჩელი
ლ. ასათიანი

რაუდენ გვეტაძე

ლენინ

ვით ცისარტყელა შენი სახე ისე ანათებს
რომ სამარადით დაემკვიდროს ქვეყნად სიკეთე.
წაართვი საჭე მტარვალებსა და მუხანათებს —
გრიგალის ბადალს ბორკილები ვერ გაგიკეთეს.

იყავი მუდამ მეომარი დაუდგრომელი,
წარბშეუხრელად ორწოხები გამოიარე.
გიძგერდა გული სიყვარულით, გული რომელიც
მალამოსავით დააფინე ხალხის იარებს.

წინ მიუძღოდი ბოგანოებს და აქეზებდი —
საკუთარ სისხლით შელებილი გეჭირა დროშა.
ცხოველ იმედებს არიგებდი აქანდაზებით
რომ ბრწყინვალებით შეგეცვალა ძველი დრო შავი.

მეამბოხეებს უანდერძე ცეცხლის ლახვარი
და სასოებით გიგონებენ ამიტომ ლენინ.
რომ არ ვიხილოთ დაჩაგრულთა კვლავ ცრემლის ღვარი—
კომუნიზმამდე ბრძოლისათვის ვართ მოვალენი.

—— : ——

სანდრო ეუფლი

ორი ბელადი

დავსცქერი პორტრეტს ორი ბელადის:
ლენინი ავად, მასთან სტალინი.
პირველის სახეს არ აზის დარდი, —
აქვს ნეტარება და სულში ლხინი.
თუმცა ის იწვის და ფერფლება, —
სიკვდილი მისთვის უშიშარია,
რწმენით ხომ ყველგან დაეუფლება, —
ეს აიმედებს და უხარია.
სტალინის ლიმილს ვინ არ მიხვდება:
არ ელის სიკვდილს მთის არწივისას
განა სიკვდილი ლენინს მიწვდება?
ლრუბელი შესძლებს ჩაქრობას მზისას?
და ორი გული ისე აძგერდა,
რომ დედა-მიწა შეინძრა მაშინ, —
მზე ალარ სჩანდა და არ გათენდა —
მზე ჩაესვენა სოფელ გორკაში.
მას შემდეგ გულით ატარებს ანდერძს
დიდი ბელადის მოწაფე ლირსი
და მის წინაშე სტალინი ფიცს სდებს:
რწმენას შესწიროს სიცოცხლე თვისი.
და ექვსი წელი ვართ ულენინოთ, —
ლენინის გზას კი ჩვენ არ ავსცდებით,
ლენინელები ჩვენ ვართ და ვიყოთ!
საცა ლამეა იქ დავინთებით!
რომ სიტყვა საქმეთ გადავაქციოთ:
ვიხილოთ ის, რაც არვის უნახავს,
ყველგან წითელი დროშა ავწიოთ
და შევასრულოთ, რაც დაგვისახავს.

——— : ———

ივ. ყიფიანი

ნ. ლენინს

ფოლადის ნებით
შენ ყველასგან
განირჩეოდი,
მითი უძლოდი
პროლეტარებს
და ჩვენ დროებას,
გჯეროდა ძველ დროს
დაფერფლავდა
ცხელი ალმური,
დირიჟორობას
გაგვიწევდა
საბჭოს ყრილობა,
სისხლს გილვივებდა
ნაპერწკალი
ალმოსავლური,
ამას ღალადებს
შენი სახის
ამოჭრილობა.
იყავი მარად
შენი სიტყვის
მტკიცე სარდალი,
კამათში მკაცრი,
როგორც ომში
გმირი სპარტაკი,
იცოდი მალე
გაივლიდა
გრძელი ზამთარი,
ეხმარებოდი
გულმხურვალედ
ყველა დაჩაგრულს.

მრავალ სიბნელეთ
ამოუდე პირში
ლაგამი,
შენს შემდეგ
ბევრი ბუმბერაზი
მოსჩანს პატარად,
შენგან ყოველი
სიხარულით
ილებს მაგალითს
მწარე ცხოვრების
და ბრძოლების
გადასატანად.

——— : ———

გრიგოლ რობაქიძე

აკაკი

(ფაქტები, ფიქრები)

ორი ნიღაბი

დარჩენილია აკაკის სურათი კუბოში ჩასვენებულის. არსებობს ამგვარივე სურათი ვიქტორ ჰიუგოსი. მსგავსება ამ ორი ნიღაბის ისეთია, რომ გამორჩევა ძნელი ხდება.

უნებურ პარალელი იბადება: აკაკი და ჰიუგო.

ყოველ შემთხვევაში აკაკის იმდენივე გავლენა ჰქონდა საქართველოში, რამდენიც ჰიუგოს საფრანგეთში.

პოეტური შეპირისპირება მათი შესაძლოა მერმისმა ითავოს.

გამოსვლა მარტო სახელით

არის რაღაც ანტიური ამ გამოსვლაში. აკაკი გამოდიოდა სახელით: თავის გვარს ძვირად ახსენებდა. მთელი საქართველო მას სახელით იცნობდა უფრო. გარდა ნიჭისა აქ უთუოდ სიყვარული იმარჯვებდა. უამისოდ აკაკი ვერ „გაითქმებოდა“ ხალხში.

ბავშებმა ისიც არ ვიცოდით, თუ იგი წერეთელი იყო. ვიცოდით მხოლოდ, რომ იგი „აკაკია“: მეტი არაფერი.

ერთხელ, ქუთაისში, ვასილ ბეჟანიშვილის წიგნის მაღაზიის გვერდით მივდიოდით.

ხმა მოგვესმა: „აკაკი“.

ეს ხმა ახლაც გაისმის ყურში.

მივიხედეთ: მაღაზიიდან გამოვიდა ახოვანი კაცი. „ფეთება“ მოგვეცა, მაგრამ ადგილიდან ვერ დავიძარით.

აკაკიმ ნათელი თვალით გადმოგვხედა.

ეს გადმოხედვა ეხლაც მახსოვს.

დიდხანს ვუმზერდით მიმავალს.

მაშინ ჩვენ მისი „კრილოვის“ არაკები ვიცოდით. არ ვიცოდით მხოლოდ, რომ კრილოვი კაცი იყო და მოარაკე.

აკაკი და ბავშვი

მნიშვნელოვანია, თუ ვინ როგორ ექცევა ბავშს.

ზოგი თავს „იბავშებს“, როცა ბავშს ელაპარაკება. ზოგი „უფროსად“ რჩება, როცა ბავშთანაა, მაგრამ ავიწყდება, რომ მასთან „ბავშია“. უფრო იშვიათია მესამე ტიპი: იგი „უფროსობს“ ბავშთან, მაგრამ არ ავიწყდება, რომ მასთან „ბავშია“. აქ „უფროსი“ თითქო „იტოლებს“ ბავშს.

ბავშს ეს უფროსი უყვარს.

ასეთი იყო აკაკიც.

ეს დაყოფა კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ხდება, როცა „უფროსი“ და „ბავში“ ერთიმეორეს მარტოდ ხვდებიან, სხვების არყოფნისას. ამ შეხვედრის დროს კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ხდება მესამე ტიპის მოქცევა ბავშთან.

ერთხელ, ვერის უბანში, რომელიღაც პატარა სახლში, თავს წავესწარ აკაკის ბაასს ბავშთან. ოთახში სხვა არავინ იყო. ნაბიჯი შევანელე.

უნდა გენახათ აკაკი, თუ როგორ „იტოლებდა“ ბავშს.

უნდა გენახათ ბავშის აფრთოვანებაც.

მამა

„ბოჰემურად“ მქონდა აკაკი წარმოდგენილი. რამოდენიმეთ ასეთიც იყო. სად ჰქონდა ოჯახი, კაცმა არ იცოდა. ხან ტფილისში, ხან ქუთაისში, ხან ერთთან, ხან მეორესთან. იყო „სტუმარი“ მუდამ, სტუმარი საყვარელი. ცოლი რუსეთში ცხოვრობდა. ვაჟიც.

მე ისიც არ ვიცოდი, შვილი თუ ჰყავდა აკაკის.

ერთხელ მისი ვაჟი, ალექსი, ტფილისს ეწვია. ვნახე. გამიკვირდა: გადაგვარებული მეჩვენა. მოხრილი იყო იქ საცა მხრები კისერთან ერთმანეთს სცილდებიან. ამავე დროს თავი მაღლა ჰქონდა აწვდილი. თვალებით კარგათ ვერ იხედებოდა. ეს კიდევ უფრო ამძაფრებდა ჩემს შთაბეჭდილებას.

„უფრთხილო“ სიტყვა წამომცდა აკაკისთან — (რომ ვაჟში არ გადასულა ჯიში).

აკაკი შეირხა. არა უთქვამს რა. მხოლოდ შეირხა.

ვხედავდი: იგრძნო „ტკენა“.

კიდევ მეტი: იგრძნო „წყენაც“.

სახტად დავრჩი : ამას რაღა გამოაკეთებდა?

სმა-ჭამა კარგად შესარგი

გამეგონა: ილია ჭავჭავაძეს ყვარებოდა ჭამა. თუ აკაკისაც უყვარდა, ეს არ ვიცოდი (ვერც წარმოვიდგენდი).

ხშირად იყო სტუმრად გიგო დიასამიძესთან (აკაკი მეგობარი იყო გიგოს მამის ნიკოსი), რომელსაც საოცრად უყვარდა აკაკი.

ვისადილეთ ერთხელ (გიგომ მიმიწვია).

აკაკი სჭამდა ლომივით. გამაკვირვა: მოხუცი იყო და შეეძლო ასე „მაგრა“ ჭამა.

შემდეგ მიიძინა.

15 წუთის შემდეგ გაისმა ხვნეშა: მაგარი, ძალუმი, დევკაცის. ეს კიდევ არაფერი. ხვნეშა იყო რიტმდარღვეული. ხანდახან ისე საშინლად აიქშენდა ხოლმე, რომ „გათავდა“-თქო მეგონა.

შემეშინდა. გიგოს ვუთხარ:

„არაფერი დაემართოს, მივხედოთ“.

გიგომ თავისებურ გაიღიმა:

„არაფერია... აგრე იცის... კუჭი მოკალული აქვს“...

ა კ ა კ ი მ ა ს პ ი ნ ძ ე ლ ი

საჩხერეში მოვხვდი 1911 წელს.

აკაკიმ გამართა წვეულება. მიმიწვია.

ვნახე გადაშლილი სუფრა. გამიკვირდა: ასეთი გაწყობილი სუფრა ტფილისშიაც ძვირად მენახა.

აკაკი ყოველთვის უფულობაზე ლაპარაკობდა.

აქ კი... და მეც გულახდილი ჩავუკარი სიტყვა:

„ბატონო აკაკი! (მაშინ „ბატონობით“ იყო მიმართვა) — თქვენ სულ სილარიბეზე გვიჩივით და ეს სუფრა კი“...

არ დამითავებია. აკაკიმ ხუმრობით მომიჭრა სიტყვა:

„წერეთელი ისე არ დაღარიბდება, რომ ცხრა ცხენოსანი ვერ მიიღოს, უეცრადაც“.

ქ ა ღ ა ლ დ ი ს თ ა მ ა შ ი

მე ქალალდის თამაში არასოდეს არ მყვარებია. ამისათვის არ ვიცი, თუ როგორ თამაშობდა ქალალდს აკაკი. ყველამ იცოდა, რომ აკაკის ეს თამაში ძალიან უყვარდა.

მე შემინიშნავს მხოლოდ ერთი დეტალი:

ბევრჯერ მინახავს აკაკი კლუბიდან დაბრუნებული. მინდოდა ხოლმე მის სახეზე ამომეკითხა: წააგო თუ მოიგო.

ძნელი იყო გამოცნობა.

ფანტაზია თუ ფანტასტიკა

აკაკის დიდი ფანტაზია ჰქონდა. თანვე: ტყუილი იცოდა დიდი. რა საჭიროა ამის დაფარვა? ხოლო მის „ტყუილს“ რაღაც სხვა იერი ჰქონდა: „მოტყუება“ კი არ უნდოდა (რაიმე პირადი მიზნით). „ტყუოდა“ ისე: თითქო ჰსურდა ესიამოვნებია მობაასე. უსმენდი აკაკის და გიკვირდა მისი „ფანტაზია“. საკვირველი კიდევ ის უფრო იყო, რომ თვითონვე სჯეროდა, რასაც ლაპარაკობდა.

მახსოვს: ჩამოვარდა ლაპარაკი რუსთაველზე.

„ჩემი წერილი ხომ წაგიკითხავს რუსთველზე?“ (აკაკი ამბობდა — „რუსთველი“, ყოველთვის).

მეკითხება იგი.

„როგორ არა?!

ვაძლევს პასუხს. პაუზა.

„ალბად ილიას გარჩევაც გექნება წაკითხული, ჩემი წერილის გარჩევა!“

„წაკითხული მაქვს“.

პაუზა.

„მერე იცი რა? მე ამ პასუხის პასუხი დავწერე. ილიას აზრები დავარღვიე“.

„სადაა ეს პასუხი?“

„წარმოიდგინე: ილიამ გაიგო ეს, მივიდა სტამბაში, შეისყიდა მთელი გამოცემა, — ილია მდიდარი იყო, — და ცეცხლს მისცა“.

დაამთავრა. კილო ისეთი ჰქონდა, რომ თვითონ სწამდა ეს ამბავი.

მე გაშტერებით ვუცქერდი — (აბა, „გაშტერების“ გარდა სხვა რა არგუმენტი მოგივიდოდა“ ამ წამს?)

ეს კიდევ არაფერი.

ეს შეთხზული ამბავი მან სიტყვა-სიტყვით საჩხერეში გაიმეორა. იქაც გაშტერებით ვუცქერდი.

მხოლოდ ერთი რამ უნდა აღინიშნოს:

ეს ამბავი ორივეჯერ ისე მოჰყვა, რომ არც ერთხელ არც ერთი ხაზი ღვარძლისა მის სახეზე არ შემინიშნავს. ეს უფრო მისი ფანტაზიის „თამაში“ იყო : ისე „გათამაშებული“, რომ ბოლოს და ბოლოს თვითონაც სჯეროდა.

საქართველო და რუსთაველი

აკაკი იყო „მკილავი“. ხანდახან „მჭირდავიც“. (თუმცა, ვიმეორებ, ღვარძლი არ ჰქონია). შეეძლო ყველას გაკილვა და ყველაფრის გაჭირდვა.

მხოლოდ ერთი რამ არსებობდა მისთვის მთელ ქვეყანაზე, რომელსაც იგი ეთაყვანებოდა.

ეს იყო საქართველო. მასთან ერთად რუსთაველი.

საქართველოსადმი იგი ისე იყო განწყობილი, როგორც მიცკევიჩი, სლოვაცკი და ვისპიანსკი პოლონეთისადმი.

ეს აშკარაა მის შემოქმედებაშიც.

თუ ამ სიყვარულით გამოწვეულმა აკაკის შემოქმედებამ ვერ მიიღო დიდი გახმაურება, ეს ალბად იმის გამო, რომ მას აკლდა „ევროპა“ (ეს უნდა ითქვას) და მუდმივი პოეტური წვა (ესეც უნდა ითქვას). აკაკი ფუთკარს ჰგავდა, მხოლოდ ისეთს, რომელიც ბეჯითობას მაინცა და მაინც ვერ დაიქადის.

გარდა ამისა:

მარტოდ-მარტო „მამულის“ სიყვარულით უნივერსალურ პოეზიას ვერ შექმნი.

ეს იმთავითვე მწამდა და მითქვამს კიდეც.

ბ ე დ ნ ი ე რ ე ბ ა?

აკაკი „ბედნიერ“ კაცად ითვლებოდა.

სიბერეს არ დაუმახინჯებია მისი სახე. პირიქით: კიდევაც გალამაზა.

„წვეთის“ დაცემის შემდეგ ცალი წარბი ოდნავ მაღლა აეწია. სახეს ამან მეტი სიმკვეთრე მისცა. თავიც მაღლა ეკავა. განსაკუთრებით, როცა ქუჩაში მიდიოდა.

ჰქონდა რალაც სხვანაირი „სიმაღლე“:

თითქო საგანთა მაღლა იცქირებოდა.

ყ უ რ ი თ უ თ ვ ა ლ ი

სასტუმროში, ჩემს გვერდით, მომესმა ერთხელ აკაკის სიმღერისმსგავსი მეტვყელება, რომელშიაც ნამდვილ სიტყვას ვერ გაარჩევდი: ეს იყო თითქო ღიღინი, უსიტყვო სიმღერა. შემდეგ შევიტყე, რომ აკაკის შემოქმედების წამი ასე იწყებოდა: ჯერ მუსიკალური გულნება, როგორც შილლერი ამბობდა, და შემდგომ — „პოეტური იდეა“.

აკაკის ლექსში „ყურია“ უფრო ვიდრე „თვალი“.

მრავალი მაგალითიდან ერთი:

„ყანაო, მუშის სამოთხე, გლეხის დიდებავ ყანაო!
ცისკრის სხივებმა შეგმოსეს და ნამმა გადაგბანაო.
დაგქროლა დილის ნიავმა, ალრესით გითხრა ნანაო.
ეუეუნა წვიმამ ზედ დაგკრა, ზურმუხტად აგამწვანაო“.

ალიტერაციით აქ ყანის შრიალი გაისმის: ყანა, ნანა, ნიავი, ნამმა, გადაგბანა, ჟუჟუნა, აგამწვანა. „ნარის“ ახმაურება აქ ნიავის გადარბენას იწვევს ყანაში.

„თვალი“ ნაკლებია აკაკის ლექსებში. როგორც საერთოდ ქართულ პოეზიაში. იქაც კი, საცა თვალს მეტი ადგილი აქვს, პროზაში, ქართველი მწერლის თვალი სუსტია. საკვირველი კია, რადგან ქართველისათვის რაობა „ფერით“ ისაზღვრება (ყველა-ფერი, არა-ფერი).

აკაკის ლექსს აქვს „ყური“, ამიტომ რიტმიც უნდა ჰქონდეს — (და აქვს კიდეც). მხოლოდ ხანდახან „ყური“ მასაც ღალატობს (აქა-იქ). რატომ ხდება ეს?

ენა

ეს უკვე ცნობილია:

აკაკიმ ენა გაამარტივა. მისცა მას სიმსუბუქე და სისხარტე. დაუახლოვა ხალხურ თქმას (მხოლოდ არა დამახინჯებულს).

ნიკო ბარათაშვილის, ალ. ჭავჭავაძის, გრიგოლ ორბელიანის ლექსურ ენას ემჩნევა ეკლესიური დახერგვა სიტყვის. აკაკიმ გაწმინდა ქართული ენა ამ ხერგებისაგან. მას ეხმარებოდენ: რაფიელ ერისთავი და ილია ჭავჭავაძე (თუმცა უკანასკნელმა სხვა „სიმძიმე“ შემოიღო, მაგრამ სრულიად გამართლებული).

პროზა

აკაკის პროზა ჯერ კიდევ არ არის დაფასებული. ვსცადე ერთ წერილში („ბაში-აჩუკი როგორც კინო-რომანი“) ამ მხრით შევხებოდი აკაკის. აკაკიმ პროზაში რომანის მკაცრი კომპოზიცია შემოიტანა.

ყოველ შემთხვევაში აკაკის პროზა მის ლექსებთან შედარებით ისეთივეა, როგორც პუშკინის პროზა პუშკინის ლექსებთან შედარებით.

ეს თემა უცდის თავის ავტორს.

აკაკი და ილია

ალბად ეს პარალელი მუდმივ დარჩება ქართულ ლიტერატურაში. კიდევ უფრო — ჭირვეული დაეჭვება: რომელი უფრო მაღლა დგას?

აკაკი და ილია ტყუბებია, რომლებიც დასცილდენ ერთიმეორეს. მაგრამ „ტოლები“ დარჩენ მაინც. არჩევანი ხან ერთს ერგება, ხან მეორეს. „ტოლებში“ ეს ჩვეული ამბავია.

ხშირად ერთისა და იმავე პირის გუნებაში ხდება ხან აკაკის არჩევა და ხან ილიასი. სხვანაირნი, მაგრამ ერთფასეულნი — აი ტოლების საზომი. თუ ვინმე აირჩევს ხან ერთსა და ხან მეორეს, ეს არც პირველის ბრალია და არც მეორესი.

რუსეთშიაც ასევე ხდება, როცა ადარებენ ერთიმეორეს ტოლსტოის და დოსტოევსკის.

აკაკი და ვაჟა

ოცი წლის წინად ასეთი დაპირისპირება — აკაკი და ვაჟა — მაკვდინებელ ცოდვად ჩაითვლებოდა: ისე მაღლა იდგა აკაკი და ისე დაბლა ვაჟა.

დღეს კი ასეთი დაპირისპირება არა თუ შესაძლოა, არამედ..... რა საჭიროა წერტილის დასმა?

მაგრამ მაინც: აკაკი და ვაჟა.

პერსონალურად რომ ავიღოთ, შესაძლოა აკაკი უფრო ნიჭიერიც გამოვიდეს. მაგრამ პოეტურ ნამოქმედარს ეს ვერ არკვევს ბოლომდე.

ვაჟა პირია უპიროვნო შემოქმედების. იგი ჰომერის ნატეხია საქართველოს არეზე. აქ არის მისი სიძლიერეც.

აკაკიც ხომ ხალხურია?

მართლაც. აკაკი პირია ხალხის. საუკეთესო მისი ლექსები ხალხურია. მე მინდა აქ მხოლოდ ერთი მაგალითი მოვიყვანო.

არის პატარა წიგნაკი:

„ჭიდაობა ნესტორ ესებუა და კულა გლდანელის“. წიგნაკს აწერია: „მესტვირული ლექსი აკაკი წერეთლისა“. დათარიღებულია: 1890 წ., 15 ნოემბერი. ვინ გამოსცა, არ სჩანს. წიგნაკზე ესებუას სურათია.

ალბად თვითონ აკაკი ამ ლექსს უმნიშვნელოდ თვლიდა, თორემ იგი არ იქნებოდა ასე „გადამალული“.

ეს ლექსი ლიტერატურულად აღმოაჩინა პაოლო იაშვილმა — (გავიხსენოთ მოჭიდავე ნესტორ ესებუას იუბილე, — იყო ასეთი იუბილეც! — ხუთი თუ ექვსი წლის წინად გამართული ცირკში).

ეს ლექსი შედევრია.

რადგან მას ბევრი არ იცნობს, მოვიყვან ადგილებს. სახელი გავარდა კულა გლდანელის: ყველას სძლიაო.

„ეს ქუთაისში შეიტყვეს
შუბლში იტკლიცეს ხელია,
ნუთუ ქართლსა და კახეთსა
ვაჟკაცი შემოელია,

აქ რაღაც ცბიერობაა
უთუოდ საეჭველია
უნდა უშველოთ როგორმე
თუ სადმე მისაშველია.
როგორ თუ მთელი ქვეყანა
მან ასე აიბუაო?
მოდი გავგზავნოთ აქედან
მეგრელი ესებუაო.
ისე დაბლაგვოს, იცოდეთ,
როგორც რომ დანის ყუაო.
მაშინ იტლინკოს გლდანელმა,
მერე ისწავლოს ჭკუაო".

მიიხმეს ნესტორა. სთხოვეს.

„მაშინ წამოდგა ნესტორა
სიმდაბლით მოუბარია:
უფროსები ხართ და ჩემგან
არ გეკადრებათ ვარია.
თუ გავიმარჯვე, აქავე
ჩამოვალ მომცინარია,
თუ ვერა კომბალს ავიღებ
და წავალ სადაც ცხვარია".

ჩავიდა ტფილისში ნესტორა. მიდიან საჭიდაოზე.

„გლდანელის საპირდაპიროდ
აქ ვიღაც ჩამოსულაო,
მაგრამ ყურებსაც არ იბერტყს
ჩვენი ნაქები კულაო,
ამბობს, ამისი ტოლები
აქ ბევრი გალახულაო,
და ესეც ისე გავპენტო
როგორც რომ ბამბის ქულაო".

გაიმართა ჭიდაობა.

„გამოდის კულა გლდანელი
მხარბეჭა ტანშიშველია,
ჯეირანივით ნავარდობს,
მაღლა ხტის როგორც შველია,
ტანზედაც ერბო წაუსვამს,
რომ ვერ მოავლონ ხელია,
გარს ახვევია ამქრები
სუყველა მისი მშველია.
მეორე მხრიდან მეგრელი
გამოძვრა როგორც ტურაო,
რომ დაინახა გლდანელი
ლომივით მიაშურაო.

მკლავებში ხელი მოავლო
და ერბომ აიცურაო.
კინალამ უცბად გაფუჭდა
და ბედი მოიმდურაო.
განზე გადუხტა მატყუარს,
სისწრაფით მოიშორაო.
ამბობს, ხელს ველარსად ვკიდებ,
რა ცუდათ მომაღორაო.
მივარდა, გულში ხელი ჰკრა,
ბურთივით გააგორაო.
ვეფხივით ზურგზე დააჭა,
დათვივით მოიტორაო.
ქვეშ დევს, ფართხალობს გლდანელი,
ცდილობს ზე წამოდგომასა.
ზევიდან მტკავლავს ნესტორა,
თითქო იღებდეს ზომასა.
თან ეუბნება დაცინვით:
კულა ნულარ სწევ შრომასა,
უფრთხილდი თან არ გადაყვე
შიშსა და გულისწყრომასა.
ფეხებში ხელი მოჰკიდა,
თავდალმა დააყირაო,
საცეცხურივით დაკმევა
ოთხკუთხივით დაუპირაო.
იმისი მაყურებელი
სუყველა გააკვირაო,
კულა გლდანელის მომხრენიც
უწყალოდ აატირაო".

მე მოვიყვანე მთავარი ადგილები.

ვიმეორებ: ეს ლექსი შედევრია, ხალხური გენიის ხაზით გამართული. ყოველი დეტალი აქ თანხმობაა მასალისა და ფორმის, ყოველი სიტყვა, ყოველი სახე — მედალიონებია. ეს პოემა ცალკე გარჩევას თხოულობს.

რით ჩამოუვარდება იგი თუ გინდ ლერმონტოვის ნაწარმოებს („Песня про купца Калашникова")?

და მაინც

და მაინც: ვაჟა გადასძლევს. ნიჭით? მაგრამ ნიჭი აკაკიმ ამ „მიგდებულ" ნაწარმოებშიაც ხომ დიდათ გამოაცხადა? ესეც ხომ ხალხის შემოქმედების ნატეხია?

არა: აქ სხვაგანაა საიდუმლო.

იგი მასალაში უნდა ვეძიოთ (უფრო).

ეს კი სხვა თემაა.

აკაკი წერეთელი

როგორც მთესველი გაშლილ ყამირზე
მოაპნევს ხორბალს მადლიან ხელით,
ისე სთესავდა ლექსებს და პირზე
ყველას ეკერა მისი სახელი.

ის გამოსთქვამდა ჭირს და სიხარულს
თავისი ხალხის, თავისი ერის
და აღელვებდა გრძნობებს დაფარულს
გრძნეული ჰანგი ტკბილი სიმღერის.

ათქმევინებდა ჩაგრულ მუშის დარდს
აბიბინებულ პურს და სიმინდებს;
ხან დასტიროდა იგი ობოლ ვარდს
და უყიოდა გმირებს, რაინდებს.

კეთილ ზრახვებით, ნიჭით მალალით,
მან ლამპარივით აანთო გული
აამეტყველა შუქი ახალი:
„ძმობა, ერთობა და სიყვარული“.

—— : ——

ლეო ქიაჩელი

აკაკი როგორც პროზის ხელოვანი

„ბაში-აჩუკის“ მიხედვით

F 303

1974

აკაკის დიდი სახელი ლირიკასა და პოემებზეა დამყარებული. მაგრამ აკაკის აქვს „ბაში-აჩუკი“, ავანტურული ჟანრის პატარა მოთხრობა, რომელსაც, ჩემის აზრით, განსაკუთრებული ადგილი უჭირავს არა მხოლოდ აკაკის ნაწერებში, არამედ საერთოდ ქართულ მწერლობაშიაც.

ეს მოთხრობა მრავალნაირად არის საყურადღებო, — სტილის მხრით, კომპოზიციის მხრით და სხ. — ხოლო სრულიად იშვიათ მოვლენას წარმოადგენს იგი ქართულ ლიტერატურაში თავისი საოცარი ტეხნიკის მხრით, რაც როგორც მოთხრობას ისე მის ავტორს განსაკუთრებულ ადგილს აკუთვნებს ჩვენი პროზის განვითარების ისტორიაში.

აკაკის შეფასება, როგორც პროზის ხელოვანისა, ქართული კრიტიკის ჯერ კიდევ ხელშეუხებელი ამოცანაა, ხოლო ამ პატარა წერილის მიზანს არ შეადგენს მისი გადაჭრა.

მე მინდა მხოლოდ აქ ავღნიშნო რომანის წერის ხელოვნების ზოგი ხერხის საკვირველი მომარჯვება, რომელიც ავტორს „ბაში-აჩუკში“ აქვს მოცემული და რომლის მეორე მაგალითი მე-19 საუკ. ქართულ მწერლობას არ მოეპოვება.

ეს მომარჯვება ხერხებისა მე სამაგალითოდ და სანიმუშოდ მიმაჩნია ჩვენი პროზისთვის, მიუხედავად იმისა, რომ თვითონ ხერხები არც ერთი ახალი არ არის და არც აკაკის მიერ არის მოგონილი. სხვათა შორის, ასეთივეა „ბაში-აჩუკის“ თემაც. ერთიც და მეორეც მრავლად მოიპოვება ევროპიელ ავტორების სათანადო ჟანრის მოთხრობებსა და რომანებში. თემატიურად კიდევ „ბაში-აჩუკი“ იმავე აკაკის ცნობილი პოემების განმეორებაა.

ეს გარემოება აღსანიშნავია. ის ერთხელ კიდევ ამტკიცებს იმ დებულებას, რომ ხელოვნებაში როგორც ხერხს ისე თემასაც თა-

ვ ი ს თ ა ვ ა დ ღირებულება არ აქვს. შეიძლება ისინი მეორდებოდენ საუკუნეების მანძილზე და მიუხედავად ამისა ხელოვნების ახალ ნაწარმოებებს გვაძლევდენ. ხელოვნებაში მთავარი სხვაა. აი, მისი ერთი სახე, რაც ამ მთავარს წარმოადგენს: მაგალითად, შეიძლება „ბაში-აჩუკი" რამდენჯერმე წავიკითხოთ თავიდან ბოლომდის და ერთხელაც კი აზრად არ მოგვივა, რომ ავტორი რასმე ხერხს მიმართავს იმ ზედმიწევნით დამაჯერებელ ეფექტების მოსახდენად, რომლებითაც ასე შეუდარებლად მდიდარია ეს ნაწარმოები.

მაგრამ ზემოდ ნათქვამის ნათელსაყოფად საჭიროდ მიმაჩნია თვით მოთხრობიდან ამოვკრიბოთ უმთავრესი მაგალითები და მოკლედ გავარჩიოთ ისინი იმ თვალსაზრისით, რომელიც ამჟამად ჩვენ გვაინტერესებს.

მოთხრობა საერთოდ ს ა ი დ უ მ ლ ო ე ბ ი ს კვანძის თავისებურ გაშლაზეა აგებული. ეს გაშლა მ ო უ ლ ო დ ნ ე ლ ცხადებათა მორიგეობით მიმდინარეობს. ასეთია მოთხრობის მთავარი ღერძი, რომელსაც არც ერთი უმნიშვნელო ხაზითაც კი არ სცილდება.

სულ ხუთი მთავარი რკალია მოცემული. პირველი — ბაში-აჩუკის, მეორე — აბდულ-შაჰილის, მესამე — ბაში-აჩუკის ტყუბი დების, მეოთხე — ბიძინა ჩოლოყაშვილის და მეხუთე — კახეთის შეთქმულების სპარსეთის წინააღმდეგ. (ეს უკანასკნელი ორი მოთხრობის საერთო ტონის მიმცემია). ხუთივე რკალი ისეთის მიზანშეწონილებით არის მოქცეული მოთხრობის პატარა ფარგალში და ისე შეკრულია ერთის გეგმითა და იდეით, რომ მოთხრობა იშვიათი ლიტერატურული კომპოზიციის ნიმუშს იძლევა.

საიდუმლოება და „მოულოდნელობა" ავანტურული რომანის აუცილებელი ელემენტებია. ლიტერატურაში მათ ათასი ვარიაცია აქვთ.

სიზმარი და მისი ახდენა, სხვათა შორის, ყველაზე უფრო ძველი და პრიმიტიული ატრიბუტებია ამ ელემენტებისა. ხალხურ სიტყვიერებასაც კი თითქმის ამოწურული აქვს ეს საშუალება, როგორც თხრობის ხერხი. იგი დაბადებაშიაც გამოყენებულია. აკაკიც „ბაში-აჩუკში" უწინარეს ყოვლისა ამ დაცდილ ხერხს მიმართავს. ხოლო აკაკის ხელოვნება სწორედ იმაში გამოიხატა, რომ მან ეს გაცვეთილი საშუალება ისე თავისებურად გამოიყენა და ისე ჩააქსოვა მოთხრობის სხეულში, რომ სრულიად გააბუნებრივა, ხერხის სახე დაუკარგა და სიუჟეტის განვითარებისა და მკითხველის ინტერესის მთავარი ხერხემალი გახადა.

ამნაირადვე გამოიყენა მან სხვა საყოველთაოდ ცნობილი ხერხები.

ეს მომენტი დიდად საინტერესოდ მიმაჩნია ხელოვნური შესრულების მხრით.

მცირედ შევჩერდეთ ამაზე.

მოთხრობის პირველი გვერდი ჩვეულებრივი ფეოდალური ყოფის სურათს გვიხატავს. ზაალ ერისთავი და მისი მეუღლე მარიამი მაღალი ციხე-დარბაზის აივანზე სხედან და კლდოვან მთებშორის გველივით გაკლაკნილ არაგვს გადაყურებენ. ქმარი კრიალოსანს ათამაშებს, ცოლი „ჭირის კანონს“ კითხულობს. — აქ არაფერია საიდუმლოების მომასწავებელი. მაგრამ ზაალის მეუღლე სრულიად მოულოდნელად დაიკივლებს: „მიშველეთ!“ და საიდუმლოებაც ასევე მოულოდნელად მკითხველს ფრთას შემოჰკრავს. ეს მოხდება როგორც უცნაური რამ შექანება. მიზეზი?

„თავბრუ დამეხვა. სახლმა ქანება დაიწყო და მეგონა, თუ კედლები ინგრეოდენ... მომეჩვენა“.

„აგრე იცის მიჯინებულმა კითხვამ“.

(მერე ისეთი მისტიური წიგნისა, როგორიც „ჭირის კანონია“).

საიდუმლოების აჩრდილიც გაივლის. მისი უეცარი მოვლინების მიზეზი თითქმის ახსნილია და სრულიად ბუნებრივადაც. მკითხველი ისევ ჩვეულებრივს უბრუნდება. მაგრამ ორიოდე სტრიქონს შემდეგ მის წინ ისევ საიდუმლოების ფრთა გაიშხუილებს.

„როცა კაცს გული საგულეს აღარ აქვს და შიშის ქარი უვლის ტანში, მაშინ რა არ წარმოუდგება“...

აქ საეჭვო ხდება ჩვეულებრივი ახსნა, პირველი, და დაკივლების მიზეზიც კვლავ საძებარია. იგი სხვა სახით წარმოუდგება მკითხველს. ეს არის ერისთავიანთ მოძღვრის კირილეს სიზმარი.

ასე შემოდის მოთხრობაში ეს სიზმარი.

ვისაც რომანის ტეხნიკური მხარე აინტერესებს და მისი ანალიზი უწარმოებია, მისთვის განსაკუთრებულად გასაგები იქნება, თუ რა დიდი ლირსების ხელოვნებასთან გვაქვს ამ შემთხვევაში საქმე. ალბად, უბრალო მკითხველს კიდევაც გამორჩება ის გარემოება, რომ მთელი ეს ამბავი ავტორის მიერ იმისთვის არის მოტანილი, რომ მისი ყურადღება ამ სიზმარს მიაპყრას, და სიზმრის როლიც შემდეგშიც, მოთხრობის მთელ სიგრძეზე, მისთვის დამაჯერებელი გახადოს.

სიზმარი არსებითად ხალხურ ზღაპარს წარმოადგენს გველეშაპის შესახებ, რომელიც ბოროტი ძალის განხორციელებაა საერთოდ

ხალხურ სიტყვიერებაში. მაგრამ მის შინაარსზე მე არ შევჩერდები, რადგანაც ვგულისხმობ, რომ მკითხველს ახსოვს იგი.

როგორც ზაალ ერისთავის მეუღლის უეცარი წამოკივლების შესაძლებელი ახსნაა მოცემული წამოკივლებისთანავე, ისე კირილეს სიზმრის ბუნებრივ ახსნასაც იძლევა ავტორი ზაალისა და მისი მოურავის პირით:

„ესეც ჩვენი კირილეს სიზმარი! ახდადა მორჩა! მართლა, გველეშაპივით არ მოიკლაკნება ეს არაგვი? ამ ხნის კაცი ვარ და ამისთანა წყალდიდობას ჯერ არ მოვსწრებივარ“.

„არც მე, თქვენი რისხვა არა მქონდეს. ტყე და ველი კი მოაქვს და... ხიდები, სადაც იყო, დახვეტა. ქვითკირის ხიდი დაუქცევია. გზა შეკრულია და ჩვენი მწყემსებიც გალმა დარჩენილან“

წყალდიდობაც ხომ დიდი უბედურებაა ხალხისათვის. იგი გველეშაპზე უფრო ნაკლებ ზარალს არ აყენებს ხალხს. იქნება კირილეს სიზმრის გველეშაპიც, ეკლესიას რომ შემორტყმოდა და გამვლელ-გამომვლელს სანსლავდა, ამ წყალდიდობის მომასწავებელი იყო და სხვა არაფერი. მით უფრო, რომ ჩვეულებრივი არაგვი თუ გველსა ჰგავდა (მოიგონეთ მოთხრობის პირველი სტრიქონი: „თვალმიუწვდომელ სიშორიდან გველივით მოიკლაკნებოდა ჩუხჩუხა არაგვი“ და სხ.), ადიდებული — გველეშაპს დამსგავსებოდა. სიზმრის ასეთი შესაძლებელი ახსნა მოთხრობის მეორე თავის დასაწყისშია მოცემული. ზაალი, სჩანს, დაკმაყოფილდა ამ ახსნით და შემდეგში კირილეს სიზმარი კიდევაც დაავიწყდა. იქნება, მკითხველსაც ასე შოუვიდა. ეს ბუნებრივია და ავტორის პირდაპირ მიზანსაც შეადგენს. სწორედ ამისთვის არის შეწყვეტილი სიზმრის ამბავი ისეთი დიდად მნიშვნელოვანი ეპიზოდით, როგორიც არის კახეთიდან მოსული საიდუმლო მოციქულის გამოჩენა ადიდებული არაგვის ნაპირზე, კატასტროფული შემთხვევა, შეთქმულების შესახებ პირველი ცნობა და სხ. რასაკვირველია, რომ სიზმარი მიიჩრდილებოდა. (თუმცა ამ შემთხვევაში ავტორის ხერხი ორპირიანია: ამ მიჩრდილვის გზით მას მკითხველი ზაალთან ერთად ნამდვილად, მათდა შეუმჩნევლად, სიზმრის სწორ ახსნისკენ მიჰყავს. არ შეიძლება ხაზგასმით არ აღინიშნოს ამ ხერხის დიდი სირთულე. იგი დამახასიათებელი მანერაა დიდი ოსტატებისა).

ასეთი ინტერვალის შემდეგ ზაალს ქსნის ერისთავები ესტუმრენ. კირილე მოძღვარი მოახსენებს ბატონს ამ ამბავს და თან დასძენს:

„ისინი გახლავან, შენი ჭირიმე... ისინი... სწორედ ისინი ვნახე.

„მღვდელო შენ როგორლაც ვერა ხარ შენს გონებაზე!

„თქვენი რისხვა ნუ მომეცემა, ისინი არიან. ვიცანი.

„დიდი საქმე მომმხდარა! რა ვქნათ მერე, რომ იცანი! რას გაჩერებულხარ, წადი, სთხოვე მობრძანდენ.

შემდეგ:

როდესაც სტუმრების მისია გამოიკვევა და ზაალი მათი განზრახვისაგან თავს შორს დაიჭერს, ბჭობაში მარიამიც გაერევა. ის უხმობს კირილეს. მოძღვარი ისევ თავისას იმეორებს:

„ესენი გახლავან, შენი ჭირიმე. ვიცანი.

„მღვდელო, რას დაგიჟინია ვიცანიო. მეორედ ამბობ. მერე რა ვქნათ, რომ იცანი? გამოცანა გერგება თუ? — გაჯავრდა ზაალი.

„აკი მოგახსენეთ, ბატონო, ისინი არიან მეთქი.

„ხომ არ გადარეულხარ? მეც ვიცი, ვინც ბრძანდებიან.

„არა, ბატონო, მე ხომ მაგას არ მოგახსენებთ!“

მოძღვარს მარიამი მიეშველა:

„რა დაგემართა? როგორ ვერ გაიგე?.. სიზმარში რომ ნახა...

„სიზ-მარ-ში!.. — გაოცებული იკითხა ერისთავმა და პირი გააღო“.

აქ როგორც ზაალისათვის, ისე მკითხველისათვის უეცრად იხსნება კირილეს სიზმრის ბრჭყალები.

ეფექტი სრულია.

ამ სიზმრის როლი ამით არ თავდება. მაგრამ ჩემს ამოცანაში არ შედის მისი ყოველმხრივი განხილვა.

გადავიდეთ ახლა მოთხრობის სხვა ტეხნიკურ მომენტზე.

ბაში-აჩუკი მოთხრობის მთავარი გმირია.

„შორს, ხოდაბუნებში, გამოჩნდა ერთი ვილაც ცხენოსანი. ზაალმა შენიშნა და სთქვა: მოურავო, ის ცხენოსანი, ვილაცა არის, თუ ფათერაკს არას გადაჰკიდებია, სწორედ გიჟი უნდა იყოს... თავშიშველა, უქუდოდ რომ კაცი მოგზაურობდეს, გაგონილა?

„იმერელი უნდა გახლდესთ ვინმე. გაჩეჩილ თმაზე ფაფანაკი ედება და არ ეტყობა“.

შემდეგ: შამოვიდა „ტანმაღალი, წელში წვრილი, მხარბეჭიანი. ფაფანაკ-გადაგდებული, გაჩეჩილი თმით“...

ასე გვაცნობს ავტორი თავის გმირს მოთხრობის მეორე თავში. მაგრამ რომ ეს იმერელი ბაში-აჩუკია, ამას ვიგებთ ძალიან გვიან. იმასაც მიხვედრით და არა პირდაპირი ჩვენებით. მხოლოდ მეექვსე თავში (მოთხრობა სულ თხუტმეტს შეიცავს) აკაკი გმირის ასეთ შესატყვისს გვაძლევს:

თათრების ფალავანი ქართველებს ჭიდაობაში იწვევს. ვერავინ ბედავს შებმას.

„ამ დროს ხალხში რაღაც ჩოჩქოლი ასტყდა... წრეში ვეფხვივით შემოვარდა ერთი ვიღაც ტანწვრილი, მაღალი, მხარბეჭიანი და თმაგაჩეჩილი ახალგაზრდა...“

მკითხველს დიდი მიხვედრა არ სჭირია მის საცნობად. არ შეიძლება არ მოაგონდეს ასეთი ვინმეს გამოცხადება ადიდებული არაგვის ნაპირზე.

ამავე მეექვსე თავის ბოლოში, სადაც ჯირითობის სურათია აწერილი, ვკითხულობთ:

„ბოლოს წამოვიდა ვიღაც შავცხენოსანი ისეთი სისწრაფით, რომ თითქმის აღარ სჩანდა ცხენზე... შესტყორცნა ჯირითი... თასი ბზიალ-ბზიალით წამოვიდა... მხედარმა მოავლო ხელი თასს, დაბლა აღარ დაუშვა... ცხენდაცხენ გაუშვირა თასი ერთ დიდებულთაგანს და დაუყვირა: ღმერთმა ნუ მოუშალოს გამარჯვება ბატონ მაყაშვილსო... მაყაშვილმა ჩამოართვა თასი. ამ დროს უცბად ჰაერში რაღაცამ გაიელვა და მაყაშვილი ჯერ კიდევ ფეხზე იდგა, რომ თავი მიწაზე კოტრიალებდა... შეკრთა დიდი და პატარა. ბოლოს დაიძახეს აქა-იქ: „ჰეი, ბაში-აჩუკიო!“

პირველად აქ ცხადდება ბაში-აჩუკი. მხოლოდ სულ მცირე ნიშნიდან სჩანს, რომ ეს ბაში-აჩუკი ის იმერელია, რომელიც ზაალ ერისთავს ეწვია მოთხრობის მეორე თავში. ამ შემთხვევაში მხოლოდ ერთი სიტყვა ამჟღავნებს მათ იგივეობას: „შავცხენოსანი“. — ზაალმა თავის ფაფანაკიან სტუმარს აკი არაბულა აჩუქა, შავი ცხენი.

ასეთი მოულოდნელი ცხადებით გვევლინება ეს საიდუმლო გშირი მოთხრობის სხვა ადგილებშიაც. გარეშე ამისა ის დაფარულია. მისი ბაში-აჩუკობა სრულიად ირკვევა მხოლოდ მეშვიდე თავში.

„ბაში-აჩუკს რად გეძახიანო?

„ეს აქ დამარქვეს თათრებმაო. ფაფანაკით რომ ჰხედავენ უქუდო ვგონივართ, და მათებურად ბაში-აჩუკი თავმოხდილსა ჰნიშნავსო“.

აკი, ზაალსაც უქუდო ეგონა.

საიდუმლოების კვანძი, რომელშიაც ბაში-აჩუკი მოქცეულია შეუდარებლად არის შეკრული. ხელოვნური თვალსაზრისით უურთუოლესი ტეხნიკური ამოცანა უნაკლოდ არის დაძლეული. ამიტომ არის, რომ მოთხრობას მკითხველის გონება და გულისყური სავსებით დაპყრობილი აქვს პირველი სტრიქონიდან დაწყებული უკანასკნელამდე.

აღსანიშნავია, რომ აკაკი უდიდეს ესთეტიურ ეფექტებს სრულიად უბრალო საშუალებით აღწევს. მოვიყვან ამის ერთ-ერთ მაგალითს.

„ცხენოსანმა მისი ბედაური გააჭენ-გამოაჭენა ჭალებში, გაახურა და პირდაპირ მდინარისკენ წამოიყვანა. რომ მოადგა კიდეს, ჰკრა დეზი და გადაუშვა აზღვავებულ წყალში. ცხენმა და კაცმა, ორივემ, ძირი გაიარეს, თითქოს ჩაინთქნენ. ცოტახნის შემდეგ ამოჰყო ცხენმა თავი. მხედარი ზურგზე ეკრა და თავს უჭერდა, რომ მეორე კიდეზე გაეყვანა. მიუახლოვდა კიდეც, მაგრამ წყალმა დიდი ხე ჩამოატარა და მოხვდა ცხენს... თვალის დახამხამებაში ტრიალ მორევში ამოჰყვეს თავი. „არიქა, ვინ ხარ მამაცი. მიშველეთ! მცურავებს დაუძახეთ“. ჰყვიროდა ერისთავი... ცხენი რამდენიმეჯერ გადაატრიალა ადუღებულმა წყალმა. მხედარი ზედ აღარ იჯდა... დიდზე ადევნა თვალი ერისთავმა და ბოლოს, როცა მიეფარენ და აღარ სჩანდენ, მწუხარებით სთქვა: ვაი, უბედური. აქ კიდევ შეიძლებოდა შველა, ამ მორევში, მაგრამ იქ, იმ უცნაურ ჩანჩქერში, ვინღა რას გააწყობს“.

ცოლი რომ აივანზე გამოვიდა, ზაალმა უამბო, რაც ნახა. დაამატა: „იქ კი დაიღუპნენ, მგონია, საჩქეფშიო“. როცა მოურავი გამოჩნდა, ზაალმა ჰკითხა:

„რა ჰქენი მოურავო? ვერავინ მიაშველე?

„მივაშველე, შენი ჭირიმე, მაგრამ მცურავები შეშინდენ. ველარ შებედეს წყალში.

„ჩაატარა?

„შორს არ წაუღია. იქვე მოსახვევში, ხეებს რომ ხერგავს ხოლმე, ზედ მიაყარა“.

შთაბეჭდილება ისეთი იქმნება, რომ მხედარი და ცხენი უთუოდ დაიღუპენ.

შემდეგ:

„ეგებ გამოატანინო როგორმე. მადლია.

„რალა გამოსადეგი გახლავთ, შენი ჭირიმე“.

დაღუპვა უკვე ეჭვსაც არ იწვევს.

მაგრამ მოურავი განაგრძობს:

„ას ოქროდ მამაშვილს არ დაუთმობდა.

„ხომ არ გადარეცხილხარ, მოურავო? მირონცხებულზე მაგრე გაგონილა ლაპარაკი?

„ვინ მირონცხებულია, შენი ჭირიმე? მე ცხენზე მოგახსენებთ, თვარა ის კაცი როდი დამხრჩვალა?“

ეს მოულოდნელი ამბავი ისეთ სიხარულს იწვევს მკითხველში, რომელიც ავტორის დიდ გამარჯვებად უნდა წარმოვიდგინოთ.

მაგრამ მკითხველის სიხარული აქ მეორე გარემოებასაც უკავშირდება. ეს არის გმირის პირველი გაცნობის აღტაცება. თუ მხედარი

ისეთი უშიშარია, რომელიც არაგვის საშინელ მორევს არ მოერიდა და რომელმაც შემდეგ აშკარა სიკვდილზედაც გაიმარჯვა (მოიგონეთ: „მივაშველე, შენი ჭირიმე, მაგრამ მცურავები შეშინდენ. ველარ შებედეს წყალშიო“), ის უთუოდ უბრალო ვინმე არ არის. საინტერესოა გმირის გაცნობის ეს ხერხი, რომელიც პირველადვე მოხაზავს მის მთავარ ხასიათს და მის სახეს ერთხელ და სამუდამოდ აღბეჭდავს მკითხველის წარმოდგენაში. ისტორიულ ავანტურულ ჟანრის მოთხრობაში სხვა ხერხი არც გამოდგებოდა.

სულ სხვა ხაზით არის მოცემული მოთხრობის მეორე გმირი.

„აბდულშაჰილ ერთი უთვისტომო ვინმე იყო... ფეიქარხანის ჯარის მეუფროსობა ეშოვნა“.

ეს ის ფალავანია თათრებისა, რომელიც საშინლად დაამარცხა ბაში-აჩუკმა. თავდაპირველად ის მეტად არასიმპატიურ პიროვნებად გვეჩვენება. მის ქართველობაზე მოთხრობის ამ ნაწილში ლაპარაკიც ხომ ზედმეტია. ეს ფიქრადაც არავის მოუვა. გარკვეულად თათართან გვაქვს საქმე. მაგრამ გაივლის ხანი და აბდულშაჰილს თანდათან ისეთი თვისებები გამოაჩნდება, რომლებიც მისგან მოულოდნელი იყო. მაგრამ მისი ქართველობა ახლაც წარმოუდგენელია. შესაძლებელია თავდაპირველად ავტორსაც არ ჰქონდა ეს გათვალისწინებული. გეგმის შეცვლა თხზვის დროს ჩვეულებრივი მოვლენაა. ბაში-აჩუკის ამ დაუძინებელი მტრის ვინაობის გამომჟღავნება მეხიკით შთაბეჭდილებას სტოვებს მკითხველზე. მაგრამ დაჯერების ლოლიკა ამ შემთხვევაშიაც სრულად არის დაცული.

„მე ერთი უთვისტომო კაცი ვარ. არ ვიცი ვინ ყოფილა ჩემი მამა-პაპა. ძლივს მაგონდება და ოდნავ მახსოვს, რაც საბრალო დედა-ჩემისაგან გამიგონია. ოდესმე ჩვენს სოფელს ლეკები დასცემიან. ჩვენი ოჯახი ამოუწყვეტიათ და მე ძუძუმწოვარი დედასთან ერთად ტყვედ წავუყვანივართ. მყოლია კიდევ ერთი უფროსი და, მაგრამ ის სხვა სოფელში ყოფილა გაბარებული და გადარჩენილა.

„მელანო სულგანაბული უგდებდა ყურს. უცბად მიაყვირა: „ექვსი თითი ხომ არ გაქვს მარცხენა ფეხზეო?“ და, დასტური რომ მიიღო... და სხ.

გეგონება, ეს ადგილი ხალხური ზღაპრიდან არის უცვლელად გადმოწერილიო. შინაარსის გარდა სტილიც ზედმიწევნით უდგება ზღაპარს. ყური მიუგდეთ ამ თქმას: „ექვსი თითი ხომ არ გაქვს მარცხენა ფეხზეო?“ აქ უშუალოდ, ხალხის პირიდან ისმის ზღაპარი.

ხერხიც ხალხურია.

აი, კიდევ უალრესად ხალხური სტილისა და ხერხის მაგალითი:

ამ აბდულშაჰილს შეუყვარდა პირიმზისა, ტყუბის ცალი, ბაში-აჩუკის და. პირველი მათი შეხვედრა ასეთნაირად ხდება:

აბდულშაჰილს „წინ ერთი შველი შეეფეთა... მშვილდ-ისარი მოიმარჯვა. სტყორცნა და გააგორა მიწაზე. რომ შივიდა, ნადირი წაწოვარდა ზეზე და ბარბაცით გზას გაუდგა. მონადირე მიჰყვა კვალდაკვალ. შუაგულ ტყეში თურმე ერთი დიდი მინდორი იყო... მონადირემ შენიშნა, რომ მეორე მხრით ტყიდან გამოვიდა ერთი ახალგაზრდა ქალი, რომლის მსგავსი მას არა ენახა-რა... და სხვ.

ცხადია, რომ ხალხური სიტყვიერების აშკარა გავლენასთან გვაქვს საქმე.

მე არ მინდოდა აკაკის ხერხებისა და ტეხნიკურ საშუალებათა კონკრეტულად შედარება ლიტერატურაში ცნობილ ამავე ხასიათის ფაქტებთან, მაგრამ ამ შემთხვევაში არ შემიძლია არ აღვნიშნო ერთი საინტერესო გარემოება. მე-18 საუკ. ერთი ფრანგი მწერლის, Marie de France-ის, მოთხრობაში („Graelent") სრულიად ასეთივე სურათია მოცემული გმირის სატრფოსთან შეხვედრისა. ეს ავტორი მოგვითხრობს, რომ ქალაქს მიმავალმა Graelent-მა (მოთხრობის გმირმა) ტყეში ფური ირემი ნახა. მისდია ნადირის კვალს. ირემმა მონადირე უცხო შადრევანთან მიიყვანა, რომელშიაც მშვენიერი ქალი ბანაობდა.. და სხ.

ალბად, ლიტერატურაში ეს ხერხიც ხალხური სიტყვიერებიდან გადავიდა.

აბდულშაჰილის შეხვედრა სატრფოსთან შუამთის მონასტრის მიდამოში მოხდა, სადაც ბაში-აჩუკს თავისი დები ჰყავდა გახიზნული. აქ ინასკვება მოთხრობის ერთი მთავარი კვანძთაგანი და თვალსაჩინო ხდება ბაში-აჩუკის დების, პირიმზისა და პირიმთვარისას, როლი მოთხრობის გასამძაფრებლად. აქვე მიხვდება მკითხველი, თუ რად დასჭირდა ავტორს მოთხრობის პირველ ნაწილში ამ ტყუბი დების ამბავი, რომელსაც თითქოს უმნიშვნელო ეპიზოდის ხასიათი ჰქონდა.

ამ დების თავგადასავალთან დაკავშირებულია მოთხრობის ერთი უძლიერესი ადგილი. ხელოვნების თვალსაზრისით ის შესრულებულია სამაგალითოდ.

შუამთის მონასტერს ყიზილბაშები დაარბევენ.

„ჯარის უფროსმა გამოათრია გარედ ერთი ახალგაზრდა, სრულიად გაწეწილ-გაგლეჯილი, ქალი და გულშეწუხებული ცაცხვქვეშ დასვა, ბრტყელ ქვაზე".

„შენს სილამაზეს უმადლოდე. იმან გადაგარჩინა".

ყიზილბაშის განზრახვა ცხადია. მაგრამ ქალი მოატყუებს და თავს აკვლევინებს, რომ ცოცხალი არ დანებდეს.

როცა აბდულშაჰილი გაიგებს იმ მონასტრის დარბევის ამბავს, სადაც სატრფო ეგულვებოდა, მყისვე შუამთას მიაშურებს. ცაცხვის ძირში გაჩეხილ ქალს ნახავს, რომელიც მისი სატრფო აღმოჩნდა.

სხვა რაღა დარჩენოდა: იტირა, მერე დაასაფლავა.

ერთხელ, როცა ჩვეულებრივად ძვირფას სამარესთან ღამეს ათევდა, სატრფო გამოეცხადა.

„დაიყვირა. ზეზე წამოვარდა... ხანჯალზე ხელი მოისვა... მის წინ იდგა ის, ვისაც იგლოვდა და სტიროდა“.

მაგრამ მოჩვენება ხორცშესხმული აღმოჩნდა, ნამდვილი, ცოცხალი მისი სატრფო პირიმზისა.

საკვირველი უცნაურება უბრალოდ გამოირკვა:

„შეცდი: ეგ და იყო, საბრალო პირიმთვარისა, ჩემი ტყუბის ცალი და მგვანი. მე კი პირიმზისას მეძახიან“.

უთუოდ აბდულშაჰილთან ერთად მკითხველიც შეცდებოდა. ესეც ავტორის ხერხის იშვიათ გამარჯვებას მოასწავებს.

ამ ადგილს კომენტარიები არ სჭირია.

მოგონილის მართალის დამაჯერებელი სახით წარმოდგენა და მით მკითხველის ემოციათა სადავის სრული დაპყრობა, — აი, ხელოვანის ჯადოსნური თვისება.

აკაკიმ ეს იშვიათი თვისება „ბაში-აჩუკში“ საკვლებით გამოაშკარავა.

—— : ——

მოგონება აკაკიზე

I

აკაკიზე რამდენი მოგონებაც გინდა დაიწეროს, ვფიქრობ, ზედმეტი არ იქნება. მეც ამ იმედით ვიღებ კალამს და მინდა ცოტა რამ გავუზიარო თანამედროვე მკითხველს იმ დიდი კაცის შესახებ, ვინც ნახევარი საუკუნის მანძილზე მშობელ ერის ჭირს თუ ლხინს უბით დაატარებდა: ხან დასტიროდა, ხან დასცინოდა და ხან კიდევ იმედებით ავსებდა.

წინდაწინვე უნდა განვაცხადო, ამ წერილში მოყვანილ ზოგ სადაო სტრიქონებს, არავის საწყენათ და, მით უმეტეს, დასამცირებლად არ ვსწერ, მხოლოდ ფაქტებს აღვნიშნავ. ჩემის აზრით, ყოველი საზოგადო მოღვაწის ღირსებაც და ნაკლიც — საზოგადოებრივია და ყველამ უნდა იცოდეს.

აკაკი დიდი პიროვნება იყო და მის ცხოვრებასაც და აზრშეხედულებასაც, ამა თუ იმ მოვლენის, თუ პიროვნების შესახებ, განსაკუთრებული ფასი ეძლევა, რაგინდ უარყოფითიც არ უნდა იყოს.

მაშ დავიწყებ. პირველი წიგნი მხატვრული ლიტერატურიდან, რომელიც ამ ორმოცი წლის წინად მე წავიკითხე — ეს იყო აკაკის ლექსთა კრებული. ამ დღიდან აკაკი ჩემი სათაყვანებელი კერპი გახდა, მაგრამ პირადათ მხოლოდ სიბერის ჟამს გავიცანი, როცა ცალი ფეხი თითქმის სამარეში ედგა. პირადათ გაცნობამ ჩემი მისდამი პატივისცემა კიდევ უფრო მაღლა ასწია. მისი ვერცხლდაფქვეული დიდი თავი, ფართე შუბლით და მზიური ღიმილით დამშვენებული, ისე მხიბლავდა, რომ მისი დანახვა ნეტარებათ მიმაჩნდა; ერთი სიტყვით, თუ შეიძლება ასე ითქვას, შეყვარებული ვიყავი ამ დიდ კაცზე. და ეს სიყვარული, თუმცა სადათ, მაგრამ უდიდესი გულწრფელობით გამოვხატე ერთ ჩემს ლექსში, რომელსაც „თაიგული“ ეწოდება და რომელიც იუბილეის დროს მივუძღვენი აკაკის. ამ ლექსმა მაშინ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა საზოგადოებაზე, ყველა აღტაცებით კითხულობდა და გამარჯვებას მილოცავდა. ეს ლექსი თვით აკაკისაც

ძალიან მოსწონდა და ხშირად იტყოდა ხოლმე, როცა ამ ლექსის შესახებ შეეკითხებოდენ: „მშვენიერია, მაგრამ ჩემია“. რას გულისხმობდა მხცოვანი მგოსანი ამ სიტყვებში — ეს ჩემთვის დღესაც გამოუცნაველია, მაგრამ ერთი რამ ცხადია: ამ ლექსს უთუოდ აზის აკაკის გავლენის ბეჭედი და მასაც, ალბად, ეს ჰქონდა მხედველობაში.

რომ თანამედროვე მკითხველსაც გავაცნო ეს ლექსი, მე მგონია, ზედმეტი არ იქნება, რომ აქვე მოვიყვანო მთლიანად.

მდელოს სიმწვანე მოვპარე,
სინაზე — ტურფა იასა
და სურნელება, ელფერი —
კოკობ ვარდს, გულ-მკერდ ღიასა;
სიმშვენიერე — გაზაფხულს,
ტკბილი ხმა-კილო — ბულბულსა
და სიხალისე — ნაკადულს,
კიდე-ნაპირებ შემკულსა;
ციმციმი — მალხაზ დილის ცვარს,
კაშკაშა შუქი — მთვარესა
და ბრწყინვალება — დიად მზეს,
ლაჟვარდში მოელვარესა...
მთელი სიტურფე ბუნების
შევკარი თაიგულათა
და შენ მიგიძღვენ, მგოსანო,
ეს შენ გეკუთვნის სრულათა!
ნიშნად პატივის ცემისა
მიიღე, მამათმთავარო,
წკრიალა ჩანგის მპყრობელო,
ერის დიდებავ, ჯავარო!

გაცნობის შემდეგ აკაკის აჩრდილივით დავსდევდი უკან, როცა ქუთაისში გამოჩნდებოდა. ხშირად ვეწვეოდი სასტუმროში და სულგანაბული ვუგდებდი ყურს და ვსტკბებოდი მისი ენამახვილობით.

ვისაც აკაკის მოსწრებული სიტყვები და ნაკვესები თავის ყურით არ მოუსმენია, მისივე პირით ნათქვამი, მას დაახლოებითი წარმოდგენაც კი არ ექნება ამ სიტყვის ოსტატის ენამზიანობაზე. აკაკის ამისათვის ყველაფერი თავისებური ჰქონდა: მიმიკაც, სიტყვაც და კილოც.

II

ახალგაზრდა მწერლებში აკაკის ყველაზე უფრო ეშმაკი (ნ. კალანდაძე) მოსწონდა, როგორც იუმორისტი, მაგრამ მის მიმართულებას წუნს სდებდა: „უტყუარი ნიჭია, რომ სოციალ-დემოკრატი არ

იყოსო“. სხვებზე მაინცა და მაინც დიდი წარმოდგენის არ იყო: „ჯერ პირზე რძე არ შეშრობიათ და ვინ იცის როგორი დადგებიანო“.

მე თავის “პატარა მემკვიდრეთ“ მთვლიდა და ხშირად მეტყოდა ხოლმე: „რომ ეშმაკის გზით არ მიდიოდე, ქვეყნის სასარგებლო კაცი გამოხვალო“. მიუხედავათ ამისა, მე მაინც განსაკუთრებულ პატივს მცემდა და, ეს ჩემდამი სიყვარული და პატივისცემა, იმითაც დაამტკიცა, რომ ჩემთან სურათიც გადაიღო; და ეს მაშინ, როცა სხვა ახალგაზრდა მგოსნებთან სურათის გადაღებაზე უარი უთხრა ისიდორე კვიცარიძეს, რომელმაც სთხოვა ჩემთან ერთად ი. გრიშაშვილთან, გ. ტაბიძესთან და გ. ქუჩიშვილთანაც გადაეღო სურათი. (ეს მგოსნები შემთხვევით მაშინ ქუთაისში იყვნენ).

ეს სურათი ისიდორე კვიცარიძემ გაადიდებინა და თავის ჟურნალ-გაზეთების კანტორაში გამოფინა. უნდა სიმართლე ითქვას, ამ სურათმა მაშინ ბევრს გაუღიზიანა ძარღვები: აკაკის ყველა მემარჯვენე ჯგუფები თავიანთ კაცად სთვლიდენ და არ მოსწონდათ — ჩემთან რომ იყო გადაღებული და კვიცარიძეს საყვედურებით ბერავდენ.

III

იმ დროს სოციალ-დემოკრატიული გაზეთი ქუთაისში გამოდიოდა, რადგან, ენერგიული დევნის გამო, მისი ტფილისში გამოცემა შეუძლებელი გახდა. ეს გაზეთი უსახსრობის გამო სულს ღაფავდა და, სხვა რომ ვერაფერი საშუალება გამოვნახეთ, გადავსწყვიტეთ სალამო მოგვეწყო აკაკის მონაწილეობით, რომელიც მაშინ ქუთაისში იყო. აკაკისთან მე გამგზავნეს, როგორც მასთან დაახლოებული კაცი. აკაკი დიდი თანაგრძობით შეგვხდა, მაგრამ წინდაწინვე გამაფრთხილა: „ხომ იცი, ჩემო ვარლამ, მე ღარიბი კაცი ვარ და აქ, სასტუმროში, კიდევ ერთ კვირას რომ დავრჩე, დიდი ხარჯი დამჭირდება და ამას ჩემი გახვრეტილი ჯიბე ვერ აიტანსო“. მაგრამ, როცა სიტყვა მივეცი ყველა ხარჯებს ჩვენ ვიკისრებდით, უყოყმანოდ დაგვთანხმდა.

გაიმართა სალამო. აკაკიმ ბევრი აცინა თავისი მოსწრებული სიტყვა-პასუხით დამსწრე საზოგადოება და ლექსებითაც დიდი აღტაცება გამოიწვია, მიუხედავათ იმისა, რომ რამდენჯერმე დაავიწყდა ლექსი.

სალამოს გათავების შემდეგ, მე არხეინათ გავუდექი გზას შინისკენ იმ ფიქრით, რომ დაპირებულ ფულს მეორე დღეს ბინაზე მივართმევდი აკაკის; მაგრამ გზაზე კაცი დამეწია და მომაბრუნა: „აკაკი გეძებსო“. აკაკიმ რომ დამინახა, მომაძახა: „აბა, ჩემო ვარლამ, თუ რამე გემეტებათ ჩემთვის, მისაგძლე, კლუბში მივდივარ და ერთი

გროში არ მიჭყავა ჯიბეშიო“. მეც ამოვიღე და მივართვი სამი თუმანი. აკაკიმ მაშინვე კლუბისკენ გასწია და მეც უკან დავედევნე: მინდოდა გამეგო, თუ რა მოხდებოდა.

კლუბის გმირებმა აკაკი რომ დაინახეს, პირზე სიამოვნების ვარდი გადეფინათ და ერთმანეთს უჩურჩულეს: „მოვიდა ჩვენი ქობალიო“. შემდეგ დიდი თავაზიანობით მიიწვიეს მწვანე მაგიდასთან და, ვიდრე აკაკი არ დაბრძანდა, ფეხზე იდგნენ, თითქო პატივისცემის ნიშნად.

გაჩაღდა ბაქარა, ათამაშდენ მოთამაშეთა თვალები და, რამდენიმე საათის შემდეგ, ჯიბე ცალიერი გამობრძანდა აკაკი კლუბიდან. ან კი რა სიკეთეს დააყრიდენ ეს აფერისტები მხცოვან მგოსანს? აკაკი, სიბერისა და სიდამბლის გამო, ნახევრად დაბრუციანებული იყო და ხშირად ხელმწიფეს ჯარისკაცისაგან ვერც კი არჩევდა; მისი მოპირდაპირენი კი პირიქით, როგორც იტყვიან, ჩითავდენ ბანქოს და ცხრიანიდან ტუზი გამოჰყავდათ; მაგრამ ამას ანგარიშს არ უწევდა ჩვენი მგოსანი, ოღონდ თამაშის ჟინი კი მოეკლა და სხვას არას დაგიდევდათ. მისთვის ფულს დაღი არ ესვა: დღეს რომ ათასი მანეთი მიგეცათ, ხვალ კაპეიკიც არ ექნებოდა, მაგრამ ამაზე ძალიან ცოტას ფიქრობდა.

IV

აკაკის იუბილეი რომ გადაუხადეს, ხვათა შორის, მუხიანშიც მიიწვიეს ერთი წლის შემდეგ. მის პატივსაცემლად ჩვენც, მისი ახლო ნაცნობ-მეგობრებიც დაგვპატიჟეს ქუთაისიდან. დანიშნულ დღეს ნიკოლაძის ბინაზე შევიკრიბეთ, არ მახსოვს ორპირის, თუ მესხეთის ქუჩაზე, სადაც მაშინ აკაკი ცხოვრობდა.

მე ამ დღისთვის ლეგენდა დავსწერე „ერის გულის მესაიდუმლე“ იუბილიარის საძღვნოთ; დავბეჭდე და ერთი ცალი, ლამაზი ყდით, აკაკის მივართვი გამგზავრების წინ. აკაკიმ დახედა ყდაზე და, შიგ არც კი ჩაუხედავს, ჯიბეში ჩაიდვა ისე. ამ შემთხვევამ დამსწრე საზოგადოება მეტათ დააინტერესა. სთხოვეს აკაკის — ნება მიეცა ეს ლეგენდა ვინმეს ხმამაღლა წაეკითხა. აკაკიმ შორს დაიჭირა: „ახლა რომ წავიკითხოთ — ეს შთაბეჭდილებას გაანელებს და ზეიმზე ცუდათ გამოვაო;“ მაგრამ არ მოეშვენ, რადგან ზეიმს ბევრი მათგანი ვერ დაესწრებოდა, და აკაკიმაც დაუთმო ბოლოს. ლეგენდის წაკითხვა მასწავლებელ ქალს იურკევიჩს (მწერალ „რუს-იმერელის“ ქალიშვილს) მიანდვეს. ამ უკანასკნელმაც ჩინებულად წაიკითხა და ლე-

გენდამ აღტაცება გამოიწვია საზოგადოებაში. ვილამაც წამოიძახა: „ავტორი უთუოდ ჯილდოს ღირსიაო!“

— ჰოდა, თუ ჯილდოს ღირსია, ჩვენც დავაჯილდოვოთო, — დაუმატა აკაკიმ.

— მერე რით დავაჯილდოვოთ? — გაისმა აქეთ-იქიდან.

— იმით, რომ ავტორს წამკითხველმა სამჯერ აკოცოს ტუჩებშიო — დაასკვნა აკაკიმ თავისებური ღიმილით.

ამან კიდევ უფრო გაამხიარულა საზოგადოება და მოითხოვეს განაჩენის სისრულეში მოყვანა, მაგრამ განაჩენი მაინც შეუსრულებელი დარჩა და ქ — ნ იუტკევიჩს დღესაც მართებს შემი, აკაკის მიერ დაკანონებული საავტორო ჰონარარი — სამი კოცნა.

ამის შემდეგ ეტლებით გავემგზავრეთ მუხიანისაკენ. მე და დავით კლდიაშვილი აკაკისთან მოვთავსდით ეტლში, თანახმად მგოსნის სურვილისა. გზადაგზა ჩვენს მწერლობაზე და მწერლებზე ჩამოვარდა საუბარი. დ. კლდიაშვილმა ვაჟა-ფშაველა მოიგონა და ქებით მოიხსენია. აკაკიმ წარბები შეიკრა: „იმისთანა მეზმე ყველა ჩვენს ფეოდალს ჰყავდა წინედო“.

მე გაგონილი მქონდა, რომ აკაკი მეტოქეს ვერ ითმენდა, მაგრამ თუ ასე საამკარაოზე გამოიტანდა თავის ხვაშიადს, სწორეთ გითხრათ, ვერ წარმომედგინა. და როცა ფაქტის წინ დავდექი გული მეტკინა. დ. კლდიაშვილზედაც მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა ამან. შევეცადეთ წინააღმდეგი დაგვემტკიცებია, მაგრამ აკაკი გაჯიუტდა და მაინც თავისას გაიძახოდა.

ამ დავიდარაბაში მუხიანასაც მიუახლოვდით. აქ რამოდენიმე სოფელს მოეყარა თავი და დიდი ზეიმით შეგვხდენ. სკოლის ეზოს წინ მალალი თალი აემართათ და შუაზე აკაკის სურათი იყო გამოკიდებული, ვარდ-ყვავილებში გაწყობილი, ზედწარწერით: „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება სახელოვანო მგოსანო“. თალს რომ გავცდით, რომელიღაც ცელქმა ბავშმა აკაკის სურათს ქვა ესროლა და დაამსხვრია. აკაკიმ გაიცინა და სთქვა: „აქამდე დიდები მცემდენ, ახლა კი ბავშებმაც დამიწყეს ცემა — ეს, ალბად, იმის ნიშანია, რომ დავბერდი და ყურს ვერ ავუწევო“.

სკოლის დარბაზი საუცხოოთ იყო მორთული. აკაკი სცენაზე დაბრძანდა. დაიწყო მილოცვები, მაგრამ აკაკი განსაკუთრებით გლეხის ბავშებმა ასიამოვნეს, რომლებმაც სხარტათ და მოხდენილად წაიკითხეს აკაკის ლექსები. დასასრულ, აკაკიმაც წარმოსთქვა სამადლობელი სიტყვა, რომელიც ასე დააბოლოვა: „მე რომ კალამი ავიღე, ათას გლეხში ერთმაც კი არ იცოდა თავის საკუთარი სახელის და გვა-

რის მოწერა, ახლა კი მათი შვილიშვილები სცენაზე გამოდიან და ასე ჩინებულად კითხულობენ ლექსებს. ეს და მასთან ერთად ეს ზეიმიც, რომელიც ჩემ პატივსაცემად მოგიწყვიათ ასე გულმოდგინეთ, უთუოდ უტყუარი ნიშანია ერის გამოღვიძების და წინმსვლელობის. ამას რომ ვუცქერი, მეც, წელში ოთხათ მოკეცილ მოხუცს, გული საგულეში არ მიდგება სიხარულით და მინდა ბავშვივით ვიხტუნო. პატარა მოამაგის ბედნიერება ამაზე შორს ვერ წავა! ალბათ ამას ჩამჩურჩულებდა საიდუმლო ხმა, როცა ვამბობდი:

არ მომკვდარა, მხოლოდ სძინავს
და ისევე გაიღვიძებს;
მოიგონებს იმათ სახელს,
ვინც დღეს იმას არ ივიწყებს!“

ამან დიდი აღფრთოვანება გამოიწვია და დაუსრულებელი ავაციები გაუმართეს საყვარელ მგოსანს.

ზეიმის შემდეგ სადილზე მიგვიწვიეს. სუფრას, როგორც იტყვიან ჩიტის რძეც კი არ აკლდა, მაგრამ აკაკიმ ამით არ დაკმაყოფილდა და ჭადი და ლობიო მოითხოვა. გლეხები სახტათ დარჩენ. აკაკიმ კი სთქვა: „მე გლეხის ოჯახში გავიზარდე და გლეხებთან ერთად ჭადი და ლობიოც ისე შემიყვარდა, რომ, უიმისოდ გლეხის სუფრა ვერ წარმომიდგენიაო“. აფრინეს კაცი სოფელში და მოატანინეს ჭადი და ლობიო. აკაკიმ ჯერ ის მიირთვა და შემდეგ კი გოჭს და ქათამს შეექცა. ნადიმი მეორე დღემდე გაგრძელდა და დილით დიდი ამბით გამოგვაცილეს ქუთაისისაკენ.

V

ამის შემდეგ ერთხელ და უკანასკნელად ვინახულე აკაკი საჩხერეში, თავის სასახლეში, მაშინ როცა საოცელზე სიკვდილს ებრძოდა. მე რომ მივედი აკაკი შეწუხებული იყო და მასთან იშვიათად უშვებდენ მნახველებს. სახლი სავსე იყო საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან მოსული მნახველებით და ყველას სახე ჩამოსტიროდა.

ჩემი მისვლა რომ მოახსენეს ძალიან იამა და ექიმს სთხოვა — ორი წუთით შევეშვი მასთან. შემიყვანეს. აკაკიმ აკანკალებული ხელი გამომიწოდა, მე ჩამოვართვი, შუბლზე ვაკოცე და ორთავეს ცრემლით აგვევსო თვალები. ექიმმა აკაკის აღელვება შეამჩნია და ჩუმათ მანიშნა, რომ მალე გავშორებოდი. გამოვედი დარბაზში, მაგრამ გულით ლოდი გამოვიტანე.

მეორე დღეს აკაკიმ საგრძნობლად მოიხედა, ყველა მის სანახავად მისულები ოთახში მიგვიწვია და გვთხოვა — მისი ახალი პოემა წაგვეკითხა. ჩვენც დიდი ყურადღებით წავიკითხეთ, მაგრამ აკაკის მხოლოდ ენა გვეცნაურა, სხვა შიგ არაფერი იყო აკაკისებური.

პოემა, თუ მეხსიერება არ მღალატობს, მსოფლიო ომს და ამ ომში ქართველების თავდადებას და სიმამაცეს ეხებოდა და, ბოლოს, ნიკოლოზ II ემუდარებოდა, რადგან ქართველებმა დიდი მსხვერპლი გაიღეს რუსეთის დასაცავად, კეთილი ენებებია და გაენთავისუფლებია საქართველო.

პოემამ ჩვენზე მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა, მაგრამ არაფერი გვითქვამს საწინააღმდეგო იმის შიშით, რომ ეს ცუდათ იმოქმედებდა ავადმყოფზე; პირიქით, თავი ისე მოვაჩვენეთ, თითქო კიდეც მოგვწონდა; მაგრამ, მიუხედავათ ამისა, აკაკი მაინც მიგვიხვდა და თითქოს თავის გასამართლებლად სთქვა: „ამდენხანს სულ ვებრძოდი თვითმპყრობელობას, მაგრამ არაფერი გამოვიდა, ახლა თხოვნით მივმართავ, ეგება ამან მაინც გასჭრასო“.

ამ სიტყვებმა კიდევ უფრო დაგვიკოდა გული, მაგრამ, მეორეს მხრით, აკაკის უკეთ გახდომამ სიხარულით აგვავსო და მხიარული სახით გამოვეთხოვეთ ერთმანეთს, იმ იმედით, რომ აკაკი სიკვდილს გადარჩებოდა. მაგრამ ვინ შესცვლის ბუნების განაჩენს? არ გაუვლია ამის შემდეგ სულ ათიოდე დღეს და დიდი მომაგე სამუდამოთ გამოეთხოვა თავის საყვარელ „ცა ფირუზ, ხმელეთ ზურმუხტ“ ქვეყანას და ჩვენ კი მხოლოდ მოგონება დაგვიტოვა.

—— : ——

გიორგი წერეთელი

გიორგი წერეთელი ჯერ კიდევ არ არის საკმაოდ შესწავლილი. ის იმ დროს მოღვაწეობდა, როდესაც ჩვენი საზოგადოებრივობაც და ლიტერატურაც ერთგვარ „ავადობის“ პროექსიზმებს განიცდიდა. საზოგადოება, — ძველი ფორმების დაშლის და ახლის ჩასახვის პროცესში იმყოფებოდა; ლიტერატურაც, როგორც სოციალური ყოფიერების ანასახი, ანალოგიური მტეხიარობის საქცევში მოჰყვა. ბრძოლას თან-და-თანობით ძალა ემატებოდა. მხარეთა შორის სისასტიკე ნაწილდებოდა და მძაფრდებოდა. აზროვნებას პოლემიკური ელი აჩნდებოდა; შეფასების ობიექტიურობა სუსტდებოდა. გიორგი წერეთელი ამ ზოლში მოჰყვა და თითქმის გადაჰყვა კიდეც.

მას შემდეგ საკმაო დრომ განვლო. მაშინდელი ბრძოლის მოტივებს ვგრძნობთ თითქმის როგორც არქაიკას. ნიადაგიანად შეიცვალა როგორც ჩვენი საზოგადოებრივი ყოფიერება, ისე სალიტერატურო აზროვნება. ცხოვრების ძალამაც თავისი გაიტანა და მოითხოვა „ლირებულებათა ხელახალი შეფასება“. ამ ახალ ფენობიდან უკეთ მოსჩანს განვლილი სივრცეები. დღეს, გიორგი წერეთელი ამ საქცევში მოჰყვა, სადაც მისი შემოქმედების დანახვა შესაძლებელია ყოველ-გვარ მიკერძოების გარეშე. ყოველ-გვარი მხედველობისათვის საჭირო დისტანცია უკვე არსებობს, და ჩვენც ვნახოთ ამ საინტერესო მწერლის შემოქმედებითი პორტრეტი.

* * *

ჩვენს ლიტერატურაში, გ. წერეთელი ნატურალიზმის დამწყებად იხსენება. ასეთი „კანონიზაცია“ უფრო ფრანგული ლიტერატურის ანალოგიით იყო გამოწვეული, ვიდრე მისი შემოქმედების დამოუკიდებელი შეფასებით. იქ, საფრანგეთში, ბალზაკ-ფლობერის „რეალიზმს“ მოჰყვა ზოლას „ნატურალიზმი“, ჩვენშიც ერისთავ-ჭავჭავაძის „რეალიზმს“ — გ. წერეთლის „ნატურალიზმი“. ასეთი კვალიფიკაცია საერთოდ, ჩვენ მისაღებად არ მიგვაჩნია. არც იქ და არც აქ,

ჯერ არავის არ მოუცია ამ ცნებათა გარკვეული განსაზღვრა. ისევე როგორც „რომანტიზმი“ დღემდე ცნებათა აღრევის საგნად იყო გადაქცეული, „რეალიზმ-ნატურალიზმის“ პრობლემაც უსაფუძვლო დოგმატიზმის პირობებში იმყოფება. დ. სოვაჟოს, რეალიზმის განსაზღვრის საუკეთესო ფორმულად ე. ზოლას ნათქვამი მიაჩნია: — „ჩვენი დავა იდეალისტებთან მდგომარეობს მხოლოდ შემდეგში — შემოქმედების დასაყრდენ პუნქტად ჩავთვალოთ ცდა და დაკვირვება, თუ გამოსავალ პუნქტად მივიღოთ ესა თუ ის აბსოლუტი“ — ჩვენა გვგონია, რომ ვერც ეს ფორმულა არის გადამწყვეტი. ამ თვალსაზრისით, რა განსხვავება არსებობს სტენდალსა და ვიქტორ ჰუგოს შორის, ფლობერსა და დიუმას შორის? არავითარი. ცდა და დაკვირვება ორივე შემთხვევაში გვაქვს, თუმც პირველნი რეალისტებად არიან მიჩნეულნი, მეორენი კი — რომანტიკოსებად. ამ დანაწილებისათვის საკმაო საფუძველი ჯერ მოძებნილი არ არის. დადიან ეს ტერმინები ლიტერატურაში, შეიძლება ითქვას უკრიტიკოდ, და ხელ-აღებით სწარმოებს მწერალთა ამა თუ იმ რანჟირის ქვეშ დადგენა.

ჩვენთვის სრულიად მიუღებელია რეალიზმ-ნატურალიზმის აჩემებული ხმარებაც. რეალზმსა და ნატურალიზმს შორის არავითარი განსხვავება არ არსებობს მე-XIX ს. საფრანგეთში, როგორც ვიცით, რეალიზმის დამწყებად ბალზაკი და სტენდალი ითვლებიან. ხოლო სიტყვა „ნატურალიზმი“ სენტ-ბევმა იხმარა, ფლობერის „M-me ბოვარის“ შესახებ. ეს სახელი შეარქვეს ფლობერის ირგვლივ თავ-მოყრილ მწერალთა შემოქმედებას (ძმ. გონკურების, დოდეს, ზოლას, მოპასანის და სხ..), შემდეგში კი ეს სახელი თითქმის მხოლოდ ე. ზოლას შერჩა, სხვებს კი რეალისტების სახელი დაუმკვიდრდათ. მას აქეთ მოდის ეს დანაწილება, სრულიად გაუმართლებელი და უსაფუძვლო. ნამდვილად ბალზაკ-ფლობერ-ზოლა, ერთი მაგისტრალის სამი წერტილია, და თუ ზოლა მაინც განაცალკევეს, ამის მიზეზი მის რომანებში კი არ უნდა ვეძიოთ, არამედ მის Le roman expérimental“-ში, სადაც ბევრი ლაპარაკია „დოკუმენტების“, „ფიზიოლოგიის“ „ცნების“ და სხ... შესახებ, მაგრამ ზოლას შემოქმედების შეფასებისათვის ყველაზე ნაკლები მნიშვნელობა იმის თეორიულ მოსაზრებებს ეთმობათ.

ჩვენ კარგად ვიცით, რომ მეტ წილად შემომქმედის აზრი და შემოქმედების აზრი ერთმანეთს სცილდებიან, და ე. ზოლასაც ეს დაემართა. გ. წერეთელიც ანალოგიურ მდგომარეობაში ჩავარდა. მართალია, მას თავისი თავისათვის „ნატურალისტი“ არ უწოდებია, „შეუფერავი რეალიზმის“ სახელით კი „მონათლა“ თავისი შემოქმედება.

რა უნდა ვიგულისხმოთ ამ ცნებით? იგივე, რასაც ფრანგი რეალისტები ჰგულისხმობდნენ: სინამდვილის სრულიად „ობიექტიური“ გადმოცემა, ყოველგვარ მორიდების გარეშე. ისევე, როგორც მეცნიერები იკვლევენ ფაქტების შერჩევა და კლასიფიკაციაზე დამყარებით, და არა საკუთარ გზნების კარნახით.

„შეუფერავი რეალიზმი“ — ეს არის. სულ სხვა საკითხია, რამდენად შესძლეს ან შესაძლებელია ასეთი მხატვრობა საერთოდ; ამ ჟამად ჩვენთვის საინტერესოა გ. წერეთლის „ნატურალისტობა“, და იმ სპეციფიურ ნიშნის მოძებნა, რომელიც მის ნაწარმოებთ გამოარჩევს „რეალისტების“ შემოქმედებიდან. ასეთი ნიშანი არ არსებობს. გ. წერეთელი იმავე ხერხითა სწერდა, იმავე არქიტექტონიკით, ლექსიკონით და სხ... როგორც ჩვენში დადგინდა გ. ერისთავის, დან. ჭონქაძის, ლ. არდაზიანის, ი. ჭავჭავაძის, ა. წერეთლის და სხ. მიერ. რა უყოთ რომ გ. წერეთელმა, „შეუფერავ რეალიზმის“ ცნებით სცადა თავი გაემიჯნა იმ მიმართულებისაგან, რომელიც ი. ჭავჭავაძის სახელს დაუკავშირდა. ეს კიდევ არ არის საკმარისი. გ. წერეთელი სწერდა: — „ხელოვნურ ლიტერატურაში, ილიამ დაამკვიდრა სენტიმენტალურ-ტენდენციერი მიმართულება, და მისი ლუარსაბი და დარეჯანი უფრო კარიკატურას წარმოადგენენ ქართული მეგატონის და ქალბატონის ტიპებისას, ვიდრე ხელოვნური ხერხით წარმოშობილ, ცოცხალს, ერთნაირ ბუნებასა და გარემოებაში შექმნილ ტიპიურ არსებებს“. ე. ი. გ. წერეთელმა იგივე აზრი გაიმეორა, რაც ბალზაკ-ფლობერ-ზოლას სკოლის მთავარ საყრდენს წარმოადგენდა. მაგრამ აქაც, გ. წერეთელი იმავე შეცდომაში ჩავარდა, რაც განსაკუთრებით ზოლას სალიტერატურო აზროვნებას ახასიათებს. ხელოვნება უნდა სინამდვილეს .სახავდეს ობიექტიურად, ე. ი. გვისახავდეს იმას, რაც არის და როგორც არის. მაგრამ მხოლოდ იმპერატივი არა კმარა, მართლა რომ ფაქტი არის საჭირო, ან ზოლას ტერმინი რომ ვიხმაროთ, „ექსპერიმენტი“. „ხელოვნება უნდა სინამდვილეს ჰსახავდესო, — ამ დებულებას გაგება უნდა. დიახ, უნდა ჰსახავდეს, მაგრამ როგორ? ობიექტიურად? ეს შეუძლებელია. ეს იმას ჰნიშნავს, რომ ნატურასა და ხელოვნების შორის იგივეობის ნიშანი უნდა გავიდეს. ნატურა a უნდა უდრიდეს ხელოვნება b-ს. ეს კი წარმოუდგენელია. რასაკვირველია, ხელოვნება სინამდვილესთან მჭიდროდ არის დაკავშირებული, უამისობა არც იქნება, მაგრამ ხელოვნება რომ სინამდვილეს აჰსახავს, ეს მაინც სუბიექტივობით იქნება „შეფერილი“. (ფოტოგრაფიული აპარატიც კი ვერ გადმოგვცემს სავსებით ობიექტურად). ნატურა სულ სხვა რიგის მოვლენა არის ხელოვნება კი — სხვა. სამი ისეთი ძირითადი მომენ-

ტი უძევს ამ განსვავებას საფუძვლად, რომ მათი გაუთვალისწინებლობა მხოლოდ შემცდარ აზრების წყაროდ იქცევა. ესენი არიან:

1. ნატურის ორგანიულობა და ხელოვნების არა-ორგანიულობა;

2. ნატურის თავის-თავადობა და ხელოვნების ნათხზაობა;

3. ნატურის უსაზღვროობა და ხელოვნების მაქსიმალური მოსაზღვრულობა ან უკეთ, შემოკლება, როგორც ფოლკელტი უწოდებს.

თუ ამ ძირითად განსხვავებასთან ერთად შემოქმედების ინდივიდუალობასაც გავითვალისწინებთ, ნათელი გაჰხდება ის მდგომარეობა, რომლის სივრცეზედაც უნდა გადაიშალოს ხელოვნების და სინამდვილის შორის ურთიერთობის გაგება. ამ უკანასკნელ მომენტის ძალით, სინამდვილე, შემოქმედის „სულში" გამოვლითა ჩნდება, ე. ი. ეს სინამდვილე, ხელოვანის ემოციათა, რწმენის, აზროვნების და მთელი მსოფლმხედველობის ხასიათს იღებს. შედეგად გვრჩება არა ობიექტური სინამდვილე, არამედ ცოტად თუ ბევრად სუბიექტური, ე. ი. „შეფერილი რეალიზმი". სხვანაირად რომ ვსთქვათ, ხელოვნება სინამდვილიდან მომდინარეობს, მაგრამ შემოქმედების გზით, ეს სინამდვილე გარდაიქმნება და სრულიად თავისებური სახითა სდგება. სხვა საკითხია ამ გარდაქმნის ხასიათი, ამაზე არას ვლაპარაკობთ ამ ჟამად, ჩვენთვის თვით გარდაქმნის ფაქტია საინტერესო, ამის უარყოფა არც შეიძლება, ისე რომ არც გიორგი წერეთელი არის მართალი, როდესაც „შეუფერავ რეალიზმის" მიმდევრად აცხადებს თავს, და არც ისინი, ვინც გ. წერეთელს „ნატურალისტს" უწოდებენ. ან ვისთვის არის საინტერესო ბუნების პირის გადმოღება, ან რისთვის არის ეს საჭირო?

„შეუფერავი" თვით ნატურა არის, ხელოვნება კი ყოველთვის „შეფერილია" იმ მიმართულებით, რომელიც ჩვენსა და ბუნების შორის არსებობს. გ. წერეთლის ზემო-ხსენებული ნათქვამი უფრო საპოლემიკოდ მიმართული „თეორია" იყო, ვიდრე შემოქმედების ფენომენის ანალიზზე დადგენილი აზრი, რომელიც ბრძოლისათვის შეიძლება კარგიც იყოს, მაგრამ აზროვნებისათვის — უნიადაგო.

ეს ჩვენი აზრი თვით გ. წერეთლის შემოქმედებით არის ცხად-ყოფილი. ვინ იტყვის, რომ მისი გმირები „შეუფერავები" არიან? მთელი ეს წყება კიკოლიკი-ჩიკოლიკ-კუდაბზიკებისა, ეს დაზგები, ეს მამიდა ასმათები, ფულავები, ვალიდები და სხ... განა „ექსპერიმენტალურნი" არიან? განა აქ კი არ არის იგივ „სენტიმენტალურ-ტენდენციური მიმართულება" რაც ლუარსაბ-დარეჯანის კარიკატურაში თვით დაინახა?

გ. წერეთლის მხატვრული მანერაც ტენდენციურია, მისი მსოფლმხედველობაც სუბიექტიური, და მისი შემოქმედების ლირსებაც ამაშია. ჩვენ, ამ სუბიექტიურობის საშუალებით ვხედავთ იმ ზნეობრივ თუ გონებრივ ქვეყანას, რომლის ძალითაც ავტორი აწესრიგებდა სინამდვილეს და წარმოდგენით გარდაჰქმნიდა იმ რეალობას, რომლის ბევრი მხარე მისთვის მიუღებელი იყო.

*

* *

ქართულმა ოფიციალურმა კრიტიკამ, გ. წერეთლის შემოქმედება შეიძლება ითქვას რომ არ მიიღო. ვერავინ დაგვარწმუნებს, რომ ამ შეფასებას მხოლოდ ესთეტიური აზრი ედო საფუძვლად. შემოქმედების ფორმები კი არ იყო გ. წერეთლის „კათაკმევლობის" მიზეზი, არამედ თემა. ამ ნიშნით იყო ჩვენი იმ დროინდელი აზროვნება დანაწილებული. თემის მხრივ, გ. წერეთელი დ. ჭონქაძის და ლავრენტი არდაზიანის ხაზის გამგრძელებელია იმდენად, რამდენადაც თავისი მხატვრობის საგნად ახალი სამრეწველო ეპოქა აქცია. ეს თემა კი, ჩვენს ოფიციალურ კრიტიკას ათვალწუნებული ჰქონდა ისევე, როგორც ევროპაში ასეთ თემებს ხელოვნების ლირსად არა სთვლიდენ ძველი ესთეტიზმის წარმომადგენელნი. ეს ერთი მხრივ. მეორე მომენტიც იყო: გ. წერეთელის შემოქმედებას უარყოფდენ იმ იდეოლოგიის გამო, რომელსაც გიორგი წერეთელი ისე ჯიუტად ჰშლიდა თავის მოთხრობებში. უარჰყოფდნენ ისინი, ვინც ჩვენი ქვეყნის ეკონომიურ და კულტურულ განვითარებისათვის ეწინააღმდეგებოდნენ ევროპის „შაბლონს", ვინც რუსულ „ნაროდნიკულ" რეცეპტებით ფიქრობდნენ ჩვენი ქვეყნის „თავისებური" გზის გამონახვას.

იღებდნენ კი — ახალი დასის წარმომადგენლები, კაპიტალიზმის საქართველოში შემოჭრის მახარობლები, რომელნიც ამ „ევროპიულ გზით" ელოდნენ კლასობრივი ბრძოლის ახალ ფორმებით განვითარებას, მუშათა მოძრაობის სისტემატიზაციას და ამ ბრძოლის შედეგს — მშრომელი ხალხის გამარჯვებას.

იმდენად, რამდენადაც იმ პერიოდში, ჩვენი კულტურის მეთაურობა პირველებს ეკუთვნოდათ, იმდენად გ. წერეთლის თემა დაწუნებულ იქმნა. და თემასთან ერთად,მთელი მისი შემოქმედებაც. ცხოვრებამ გ. წერეთლის თემა გაამართლა. ისე რომ, მის შემფასებლად, ეს „მთავარი" დაბრკოლება აღარ არსებობს. დარჩა შემოქმედება ყოველ-გვარ ნართაულ მომენტების გარეშე, რომლის საფუძვლიანი გა-

მოკვლევა სულ სხვა სურათს იძლევა, ვიდრე ჩვენს ლიტერატურაში იყო დადგენილი და განმტკიცებული.

— „იყო დრო, როცა ქალაქ ფოთის ნავთსადგურში პირველად იწივლა ცეცხლის გემმა, მისმა წივილმა პირველად განუფრთხო ძილი მტრისგან მოუძლურებულ საქართველოს ერს. ეს იყო ახალი დროის მამლის ყივილი დასავლეთ საქართველოში. ფოთი აღინიშნა შავი ზღვის კიდეზედ კავკასიის ბოლოზად.

სამეგრელოში ასტყდა დიდი ფაცა-ფუცი. დიდი და პატარა, ყველა ფოთისკენ გარბოდა. იმ დროს, ერთად-ერთი ფულის მოსაგები კუთხე ფოთი შეიქნა... დადგა მეორე ხანა კაცობრიობის მოძრაობისა, და კვლავ მოუბრუნდა იმედი კავკასიას; მასთან საქართველოსაც განუახლდა ძველიდანვე დაკარგული სასოება, რომ ხელ-მეორედ გამხდარიყო კაცობრიობის განათლების გზად და ხიდად“... ასე დაიწყო გ. წერეთელმა „პირველი ნაბიჯი“. ამ პირველი ფრაზითვე ავტორი ჰქმნის იმ განწყობილებას, ურომლისოდაც თითქოს შეუძლებელია რომანის კვინტესენციის გაგება. „სასოების განახლება“, „კავკასიის იმედი“ — ყველაფერს გამოისყიდის, და ავტორიც, ამ ფრაზას გახარებული მღელვარებით რომ ამბობს, ისე კი არ ამბობს, რომ რაღაც გაგვაგებინოს, არამედ ზეიმის ხასიათს აძლევს, თითქოს რაღაცას გვილოცავს. ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში გარდატეხა ხდება. იძებნებოდა იმ ბანდ ადგილიდან გამოსავალი გზა, რომელიც ფეოდალურ წყობილების გადაშენებას მოჰყვა. ქვეყანას ახალი პერსპექტივები ეშლებოდა და გ. წერეთლის სიხარულიც აქედან გამომდინარეობდა. ჩვენ კარგად ვიცით ის სურათი, რომელსაც წარმოადგენდა ჩვენი ცხოვრება მეცხრამეტე საუკუნის ნახევარში; ნიადაგ-შერყეული მაღალი წოდება, ფუქსავატი ამპარტავნობით მაინც რომ ეჭიდებოდა თავის გვარიშვილობას; რომ ჯიუტობდა იმის წინააღმდეგ, რაც მის ძალას ბევრად აღემატებოდა; რომ ახალ ცხოვრებისათვის მოუმზადებელი და გამოუსადეგარი, აქეთ-იქით ეხეთქებოდა უიმედო და უნარ-მკვდარი.

— „შენ აგი მითხარი, აზნოუშვილი ხომ ხარ?

— „აზნოუშვილი ვარ, აბა რა ვიქნები? აზნოუშვილი აზნოუშვილს ჰქვია, მე ძირის აზნოუშვილი ვარ“...

ეს „აზნოუშვილობა“ ღა რჩებოდათ ფარ-ხმალად, მაგრამ ხმალს ფხა ალარა ჰქონდა და ფარიც ზედ-მეტი გაჰხდა.

— „არა, გლეხების განთავისუფლება კარგია. ჩიკოლიკმა თქვა, იგენიც და ჩვენც ძალიან მოვიგებთ. ჯამაგირი გვექნებაო და ფული სულ ბზესავით მოგვივაო.

— საიდან გექნება. რომ გლეხები ალარ გვეყოლება?

— ხელმწიფე მოგვცემს და მერე ვაჭრობას დავიწრებთ.

— კაცო, აზნაურობას მერე ვაჭრობაში გაცვლი! კარგი, აზნაური ყოფილხარ! მომიკვდეს შენისთანა აზნაური!..

ამ დეტალებიდან კარგად მოსჩანს: დაბნეულობა, ზნეობრივ-გონებრივი ორმო, ცხოველური შიში საქმის წინაშე. ეს ერთი მხარე.

— „ჯერ ქვეყანა ისთე არ მონათლულა, რომ ბატონყმობა მასთე ადვილად გადავარდეს. თუ კაი თავისუფლება იყოს, მაგისთანა კაცებიც არ დეიწყებდნენ იმაზე ლაპარაკს. ჩიკოლიკი არ ბრძანდებოდა მაგი, რომ იმისთანა წუმაში ძალათეი წამოგვათრია? არა, ის თავისუფლება ისთევლე მაგენის სასარგებლო იქნება. ხემწიფემ კიდეც რო მოგვცეს თავისუფლება, მაგენი დაგვიმალავენ. ჩინოვნიკები მებატონები არ არიან, აპა რა არიან?

— „ჩინოვნიკებს უგლეხებოთაც ბრევლი ფული აქვთ. მაგენს ხელმწიფე აძლევს ჯამაგირს. რაც ხელმწიფეს ჰსურს, მაგენსაც იგი ენდომებათ.

— „კი, ისთე გგონია შენ! თუ მაგრეა, აბა რეიზა აქამდინ არ გაათავისუფლეს თავისი ყმები ჩინოვნიკებმა? შენ სუნელი ხარ ჩემო ბიძია. არაფერი არ გეყურება. რაც მეტი ექნება, ჩინოვნიკსაც იგი ურჩევნია. იგი არ ურჩევნიათ, რომ ჯამაგირსაც ეიღებენ და გლეხ-კაცსაც გამოართმევენ. სუნელს რა უნდა გელაპარაკო?

— „სუნელიც ხარ და არც არაფერი იცი! ხელმწიფეს თუ უნდა, მაგენი ვერაფერს გაბედავენ...

— გასწი იქით...

კიდევ ერთი დეტალი:

— „არა ბატონო, ჩვენ კიდო ბატონი გვირჩევნია... ვინ იცის, მერე რა დაგვემართება, იქნება უარესი დროც მოვიდეს. ასთე ამბობენ, სალდათსაც მოგვთხოვენო...

— მთავრობას ბატონო ჩვენთვის არ მოუცლია...

— „ეჰ, დალოცვილო, გლეხ-კაცს რა გააკეთებს?!..

— „ნეტაი ღმერთი იმ ჩემს ბატონს მომაშორებდეს, თვარა კაცი რავა მეჯობინება ქვეყანაზე... და სხ...

აქაც ნათელია სურათი: ჩვენი გლეხის დაბეჩავებული, დამფრთხალი და უნდო სული; უვიცი, შეგინებული და ჩლუნგი გონება, რის მიზეზიც ის ბატოყმური ურთიერთობა იყო, რომლის გმობასაც კი ვერ ამბობენ, თითქოს ეშინიანთ და ენანებათ კიდეც ერთსა და იმავე დროს.

ასეთი მდგომარეობა იყო მეორე მხრივ. აქაც ბანდი ადგილი, გამოუსვლელობა. ხსნის გზა იყო საჭირო. ეს გზა გიორგი წერეთელმა

დაინახა იმ ახალ ეკონომიურ ურთიერთობაში, რომელიც ევროპიდან მოდიოდა, და რომლის დიალექტიკაც მოითხოვდა წრომის გამარჯვებას და ადამიანთა გათანასწორებას, როგორც ეკონომიურად, ისე მორალურად. ამ სფეროშია მოქცეული გ. წერეთლის შემოქმედება, რის შინაარსობრივ განხილვასაც აქ არ შევუდგებით, ჯერ უადგილობის, და შემდეგ ყველასათვის ნაცნობობის გამო. ჩვენ ვნახოთ გ. წერეთლის მხატვრული უნარი, თუ როგორ ქმნიდა, როგორი იყო ის გამოთქმის თუ გამოსახვის საშუალებანი, რომელთ მიხედვითაც ჰფიქრობდა იგი ზე-მოქმედების მოხდენას.

*
* *

— „არაფერი ისე არ ამტკიცებს ჩვენს აზრს გ. წერეთლის მხატვრული ნიჭის უფერულობის შესახებ, როგორც მისი სტილი, კილო მისი წერისა... ის პოეტური, ხელოვნური იარაღი, რომელსაც იგი ხმარობს ამა თუ იმ სურათის გამოსახატავად, მეტად დაჟანგებულია და მეტად ჩლუნგი... ამითაც გ. წერეთელი ტიპიური წარმომადგენელია გადაგვარებული რეალიზმისა, უფერული ნატურალიზმისა. ამ მიმართულების მიმდევართ, ჩვეულებად აქვთ ისეთი კილო წერისა, რომელიც სრულიად მკრთალია, მოკლებულია მხატვრობას, მათი ენა ჩვეულებრივია, ისეთი, რომელზედაც ლაპარაკობს კაცობრიობის უმრავლესობა, შედარებას იღებენ ჩვეულებრივს, ყოველდღიურის შემთხვევებიდან, ხოლო ამ ჩვეულებრივს, მათი თვალები უფრო ხშირად ჰხედავენ ჭუჭყიანს, ბინძურს და უმსგავსო მოვლენაში; ბუნებას აგვიწერენ თუ სხვა რასმე, იგინი უფრო წვრილმანს აკვირდებიან და თან-და-თანობით ჩამოგითვლიან ყოველ ნაწილს საგნისას, ყოველ მის მოხაზულობას და ისეთის პედანტიზმით, რომ წვრილმანის გაკიდების დროს, მათ მთავარი ძაფი ეკარგებათ და საერთო ღრმა შთაბეჭდილებას ველარ მოახდენენ ხოლმე“... ასე სწერდა კიტა აბაშიძე. ამ ამონაწერიდან მკაფიოდ ისმის ევროპაში გაბატონებული აზრი რეალიზმის შესახებ, რომელსაც საფუძველი არ გაჩნიაა. ის, რაზედაც აქ არის საუბარი, ნიჭისა თუ უნიჭობის საკითხია და არა რეალიზმისა თუ რომანტიზმისა. დეტალებიო, მაგრამ ნატურალისტ ე. ზოლას იქნებ არც კი ჰქონდეს ისეთი დეტალიზაცია, როგორც რომანტიკოს ვიქტ. ჰუგოს „Miserables“-ში, „Notze Dame“-ში და სხ... ან რომელ რომანტიკოსსა ჰქონდა მთლიანობის ისეთი ასახვა, ყოველგვარ დეტალების გარეშე, როგორ ფლობერს?

მაგალითების მოყვანა მრავლად შეიძლება, როგორც უცხოეთის, ისე ჩვენი ლიტერატურიდან; ისე რომ მხატვრული პალიტრის და აპერცეპციის საკითხი მიმართულებიდან არ გამომდინარეობს. ყოველგვარი ცდა ამ მხრივ უნაყოფო იქნება. შეიძლება გ. წერეთელიც „უფერული" იყვეს, მაგრამ იმიტომ კი არა, რომ იგი „გადაგვარებულ ნატურალიზმის" წარმომადგენელი იყო, არამედ თავის-თავად. ეს ჩვეულებრივი შეხედულებაა რეალისტების შესახებ, რომელიც არც არსებითად არის სწორი ზოგადათ რომ ვიგულისხმოთ, და არც ამ შემთხვევაში, გ. წერეთლის შემოქმედება რომ გავითვალისწინოთ. პირ-იქით, გ. წერეთლის წერის მანერაში ბევრი რამ იყო ახალი. შეიძლება დღეს ამ სიახლეს ველარა ვგრძნობდეთ, რადგან ჩვენმა შემდგომმა ლიტერატურამ შეიხორცა იგი, მაგრამ თუ იმ ეპოქაში გადავალთ, აღმოჩნდება რომ გ. წერეთელი ეპიგონი არა ყოფილა. მართალია, პირველ-ხანებში იგი ი. ჭავჭავაძის მძლავრ გავლენას განიცდის. ზოგგან ეს გავლენა იმდენად დოკუმენტალურია, რომ პირდაპირ თვალში გეცემათ. მაგ. გ. წერეთელი „ერთი შეძლებული აზნაურის" სახლს ასე ასწერს: — „ჩემი მასპინძლის სახლს პატარა აივანი ჰქონდა, მაგრამ რიკული კი არც ერთი აღარ ებადა, სულ ჩასცვენოდა ადამის წლის მოხუცებულსავით. ხარიხაც ასეთ რიგად ირწეოდა, რომ იმის ჩაქცევას ერთი ხელის კვრის მეტი არა უნდოდა-რა... სასტუმრო ოთახი ფიცრის იატაკით იყო მოგებული. ფიცარსა და ფიცარს შუა იატაკს ისეთი ფარღალალები ჰქონდა დატანებული, რომ დიდი გაფრთხილება ჰმართებდა კაცს, ფეხი არ ჩავარდნოდა"... ალბად გაგონდებათ ი. ჭავჭავაძის მიერ აწერილი თათქარიძის კარმიდამო... აი ეს ადგილი: — „თუ ვეწვევით. ფრთხილად უნდა ვიყვეთ. იატაკი აგურისა არის. ეგ არაფერი. ეს არის ძნელი, რომ აგურები შიგ-და-შიგ ამოცვინულან; იმათი ალაგი ამოთხრილ ორმოებად დარჩენილა. თვალების ძალიან გაფაციცება უნდა, თორემ თუ ფეხი შიგ ჩავარდა, ვაი შენს მტერს"... გ. წერეთლის თავადი დაზგაც, ეჭვს გარეშეა ლუარსაბ თათქარიძის მოდელის მიხედვით არის შესრულებული. კიდევ ბევრი ელემენტების დასახლება შეიძლება, რომელნიც ააშკარავებენ გ. წერეთლის ი. ჭავჭავაძესთან სიახლოეს ამ მხრივ, მაგრამ ეს შემდეგი კვლევის საქმეა. მაგრამ ეს გარემოება სრულიადაც არ ამცირებს გ. წერეთლის მხატვრულ ღირსებას. ისევე, როგორც დოსტოევსკის—გოგოლის გავლენა, მოპასანს-ფლობერისა და სხ... გავლენა კი არ არის საძრახისი, არამედ მუდმივი ეპიგონობა და დაუსრულებელი ტყვეობა. გ. წერეთელმა კი ეპიგონობას სულ მალე დააღწია თავი, იქცა დამოუკიდებელ შემოქმედად, და თავის მხრივ გავლენა მოახდინა შემდგომ ლიტერატურაზე.

(მაგ. დ. კლდიაშვილის შემოქმედებაში ჩვენ გარკვეულადა ვხედავთ გ. წერეთლის კვალს).

შეიძლება ითქვას, რომ გ. წერეთლის თემა ლარიბია. მაგრამ ეს სილარიბე ჩვენი სინამდვილის ბრალი იყო და არა ავტორისა. გ. წერეთელი, თავის მსოფლმხედველობის ძალით ვერ გაექცეოდა ამ სინამდვილეს, ისევე, როგორც ვერ გაექცენ სხვები, და ერთგვარად „მსხვერპლად" იქცა. თვით ავტორიც ხომ ამბობს, „პატარა მსხვერპლი" იყო საჭირო საზოგადო საქმისთვის. ამ „მსხვერპლს" იგი არ გაექცა.

ჩვენის აზრით, ლარიბი თემით შემოქმედება უფრო ძნელია. აქ ავტორისათვის ყველაზე ძნელი განსაცდელია. დიდ საკითხს ავტორი თუ ვერ გაჰყვება, თვით საკითხი მაინც გაიყოლებს და გაიტანს, როგორც ემართებოდა შ. არაგვისპირელს, ა. დეკანოზიშვილს და სხ... ჩვენში, ლ. ანდრეევს რუსეთში, დოდეს — საფრანგეთში და სხ... მრავალთ. ის უფრო დიდი საქმეა, რომ სულ უმნიშვნელო მოვლენა ისე შეამჩნიო და სთქვა რომ საგნობრივი სიპატარავე ფორმალურმა სიდიდემ გამოისყიდოს. საკითხავია, შესძლო ეს გ. წერეთელმა თუ ვერა?

ჩვენ ვიცით, რომ მესამოცე წლები, როგორც გარდამავალი ხანა, კომიკურ ელემენტებით აივსო და ჩვენმა ლიტერატურამაც ეს მხარე საგანგებოდ ამოიჩემა. ცოტა ადრე, გ. ერისთავიდან მოყოლებული, ამ სასაცილო მხარეების ჩვენება, ძრახვა და გამოსწორების ქადაგება იქცა ლიტერატურის მთავარ ამოცანად. ამ ჟანრით დაიწყო გ. წერეთელმაც თავისი მხატვრული მწერლობა. სადებიუტო ნაწარმოები იყო „კიკოლიკი, ჩიკოლიკი და კუდაბზიკა", რომელიც დაიბეჭდა 1867 წლ. „დროებაში".

ეს ნაწარმოები, მგზავრის წერილებია, რომელშიაც აწერილია დასავლეთ საქართველოს იმ დროინდელი ვითარება. და უნდა ითქვას, რომ მეტ წილად, ავტორი, ძალიან მახვილი თვალით და მოსწრებული ენით აგვიწერს ჩვენი სინამდვილის მიმალულ კუთხეებს. აქ ნაჩვენებია ჩვენი გლეხ-კაცობაც, ინტელიგენციაც და თავად-აზნაურობაც. ნაჩვენებია მხატვრული სისწორით, საერთო ზომიერების დაცვით და ნაკვეთად. როგორც ვიცით, ამ ნაწარმოებში ის მომენტია აღებული, როდესაც სამეგრელო-სვანეთში ბატონ-ყმობის გადავარდნას ელიან და სადაც მოგზაურობს ჩვენი ავტორი. საგულისხმოა თვით მომენტის შერჩევა.

ეს არის საქანაო პუნქტი, სადაც ყველაფერი გაურკვეველია, და სწორედ ასეთ მომენტებში მჟღავნდება ადამიანის უნიღაბო სახე. გ. წერეთელს სწორედ ეს აინტერესებდა. იგი ჩვენი ქვეყნის აღორძინე-

ბის ფიქრით იყო შეპყრობილი და ხალხს ეძებდა, რომელიც ახალი ცხოვრებისათვის ბრძოლას თავს იდებდა. მას აღელვებდა ჩვენი ქვეყნის პროგნოზი, ხოლო ამ უკანასკნელის სისწორისათვის დიაგნოზი იყო საჭირო. აქედან დაიწყო მისი მოღვაწეობაც. და ეს „მგზავრის წერილები" იმ სინამდვილის საუკუთესო განმარტებაა, რომელიც ჩვენი ქვეყნის ტკივილებსაც შეიცავდა და იმ „საპროგრამო სიტყვასაც", რომლისთვის გიორგი წერეთელს სიკვდილამდე არ უღალატნია.

ეს „მგზავრის წერილები" რასაკვირველია წმინდა ლიტერატურული ნაწარმოები არ არის. აქ აუარებელია პუბლიცისტიკა, დიდაქტიკა და სხ... მაგრამ ეს არ ამცირებს ამ ნაწარმოებს. ასეთი ხასიათის ნაწარმოები, სადაც ფაბულა არ არის, სადაც შინაგანად უკავშირო, მიზეზობრივ — დროულად გადაუბმელ თემატიურ მასალის ჩვენება არის მხოლოდ, ხსენებულ მომენტებს ვერ ასცდება. უფრო მეტიც: ამითია გამართლებული. მაგ. ჰაინეს „მოგზაურობა ჰარცზე", ილია ჭავჭავაძის „მგზავრის წერილები", გონჩაროვის „ფრეგატ პალლადა", ალ. ყაზბეგის „ნამწყემსარის მოგონებები" და სხ... წეიძლება ითქვას, რომ ავტორი ხშირად ვერ იცავს გამოთქმის საშუალებათა ეკონომიას, ზოგჯერ ვერც დიდ რაიმე სურათს იძლევა, მაგრამ სამაგიეროდ ბევრი აქვს ლირს-საცნობი მხარეებიც, რაც უნდა აღინიშნოს. ზოგი-ერთი მისი სურათები დღესაც კი, ამ გამახვილებულ თვალისა და ყურის ხანაში ახალია. მაგ. — „ხან დგეხარ თოვლიან ქედზე; შორს, მთის ნახეთქებში ვეება თოვლი ჩამოწოლილა; ის თან დნება და თან ადამის წლის კლდეებს გრგვინვით აოლვევს. ზოგჯერ ისიც მომხდარა, რომ თვალ-აუწვდენელის მთის ძირზე დავბინავებულვართ, ზევიდან გათეთრებული მთის წვერი მიმინოსავით დაგვყურებს. უეცრად, ბნელ ღამეში ამობრწყინდება კაშკაში მთვარე და შეხედავ, რომ იმ მთის ძირზე შემოეხვია ბამბის ქულასავით თეთრი ღრუბელი. დილას, როცა მზე ცას გააპობს, შეხედავ, რომ იგივე ბამბის ქულა ღრუბელი მთის წვერზე ადენილა და იქ დამჯდარა წმინდანივით"... „პაწაწინა მთის კალთებზე ამწვანებული სიმინდის ყანები ყურათმაჯების ფრიალით თავს იქცევდნენ"... „...ხევები გაგიჟებით ღრიალებდენ და ცხეფს ისეთის გამწარებით ისროდნენ მაღლა, რომ გეგონებოდა, ჯავრისაგან ქოჩორს იწიწკნიანო. ცის კამარა თუშურ ქუდსავით დაემხო აყუდებულ მთის ზვინებს"... „ჭალის ყელში ცალი მხრით დადიანის სასახლე და მეორე მხრით მონასტერი, მდინარის აქე-იქით კუთხეებში, მთის ძირს, ორ, კუპრივით შავ დებად მომეჩვენენ"...

...„მუდამ ცხვირის წინ გვეტუზებოდენ ბურუსიანი შავი მთები. ზევით თუ აიხედავდი,, ასე გეგონებოდა, ცა სწორედ ამ მთის წვერზე

არისო დალაგებული, როგორც ციხის გუმბათი"... მრავალი ასეთი უჩვეულო შედარების და გამოთქმების ამოწერა შეიძლება ამ „პუბლიცისტურ" ნაწარმოებიდან, რაც მას ერთგვარ სიახლეს აძლევს, და სხვა ღირსებებთან ერთად, ნაწარმოებს ინტერესს უძლიერებს. მომქმედ პირთა დახასიათებაც უეჭველად მხატვრულია. ზოგჯერ ერთი, თითქოს მარტივი ფრაზა მთელ ფიგურას აქანდაკებს. ხოლო თვით მბობა ხერხიანად და ოსტატურად ჰხდება.

თხრობის ფორმა — კონკრეტული აქვს ავტორს, რასაც გერმანელები ich-erzälung-ს უწოდებენ; მთელი ამბავი ავტორის ფსიქოლოგიაში გადის და ამ გზით იმორჩილებს მკითხველს. ქადაგებისათვის ეს ფორმა ყველაზე მკაფიოა და გ. წერეთელმა ეს ხერხი მიტომ აირჩია.

სიტუაციებიც კარგადა აქვს ავტორს შესრულებული ყოველი ცალკე სცენა კომპოზიციურად მთლიანია, ისე რომ ზოგჯერ ავტორის ლამენტაციები თუ აპოლოგიები არც კი არის საჭირო.

ყველაფერი ეს პირველი გამოსვლისათვის დიდი ღირსებაა. ისე რომ, გ. წერეთელი, სალიტერატურო ასპარეზზე გამოვიდა სრულიად გარკვეული იდეური სახით და ფორმა მიღებულ მხატვრული შეგნებით. თუ ეს „მგზავრის წერილები გ. წერეთლის „დებიუტი" იყო, „პირველი ნაბიჯი" მის უკანასკნელ „გამოსვლას" წარმოადგენს. ისე რომ ამ ორ პუნქტის შორის არის მოქცეული მისი მხატვრული ზრდა.

ამ ნაწარმოებთა დაპირისპირებული შესწავლით კი ირკვევა, რომ გ. წერეთელს სერიოზული სკოლა გაუვლია. „პირველი ნაბიჯი" უკვე ნამდვილი, გამართული რომანია, რთული ინტრიგით, ტიპების შერჩევითა და რელიეფით, ფსიქოლოგიურ ანალიზების სიღრმით, და კომპოზიციის თამამი გაშლილობით. ალ. ხახანაშვილი სამართლიანად შეჰნიშნავს, რომ „არც ერთ მის წინამორბედ ქართულ რომანში არ აღძრულა კრიმინალური საკითხი, რომლის ფონზედაც ავტორი საზოგადოებრივ ურთიერთობას ჰკვანძავს და ჰხსნის, არავის მანამდე ისე შორს და ფართოდ არ გაუშლია მოთხრობის ქსელი, ასე ვრცელ გეოგრაფიულ რაიონზე, არავის არ უცდია ქართველი ერის ყველა მოდგმათა წარმომადგენლების გამოყვანა, მთელი თავისი ტიპიური ნიშნებით"... ამ მხრივ, გ. წერეთელი ახალი გზის დამწყები იყო და ქართული რომანის მიჯნების განზე გამწევი. ქართული რომანის განვითარების ისტორია როდესაც დაიწერება, ეს მომენტი იქ აღინიშნება უფრო გარკვეული რელიეფით.

ამ ნაწარმოებში იგივე მოტივები ისმის, როგორც „კიკოლიკში" ვნახეთ. აქაც იგივე მხილება და ადამიანობისაკენ მოწოდება, მხოლოდ

იმ განსხვავებით, რომ პირველ შემთხვევაში ავტორი გველაპარაკებოდა მჭადაგებლის პირით, ეხლა კი თვით მოქმედებიდან გამომდინარეობს ესა თუ ის აზრი, როგორც მხატვრულად ნაგულისხმევი ჭეშმარიტება. ხოლო მთავარი მოტივი, ჩვენი ქვეყნის აღორძინება, თუ „კიკოლიკში“ სუბიექტურ ქვეყანას არ გასცილებია და მხოლოდ კეთილ სურვილებს ემყარება, აქ, „პირველ ნაბიჯში“, ამ აღდგენის ობიექტიური ნიშნები არის შემჩნეული, რის შესახებაც ავტორი ისე მღელვარებით მოგვითხრობს.

„პირველი ნაბიჯის“ მთავარი გმირები, როგორც ვიცით, არიან: ბახვა ფულავა, და იერემია წარბა. პირველი — ჩვენი გლეხობის წარმომადგენელია, მეორე კი — მაღალი წოდებისა. მთელი რომანი, მათი ინტერესების წინააღმდეგობათა ჩვენება არის. თავის თავად, ეს თემა უკვე ნაცადი იყო, მაგრამ გ. წერეთელმა ეს თემა ახალ პირობებში გადაშალა და ქართულ ლიტერატურის განვითარების ისტორიაში კიდევ ერთი ახალი სამანი აღნიშნა. ამ რომანის ფარული ტენდენცია კი ასეთია: „ბრწყინვალე“ წოდება ახალი ცხოვრებისათვის გამოუსადეგარია, რადგან იერემია წარბასთანა ხალხი შრომის გზას ვერ დაადგება.

მომავალი გლეხობისაა, რომლის წარმომადგენელიც არის ბახვა ფულავა. იგი ახალ პირობებს კარგად ეგუება, მდიდრდება, ძველი მებატონის დანგრეულ ბუდეს ეპატრონება და მრეწველობის ქსელს აბამს.

მართალია, იგი გამდიდრდა, თავის წრეს მოსწყდა, მაგრამ თავისი „ფორმულიარი“ ზურგით დააქვს: რომ ის, თეკლათის სერებზე თხებსა მწყემსიდა, რომ ფეხშიშველა შეუდგა თავის კარიერას. ის არ არის ტიპიური მშრომელი, იმას მუშა არა ჰქვია, მაგრამ იმ სისტემის პირველი მახარობელი კი არის, რომელიც მუშათა ლაშქარს შეჰქმნიდა. იერემია წარბასთან შედარებით, ბახვა პროგრესიული ელემენტია. ფოთში კაპიტალმა ფეხი შესდგა, ბახვა ფულავა არის ერთი პირველი ქართველი კაპიტალისტთაგანი, მართალია, მცირე მასშტაბით, მაგრამ ქართულ სინამდვილის შესაფერისად. საბოლოოდ იგი ამარცხებს იერემიას. ე. ი. კაპიტალიზმი დაამარცხებს ფეოდალიზმის ნაშთებს. და მიტომ არის, რომ ჩვენი ავტორი საგანგებო თანაგრძნობით ეკიდება თავის გმირს და მკითხველსაც თითქოს მის სასარგებლოდ მიმართავს.

ამ ამბავს, გ. წერეთელი პარალელიზმის გზით ანვითარებს:

I — ფოთის ნავთსადგური. ცეცხლის გემის პირველი წივილი.

II — ბახვას მიერ თხების მწყემსვა.

I — ფოთში: ფარჩა, მაუდები, აბრეშუმი და სხ...

II — სოფლად: ცივი ღომი, ხამის პერანგი და შიშველი ფეხები. პირველი თავი ამ პარალელებით არის შესრულებული.

მეორე თავი:

I — თეკლათის ქვის მადანი, ნალმები, მუშები, მანქანის წივილი... ინჟინერი...

II — თხები, კოდალ-ბზეკალი, „ირიაორირა“, ვაზის საქანელა, „კუდიანები“ და სხ... მაგალითების ამოწერა შორს წაგვიყვანს, და არც საჭიროა ამჟამად. ვიტყვით მხოლოდ, რომ მთელი ნაწარმოები ამ ხაზებ შორის არის გამართული.

მომქმედი პირებიც ამავე პრინციპით იხატებიან:

ი ე რ ე მ ი ა: „შუბლზე შეკრული შავი სხვილი წარბები, ცეცხლის მფრქვევი თვალები“ და სხ...

ბ ა ხ ვ ა: „ჟრუნი გამწვავი თვალები და ქერა წვერ ულვაში მის წითურ ლოყებს საუცხოვოდ აშვენებდნენ: პირისახე ქერათ ელინლლებოდა და მისი ლოყები, სიმწიფით შეწითლებულ ატამს მოაგონებდნენ კაცსა“...

ასეთივე დაპირისპირების გზით აგვიწერს ავტორი ქალ პერსონაჟებსაც:

ე ს მ ა: მკერავი ქალი, პატიოსანი, გამრჯელი, რომელსაც ის ბედნიერება უნდა მხოლოდ, რომელიც მის საკუთარ მარჯვენით შეიქმნება.

ვ ა ლ ი დ ა: გრძნობებით და სხეულით მოვაჭრე, ბრწყინვალე სოლონების კეკლუცი, მზა-მზარეულზე ნებიერი, განცხრომის ტალღებზე მოცურავი, სულით და ხორცით მეძავი.

პარალელიზმი თვით გამდიდრების საკითხშიც ცნაურდება:

ბახვა ფულავა თავისი შრომით მდიდრდება, ხოლო იერემია წარბასაც რომ აღეძვრის იგივე საღერღელი, იგი მდიდარ სომხის ქალს ირთავს ანგარიშით, ყოველ-გვარ სიყვარულის გარეშე. ამ პარალელიზმით განკვეთილია მთლიანად რომანიც.

პირველ ნახევარში ბახვასი და ესმას ცხოვრება არის აწერილი მეტ წილად, მეორეში კი — იერემიასი და ვალიდასი. ამ ორი ქვეყნის ელემენტთა თითქოს კომპაქტურად შედედება, დაპირისპირების უფრო მეტი რელიეფობისათვის.

გ. წერეთლის სტილის დასახასიათებლად უნდა აღინიშნოს აგრეთვე გროტესკული ტიპის მხატვრობა, საგნის თუ მოვლენის წვრილმანების გულ-მოდგინე აღწერა. ამ სტილის ელემენტები ახალი არ იყო, მაგრამ გ. წერეთელმა ეს ხერხი კარგად იხმარა, ერთგვარად მგრძნობელობაზე მოქმედების თვალსაზრისით. ამ დეტალების ფონზე

იშლება ემოციური ფენა, ისე რომ ამ წვრილმანების მხატვრობას საკომპოზიციო მნიშვნელობა ეძლევათ.

ფაბულის გაშლის მხრივ, აღსანიშნავია ინტრიგისა და კვანძის გახსნის ხერხი. ავტორმა ის გზა აირჩია, რომელიც ევროპიულ მორალისტურ რომანებს ახასიათებდათ:

წინალმდეგობათა შექმნა, სადაც სიკეთეს ბოროტება სძალავს მაგრამ ბოლოს ეს უკანასკნელი მაინც მარცხდება. შპანუნგის ანუ გამძაფრების უმაღლესი პუნქტის ხმარებაც უყვარს ავტორს, რაც ფაბულის მხრივ დიალექტიურ აღნაგობას ახასიათებს.

რაც შეეხება მომქმედ პირების შინაგან ქვეყანას, აქაც ავტორი არ მიმართავს გართულებულ ფსიქოლოგიის გზებს, იგი სადაა და მკაფიო ყოველ მომენტში. ესეც რასაკვირველია გათვალისწინებული ქონდა ავტორს. იგი მასას მიმართავდა თავისი შემოქმედებით და ისე სწერდა, როგორც მიზანი მოითხოვდა. ბევრის თქმა შეიძლება გ. წერეთლის შესახებ, მაგრამ საჟურნალო წერილის ფარგლები გვაიძულებენ აქ შევჩერდეთ. გვგონია, რომ ამ მოკლე წერილში, რასაკვირველია გაკვრით, მაინც შეძლებისამებრ ნაჩვენებია გ. წერეთლის შემოქმედების ძირითადი ელემენტების ზოგადი სახე. აღნიშნულია ის თავისებური და კერძო, რაც მის სპეციფიკუმს წარმოადგენს, და რის მიხედვითაც იგი საპატიო ადგილს იჭერს ჩვენი ლიტერატურის ისტორიაში. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ გ. წერეთელი, უკაცურობისა და პირველ მობრუნების ეპოქაში მოღვაწეობდა. უნდა გვახსოვდეს, რომ იგი ლარიბ საგნების ქვეყანაში ტრიალებდა, სადაც მაინც გვიჩვენა შემოქმედებითი სიცხოველე, ფხიზელი თვალი და ნათელი ჭკუა.

ტიციან ტაბიძე

ალექსანდრე შირვანზადე

სომხეთის კომისართა საბჭოს დადგენილებით ამა წლის თებერვალში მთელ სომხეთში ეწყობა ცნობილი მწერალის ალექსანდრე შირვან-ზადეს ორმოცდაათი წლის სამწერლო ღვაწლის აღსანიშნავი საიუბილეო კვირა. საიუბილეო დღესასწაული დაიწყება 8 თებერვალს ერევანში და გათავდება 15 თებერვალს ლენინაკანში. როგორც გაზეთები წინასწარ აღნიშნავენ მთელი მუშური საზოგადოებრივობა და საბჭოთა მწერლობა ემზადება, რომ ეს კვირა ღირსეულად იქნეს ჩატარებული.

ჯერ ერევანში მხოლოდ მზადება იყო ამ იუბილესთვის, რომ შირვან-ზადე აზერბეიჯანის კომისართა საბჭომ გაიწვია ბაქოში და 16 იანვარს დიდი ზეიმით მოეწყო ბაქოში მისი 50 წლის იუბილე.

ცნობილია, რომ ბაქოს პროლეტარიატი ყოველთვის თამაშობდა წინამძღოლ როლს ამიერ-კავკასიაში, აქაც ბაქოს მუშებმა იწვიათი მაგალითი მოგვცეს ეროვნულ სოლიდარობისა და ინტერნაციონალური კავშირის.

საქართველოში საბჭოთა მწერლობის ფედერაციაც ემზადება თებერვლის დამლევს ტფილისში მოაწყოს შირვან-ზადეს იუბილე და ამნაირად შირვან-ზადეს გარწმემო ერთხელ კიდევ ხდება ამიერ-კავკასიის მწერლების დაკავშირებისა და ურთიერთ შორის ძმობის განმტკიცების დემონსტრაცია.

— უეჭველია შემთხვევითი არ არი, რომ სწორედ აალექსანდრ შირვან-ზადეს ერგო ასეთი იშვიათი ბედნიერება, რომ იყოს სამი მოძმე რესპუბლიკის მშრომელ ხალხისა და მწერლობის პატივისცემის საგანი.

ა. შირვან-ზადეს ქართველი მწერლები დიდი ხანია იცნობენ, ძნელი არ იყო ტფილისში მისი შემჩნევა. გარდა იმისა, რომ შირვან-ზადე ცნობილია თავისი სახელგანთქმული რომანებით და დრამებით, თვითონ მისი პიროვნება ყოველთვის იპყრობდა ყურადღებას.

ძნელი იქნება დასახელება ისეთი, ასე თუ ისე წესანიშნავი ჭოვლენისა ტფილისის სამხატვრო ცხოვრებაში, რომ იქ შირვან-ზადე არ გამოჩენილიყოს.

ოვანეს თუმანიანის შემდეგ ის არის სომხეთის ყველაზე პოპულიარული მწერალი და მისი სახელი დაკავშირებულია მთელ რიგ ქართველ მოღვაწეთა სახელთან.

განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი მეგობრობა განსვენებულ ვასო აბაშიძესთან, რომელთანაც ის განუყრელი იყო სიკვდილის დღემდე

შირვან-ზაადეს არტისტული ბუნება ვერ ეგუებოდა ვიწრო ინტელიგენტურ შოვინიზმს, რომლითაც სულ რამდენიმე წლის წინათ გაჟღენთილი იყო სომხებისა და ქართველების მოწინავე თაობაც კი და ორივე მხრივ ითესებოდა გაუტანელობა და ეროვნული შუღლი.

მხოლოდ რჩეულები დგებოდენ მაშინ ამ კარჩაკეტილობისა და ეროვნულ ეგოიზმის ზევით, და სწორეთ ამ რჩეულთა რიცხვს ეკუთვნის შირვან-ზადეც და ამიტომაც არის რომ მის გარშემო ეწყობა დღეს ამიერ-კავკასიის ინტერნაციონალური დღესასწაული.

ქართველი და თურქი მწერლები შირვან-ზადეს 1929 წ. გაზაფხულზე გაეცვნენ ამიერ-კავკასიაში მწერალთა დელეგაციების მოგზაურობის დროს.

შირვანზადე თავმჯდომარე იყო სომხეთის მწერალთა დელეგაციისა.

თუ ამ დელეგაციებმა ასეთი როლი ითამაშეს მოძმე ერთა მწერლების დაკავშირებაში, შირვან-ზადეს აქაც განსაკუთრებული როლი ჰქონდა, რადგან მან იმთავითვე შეჰქმნა სამივე რესპუბლიკის მწერალთა შორის ინტიმური და ამხანაგური განწყობილება.

აქ ჩვენ შეძლება გვქონდა გაგვეცნო მისი მართლაც დაუღალავი ბუნება და დაუშრეტელი ენერგია.

არც ერთი ჩვენგანი არ იფიქრებდა რომ შირვან-ზადე სამოცდაათ წელს გადაცილდა, იმდენი იყო მასში გაუტეხელი ნებისყოფა, სიყვარული და აღტაცება.

მისი ენტუზიაზმი ყველას ედებოდა და ტემპერამენტი ყველას ხიბლავდა.

— „მე თვითონ არ ვიცი, სოლომონ ბრძენი რომელ ერს მიმაკუთნებდა ამიერ-კავკასიაში: დავიბადე და ყრმობა გავატარე აზერბეიჯანში, მთელი შეგნებული ცხოვრება და მწერლობა — საქართველოში, სიბერეში ვცხოვრობ სომხეთში, ალბად აქვე მოვკვდები და დავიმარხები, მაგრამ გული ვერც ერთს ვერ დასთმობსო“.

ეს არ იყო ჭკუამახვილი კალამბური — თვითონ შერვან-ზადე უკეთებდა ჯამს თავის განვლილ ცხოვრებას და მართლაც ვერ აერჩია სად იყო მისი სამშობლო.

უეჭველია ახალი მწერლობა, რომელიც ინტერნაციონალური ხდება თავისი შინაარსით, ეხლა არ დაფიქრდება ამ კითხვაზე, თვითონ ფაქტი, რომ შირვან-ზადეს იუბილე სამივე რესპუბლიკაში იმართება ერთნაირი ზეიმით, უკვე მოწმობს იმას, რომ სრულიად ახალი ეპოქაა დღეს ჩვენ წინ და სხვანაირი ასპარეზი.

მუშათა კლასის გმირულმა ბრძოლამ ახალი სოციალისტური კულტურისთვის ჩვენთვისაც გაადვილა ერთმანეთის შესწავლა და დაფასება.

ა. შირვან-ზადეს ცხოვრებისა და მწერლობის განვლილი გზა ასეთია:

შირვან-ზადე დაიბადა 1858 წელს შემახაში. ერთი წელი არ გასულა მისი დაბადებიდან, რომ ეს ქალაქი საშინელმა მიწის ძვრამ შთანთქა, ბავშობა მან გაატარა სიღარიბეში. ჯერ კიდევ გამოუცდელი ბავში იძულებული იყო გადასულიყო ბაქოში და ეშოვა სამსახური, რომ ერჩინა გაჭირვებაში ჩავარდნილი ოჯახი.

იმ დროს ბაქო იღვიძებდა ახალ ცხოვრებისათვის და ხდებოდა ამიერ-კავკასიის სამრეწველო ცენტრად, — და როგორც პარიზი ემილ ზოლასთვის ისე ბაქო ხდება შირვან-ზადესთვის ოსტატიც და ჯალათიც.

უეჭველია ეს „ჭანგიანი ქალაქი“ ახალგაზრდა ყმაწვილზე წარუხოცელ შთაბეჭდილებას დატოვებდა, აქ პირისპირ ებრძოდა ერთმანეთს ფუფუნება და სიღარიბე, განცხრომა და შიმშილი, და ყველაფრის წყარო კი იყო ნავთი, რომელმაც ამოხეთქა დედამიწიდან, ერთი კლასის გასამდიდრებლად, ხოლო მეორე კლასის დასაჩაგრავათ და საექსპლოატაციოდ.

ახალგაზრდა შირვან-ზადე ტფილისის ჟურნალ გაზეთებს აწვდის ბაქოდან პატარა ნარკვევებს ბაქოს ცხოვრებიდან, მალე „მწაკში“, იბეჭდება მისი მოთხრობა „ხანძარი ნავთის ქარხანაში“, რომელმაც მიიქცია საზოგადოებისა და კრიტიკის ყურადღება.

ამის შემდეგ შირვან-ზადე ხდება პროფესიონალური მწერალი — უმთავრესად სწერს დრამებსა და რომანებს.

ყველაზე მეტი ყურადღება მიიქცია მისმა დრამამ „პატიოსნება“ რომელიც ქართულ სცენაზედაც ბევრჯერ დადგმულა და რომლის თარგმანიც დაბეჭდილია „დროების“ დამატებაში.

1905 წელს შირვან-ზადე გაემგზავრა პარიზში, სადაც იცხოვრა 1910 წლამდე. სწავლას დახარბებული მწერალი დაეწაფა ევროპის კულტურას. სწავლობდა სორბონაში, უსმენდა ისეთ გამოჩენილ მეცნიერებს როგორიც ოლარია და ემილ ფაგე. 1910 წელს დაბრუნდა კავკასიაში, შემდეგ წლის მაისში ტფილისში და ბაქოში გადახდილ იქნა მისი 30 წლის მწერლობის აღსანიშნავი იუბილე.

1919 წელს ისევ მიემგზავრება ევროპაში. იყო ოსმალეთში, კილიკიაში, სირიაში, ეგვიპტეში, იტალიაში, ამერიკის შეერთებულ შტატებში.

1926 წელს პარიზიდან ბრუნდება საბჭოთა კავშირში.

პარიზიდან მან ჩამოიტანა პიესა „მორგანის ნათლიმამა", რომელშიაც გამოყვანილია გზა-აბნეული სომხეთის ბურჟუაზიის ემიგრაცია. მისი გახრწნა და დაცემა. უცხოეთში დიდხანს ყოფნა იყო ალბად მიზეზი, რომ შირვან-ზადე იქ მეტად პოპულიარულია, თითქმის ყველა მისი ნაწერები გადათარგმნილია ევროპიულ ენაზე. მაგრამ ძირი შირვან-ზადეს შემოქმედებისა უმთავრესად ამიერ-კავკასიის გარემოა. თავის რომანებში ის ეხება ბაქოს ცხოვრებას და სამრეწველო ქალაქის ზრდის ფონზე აჩვენებს ბურჟუაზიის ჩასახვას და კლასთა ბრძოლის გამწვავებას.

მის რომანებში ყველაზე უფრო შესანიშნავია „ქაოსი". აქ აწერილია საკაჭრო კაპიტალის პირველი გზის გაკაფვა; ეს არის პირველი თაობა გაზავთული ბურჟუაზიისა, რომელთა კლასიკური ტიპი სალტიკოვ-შჩედრონმა მოგვცა.

Идет чумазый.
И на вопрос.
—Что есть истина"?
Отвечает
—Распивочно и навынос".

ამ წურბელებმა ხელში ჩაიგდეს სიმდიდრე, ათასი უმსგავსო საქციელით. ცბიერებით და მევახშეობით. ეს არის პირველი თაობა, მეორე მისი მომდევნო თაობა უკვე ხარჯავს მემკვიდრეობით დარჩენილ სიმდიდრეს და ეწევა გარყვნილებას და განცხრომას: ბურჟუაზიის ვაკხანალიასთან ერთად აწერილია დაბეჩავება იმ კლასის, რომელიც ყველაფერს ჰქმნის და მაინც ლატაკია და სული ძვრება.

ავტორის სიმპატიები დაჩაგრულთა მხარეზეა, მან იცის რომ ექსპლოატაცია ქმნილი მასა არის მომავლის იმედი, რომ ის დასთრგუნავს კაპიტალიზმის კანიბალიზმს და დაამყარებს ინტერნაციონალურ კულტურას.

საერთოდ შირვან-ზადე საუკეთესო წარმომადგენელია სომხურ-მხატვრულ მწერლობაში რეალიზმისა.

ბევრ შემთხვევაში ის ენათესავება ეგნატე ნინოშვილს, მხოლოდ აკლია ის გამძაფრებული კლასიური ინსტიქტი, რომელიც ნინოშვილს გაარჩევს ყველა დანარჩენ მის თანამედროვე მწერლობისაგან, რუსეთშიაც კი.

შირვან-ზადე უფრო ქალაქის პოეტია. მან იცის ურბანიზმის საწინელი შინაგანი, დიდი ქალაქის ვიზიონერობა, მას უფრო ეხერხება ქალაქის პულსის გადმოცემა, მაგრამ არა ნაკლებ ნიჭიერად აქვს მას აწერილი სოფელი, მივარდნილი მეფის დროინდელი პროვინცია.

ამ შემთხვევაში აღსანიშნავია „ბოროტი სული", სადაც მოცემულია სოფლის ხალხის ცხოვრება, სიბნელეში, ცრუმორწმუნეობაში.

როგორც სომხეთის კრიტიკა აღნიშნავს, ამ შემთხვევაში შირვან-ზადეს ტოლი არ .ყავს სომხეთის მწერლობაში.

თუ გამოჩენილმა სომხეთის რომანისტმა რაფიმ დაამკვიდრა რომანტიზმი — სომხეთის მწერლობაში, შირვან-ზადე მამათ მთავარია სოციალურ ფსიქოლოგიური რომანისა. შირვანზადეს ბევრი წვრილი მოთხრობაა თარგმნილი ქართულად.

საიუბილეოთ სახელგამი სცემს მის რომანს „ქაოსს".

შირვან-ზადე ეკუთვნის იმ მწერალთა რიგს, რომელთაც მოამზადეს ახალი თაობა ჯერ უნახავ კლასიურ ბრძოლებისათვის.

ბევრი საკითხი, რაც ავტორს წარმოდგენილი ჰქონდა ბუნდოვანათ დღეს გადაწყვეტილია, მაგრამ ახალი თაობა მაინც ბევრს ისწავლის მისგან, რადგან შირვან-ზადეს მთელი შემოქმედება მხატვრული მატიანეა რევოლუციის წინანდელი საზოგადოებრივ ურთიერთობისა, ამის გარდა ის ნამდვილი სიტყვის ოსტატია და დიდხანს იქნება კიდევ სამაგალითოდ მწერლობაში.

მისი 50 წლის იუბილე ხდება ამიერ-კავკასიაში მოსახლე ერების სოლიდარობის დემონსტრაციათ, ეს კი უდიდესი მიღწევაა ძველ თაობის მწერალთათვის.

ვუსურვებთ კიდევ დიდხანს იციცხლოს რომ ხედავდეს მისგან დათესილ კეთილი ნაყოფის უნახავ განვითარებას, რომლისთვისაც იბრძვის კიდით კიდემდე განთავისუფლებული შრომა.

—— : ——

შემოდგომის დღე ოქროყანაში

რაგლე და კალმასობა

მინდა დავტიო უბრალო ლექსში
რასაც გრძნობს გული და ხედავს თვალი.
ვარ შემოდგომის უხმო ალერსით
და ჟრუანტელით ერთბაშათ მთვრალი.

ოქროყანიდან ვინც არ დახედავს
იმან არ იცის რაა ტფილისი?..
ასე შეყურებს გნოლი ბერ ქედანს
ასე შეყურებს ბებერ ცხენს კვიცი.

შორით კი მოსჩანს თეთრი მყინვარი
და გზა აბნეულ ლრუბელთა ფარა
თითქო ქარბუქი სულში მძვინვარებს
თითქო უსაზღვრო თოვლმა დამფარა.

შემოდის სახლში ნელი ფართხუნით
ჩემი მეზობლის ძაღლი ცუკრია.
გუშინ დააგდო მან ხუთი ლეკვი
მშიერს მუცელი ზურგზე მიკვრია.

დარეკილ კაკალს დასდევს ყვანჩალა
ჩხიკვი ზაქარაც თავს აღარ ირცხვენს
რომ გახდეს ეს მთა ზვინება ჩალათ
ვეღარ გააძლებს ამ დავარდნილ ცხენს.

მანგლისიდანაც დაძრულა ცხვარი
მოაქვს გზა შარა კრავების პეტელს
თითქოს სურნელობს პური დამცხვარი
და ფიროსმანის ედება კედელს.

სკოლის ეზოში პატარა ბავშებს
პატარა დოლზე გააქვთ დაფდაფი.
თავს დაქათქათებს ოქტომბერის მზე
და ცა კრიალა, როგორც სადაფი.

ბრუნდება ჯარი მანევრებიდან
მზეს გაუხდია კაცი — რკინებათ
ისმის სიმღერის მძლავრი გუგუნი
და ჩან-კაი-შის დედის გინება.

მეც ჩაუჯდები ჩემ პანტაგრუელს
ცხენის ჭიხვინი მესმის რაბლესი
და როცა ქარი სულ გამაყრუებს
გამოვა ლანდი იოანნესი [1])

თითქო გავიდა ეს ასი წელი
და ერთი წუთით გადაიშალა.
ვარ მოკალმასე მეც აწინდელი
და საკალმასო გრძელი მაქვს შარა.

ოქროყანა
ოქტომბერი
1929 წელი.

---

[1]) იოანნე ავტორი „კალმასობის“.

გიორგი ლეონიძე

ახალი მინდვრების სიმღერები

1.

ზღვის ქაფისაგან ცხენი შემდგარა,
მიწის წვეთიდან ფიჭვი მაღალი,
ზეცას მიარტყამს ოფლი ხალხისა
ერთ საგუბარში
ჩამონალარი.

აქაფებული სიმღერა მინდა
და მოჩეხილი სიტყვის ლაწანი,
როცა
მამითადს უწვება ყანა —
ნამგლების ცეცხლით გადასაწვავი!

არ შევინახავ!
ამოიხაპოს ჩემი სიტყვების
მაღაროები,
თუ მეზობელი გლეხი გამხდარა
ახალ ცხოვრების
მახარობელი!

მშვიდობით
სოფლის ორლობეებო,
აღარ შეგრჩებათ არც ერთი ლობე
და ველარაფერს ველარ გაჰყოფენ.
გადიხსნებიან ვიწრო ეზონი,
ვით მშობიარე ქალის თეძონი!
გადივიწყებენ
ბალი,

ბალჩები
მეპატრონეთა მრავალ სახელებს
და თავისუფლად გაჰშლის მინდორი
საზღვრებისაგან დალურსმულ ხელებს!

როგორც მუწუკი —
ამოვარდება
ჩაფესვებული შავი ყორღანი;
ალარ იქნება ამ ერთი ქვისთვის
მკვდარი, ნაცემი, ნაკატორღალი!

და კვირისტავებ გადამტვრეული
დაეყრებიან კავი, გუთანი,
როგორც მკვნესარე პაპა, ბებია,
როცა თავს ადგათ სულთამხუთავი!

დაჩუმდებიან ზარებთან ერთად,
ვინ ეყოლება მათ შემნახველი,
დე თან წაიღონ,
გამოიტირონ
ქართლის მინდორთა წყნარი ნაღველი!

მოდის მოქშუის,
რკინის კოლონა
გადაულეწავს ნეკნებს ტრამალსა,
ამოაბრუნებს საბუდრიანათ
კორდებს
ხარვეზებს
და ნატამალსა!..
და პარტახები უძოვრიანი
ჭაობი, შქერი, ბრწამლის რტოება
მსხმოიარობით გადაიხდიან
საუკუნებრივ გამარტოებას!

იქ ავარდება ქალაქი, სადაც
გაოცნებული
თვლემდა სოსანი

და გავერნებულ უდაბნოებში
დაიგრიალებს ჭა ნავთოსანი!

ახალ ცხოვრებას ეშურებიან
ჭვებიც
— ტაძრებში ნამძინარევი,
ხვალ სხვანაირათ იელვარებენ
ცანი — ვარსკვლავთა საცივარები!

19/XII 1929

— : —

ყ ა მ ი რ ი

დრამა 5 მოქმედებად.

(გადმოკეთებული)

მ ო მ ქ მ ე დ ნ ი

ანდრო გობაძე — 38 წლ.
მართა
მუნჯი სიკო — მართას ქმარი 40 წლ.
სანდალ — სიკოს ბავში 10 წლ.
გუნაზი — მასწავლებელი ქალი 25 წლ.
გაბო — სოფლის საბჭოს თავმჯდომარე 47 წლ.
პავლე ქორქაშვილი — მდივანი — 37 წლ.
ანჯიქო — კულაკი — 50 წლ.
მედუქნე ზახარიჩ — 50 წლ.
მიტრო — ბოგანო გლეხი 65 წლ.
ტრიფონ
ელიზბარ
მუშა პართენ
ნატალია
კონია
ბაბე

სოფლელი დედაკაცები 40-60 წლ.
პეტრე
მიშა
ბოხე
კომკავშირელები
გოგო, მნათე, დიაკვანი, მღვდელი, კოლმეურნეობის წევრები ბიჭი და ქალი, მათხოვარი, ვაჭრები და სხვა.

მოქმედება პირველი

სოფლის მოედანი. ცალ-მხარეს ერთ სართულიანი ალმასკომი აივნით. სიღრმეში სამრეკლო და ეკლესია გალავნით. უკან მთებზე შეფენილი სოფელი. ეტყობა, სოფელში დღეობაა. სცენის სიღრმეში მეწვრილმანეები, გლეხები და დედაკაცები ერთმანეთს ეკამათებიან. მათ შორის დადის მათხოვარი და მილიციონერი.

— აბა, იაფათ! აბა იაფათ დილის სიფთაზე!

— მანეთი? ეს საქონელი მანეთი? წადი, კოოპერაციაში იყიდე!

მათხოვარი — მაჩუქეთ რამე, ან მკვდარი გყავთ, ან ცოცხალი!

გლეხი — ამ სატიალოს, ყველაფერს ცეცხლი ედება!

ზახარიჩ — მერე, ცეცხლი ვინ მოუდო? ჰკითხე შენს ქალაქის ამხანაგებს... (მილიციონერს) რა თვალი გამომაყოლე?

მე არა ვაჭრობ, არა!

მილიციონერი — მაშ მანდ რას დაძვრები?

ზახარიჩ — (მილიციონერს) კაცო, მამაჩემი ხარ, თუ პაპაჩემი, რა თვალყურს მადევნებ? არა ვვაჭრობ მეთქი! გინდა დამასმინო, რომ „ნალოგი" მომიმატონ!?

ფერხულის მოთამაშენი (ცეკვავენ)

ქალი — არ ვიცოდი, რა გინდოდა?

ჩემი ქმარი მკაშია.

ბიჭი — კომკავშირელს ჩვენი თებრო მოუვიდა თვალშია!

ქალი — თებრო იმას შეუპირდა, ბიჭი რაღა ბრალშია!

(შემოდიან ახალგაზრდები, წინ არღანი. ხიხოს ერთისთვის ხელი გადაუხვევია. პეტრე შამფურზე მწვადით, მოცეკვაველებისაკენ გაექანა.)

მილიციონერი — ამ გზაზე ხალხმა უნდა გაიაროს, მიდექით იქით!

ხიხო — (მილიციონერს) წადი, არა მოიპაროო-რა!

მილიციონერი — მე შენ გაჩვენებ, ხულიგანო!

ხიხო — შენ თვითონ ხულიგანო.

მილიციონერი — თქვე სახეძალლებო, მე ხომ ადამიანურად გელაპარაკებით? მიდექ უკან, შე ვირისთავო...

პეტრე — შენ, ეი! ვინ არის ვირისთავი?

მილიციონერი — შენ არა, კაცო, მე ამათ პატიოსნად ველაპარაკები. ამ ოხრებს და ოხრის შვილებს კი შესმენა არ აქვთ. ქვეყანა განათლებაში შევიდა, ამ კვდარძალლებს კი ასე ზრდილობიანად ველაპარაკები და ვერაფერი შევასმინე! ფუ! (გატრიალდება).

ხიხო — (სიცილს დააყრის) წადი, არა მოიპაროორა!

მილიციონერი — მე შენ გიჩვენებ (გადის, არღანზე ცეკვავენ).

ახალგაზრდა — (შემორბის) ბიჭებო, ბიჭებო! ზემო უბანში გონჯა დააქვთ! წავიდეთ სეირს ვუცქიროთ!

(გამოდიან: მართა, მუნჯი სიკო, მიტრო, ნატალია, კონია, გოგია, სიმონ და რამოდენიმე გლეხი ქალი და კაცი).

მიტრო — გოგო, მართა! ქალაქში ყოჩალათ მოიქეცი; შვილო, მტრის გულისა არ გავხდეთ!

მართა — ფიქრი ნუ გაქვს, ძია მიტრო! (თავის ბავშს) სანდალ, მამას ყური უგდე, არ გააბრაზონ!

სანდალ — მე ვიცი იმათი.

ნატალია — შვილო, კოოპერაციაში შეიარე, ეგებ ფართალიც იშოვო.

გლეხები — ჯერ ტრახტური, ტრახტური.

(მართას აცილებენ. სცენაზე რჩებიან: მიტრო, ნატალია, გოგია და სიმონ).

მიტრო — ის ოხერი ღრუბელი იმ ოხერ მთებს აღარ სცილდება! ეხ, ერთი წვიმა მოვიდოდეს!

ნატალია — ღმერთმა დაგვსაჯა, მიტრო! უნაწილო დაგვტოვებს!

გოგია — კაცო, ღმერთიც რომ აირია?! იმ დალოცვილმა პირი შეიკრა და ნამს აღარ აგდებს!

სიმონ — ყანები უწვიმობით გადაიწვება...

გოგია — გადაიწვა და მორჩა... გაზაფხულზე ანჯიქოს სამი კოდი ხორბალი ვესესხე, მეგონა ახალზე ჩავაბარებდი, მაგრამ კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდა!

ნატალია — მე ორი კოდი მმართებს...

კონია — ძროხას რომ ვყიდულობდი, სამი თუმანი ფულად მასესხა და ხუთი კოდი ხორბლად. შემოდგომისთვის სარგებლით უნდა ჩამებარებინა.

გოგია — ო, სარგებელს კი ულმერთოთ იღებს! მოვალეს ტყავს აძრობს...

ნატალია — რას იზავ, როგორც გიჭირდეს, ისეც გილირდეს...

კონია — ანჯიქოს იქით გზა არ გვაქვს...

ნატალია — ღმერთმა უშველოს, მადლიანი კაცია!

მიტრო — მე კი მაგ თქვენს „მადლიანს“ გამარჯობასაც არ ვეტყვი... ჩემთვის კი რა დაუშავებია, მაგრამ არ არის კარგი კაცი!

გოგია — (შეშინებული) ჩუმად! არ გაიგოს! ანჯიქო დღეს ძალა არის!

ნატალია — ჰო და მაგ ძალას ღარიბებს ახმარებს...

მიტრო — (პირში შეუდგება) არ კი ახმარებს, ღარიბებს თვითონ ხმაროობს... აი, მე ერთხელ ანჯიქოსთან მიველ, მინდოდა იმათ ამხანაგობაში ჩავწერილიყავ, მაგრამ ისეთი პაი დაუწესებიათ, რომ ჩვენისთანა ღარიბს ხელი ვერ მიუწვდება...

გოგია — ეგ კი მართალია! ღარიბი ვერ ასწევს იმათ პაის!

მიტრო — მაშასადამე, ჩვენი არტელი უნდა გავაძლიეროთ!

ნატალია — რა ყრია მაგ არტელში?

გოგია — არტელით პაპაშენს არ უცხოვრია და მამაშენს...

კონია — რაც არ ჰქონდეს მამაშენსა, ნურც შენ დაჰხევ მარმაშებსა!

მიტრო — (ყვირის) მამაჩემს არ ჰქონდა, მაშ არც მე უნდა მქონდეს?? არ გინდათ? მაშ ამოგძვრეთ სული ანჯიქოს ბრჭყალებში!

ნატალია — ჩუმად! ანჯიქო მოდის!

(შემოდის ანჯიქო უკან ზახარიჩ.)

ყველანი — (მიტროს გარდა, რომელიც გაბრაზებული ზურგშექცეულია) გწყალობდეს დღევანდელი ლოცვის მადლი!

ანჯიქო — თქვენი მწყალობელიც იყოს! (ზეცას უცქერს) ეხ, ერთი ჟუჟუნა წვიმა მოვიდოდეს!!

ყველანი — გისმინოს უფალმა!

კონია — ხალხო, წინწკლავს! (ხელებს გაიწვდის)

ყველანი — მართლა თუ? აბა, (რამდენიმე ხანს ხელებგაწვდილები დგანან, შემდეგ იმედ გაცრუებულნი)

მიტრო — რის წინწკლავს, რის ოხროობა!

ნატალია — ანჯიქო, შენ ჩვენი იმედი ხარ! ღმერთმა თუ გაგვწირა, შენ გაგვიწიე დახმარება!

სიმონ — მართალია, შენ ჩვენი იმედი ხარ; ყანები თუ გადაიწვა...

გოგია — გადაიწვა, ადამიანო, გადაიწვა!

ანჯიქო — როდის იყო, ღარიბს ხელს ვკრავდი?

ზახარიჩ — სიკეთეს დანახვა უნდა! თქვენც რომ ვიგინდარებს აჰყოლიხართ... კაცო, ჭალარის მაინც არ გრცხვენიანთ?

ანჯიქო — მე გულზე ჯვარი მკიდია, გასესხებ, სარგებლით ჩამაბარეთ!

ზახარიჩ — ხელი ხელსა ჰბანს, ორივე — პირს!

ნატალია — ღმერთმა გიშველოს და ტკბილად დაგაბეროს!

კონია — გაიხარე შენც და შენმა შვილებმაც!

მიტრო—მაშ რატომ თქვენს მანქანის ამხანაგობაში არავის ილებთ? ისეთი პაი რათ დააწესეთ, რომ მხოლოდ მდიდრებს შეგიძლიანთ?

ანჯიქო — ხალხო, უთანხოდ და უფულოდ განა არ იცით რომ არაფერი არ გაკეთდება?

მიტრო — რაო? მაშ რა თავში ვიხლი ამ საბჭოთა ხელისუფლებას?

ზახარიჩ — ვაჰ! ჩუმად!

ანჯიქო — შენ, ჰეი, მიტრო! რამდენჯერ გაგაფრთხილე, საბჭოთა ხელისუფლებას ნუ ჰკილავ-მეთქი! ნუ ჰკილავ!.. საბჭოთა ხელისუფლება ხუმრობა არ გეგონოს — კარგი ხელისუფლებაა! მეურნეთა ხელისუფლებაა! ამიტომ გვიბრძანებენ, რომ თანხა სახელმწიფო ალმშენებლობისათვის დავაგროვოთ. განა ეს გაუგებარია, ხალხო!

ზახარიჩ — კედელს ცერცვი შეაყარე —

ყველანი — გასაგებია!

ანჯიქო — თანხა როგორ დაგროვდეს, თუკი ყველას ჯიბეში გადავფანტავთ? სულ სხვა საკითხია, როცა მთელი თანხა ერთის ჯიბეშია — თუნდაც, მაგალითად, ჩემს ჯიბეში. აქ საბჭოთა ხელისუფლება დამშვიდებულია და მთლიან თანხით შეუძლიან საქმე აწარმოოს! ხალხო, განა ეს გასაგები არ არის?

ყველანი — როგორ არა! — ჰო, მართალია!

მიტრო — (ირონიით) მაშ მთელი თანხა ამ ღარიბულ ჯიბეში ჩამიყარეთ, ჩემთვისაც და ხელისუფლებისათვის სახეირო იქნება!

ანჯიქო — შენ ვინ გენდობა, შე გაქუცულო? ეგ ჯლანმანები და შენი მთელი ავლადიდება!

მიტრო — (გაბრაზდება) ჯლანმანები?

ანჯიქო — ჰო, აბა მაშ სხვა რა გაბადია?

მიტრო — ჯლანმანები?

ანჯიქო — მაშ სხვა რას დამაკვეხებ? არც ცხენი გყავს, არც გუთანი გიბია, არც ძროხა... შენს სახლში ცეცხლიც არ ანთია!

მიტრო — მაშ მე არაფერი მაბადია?

ანჯიქო — რასკვირველია, არაფერი!

მიტრო — მტყუანს?

ანჯიქო — აბა, მაშ რა გაქვს?

მიტრო — რა მაქვს? (სიჩუმის შემდეგ) მე ხმა მაქვს მთელის უფლებით, შენ კი? უხმო ხარ!

ზახარიჩ — ამ ბოსტნის საფრთხობელას ვერ უყურებ?

მიტრო — (ანჯიქოს წინ გადაუდგება) მოიცა, მეც გითხრა. ხალხო, ერთხელ ცხვარი სახლში შევიდა, დაინახა სილარიბე და უთხრა. ადე, სილარიბევ ამ სახლიდან გამეცალეო! სილარიბემ უპასუხა: ცალ მხარეზე მე დავდგები, ცალ მხარეზე შენაო! — არა, სულ უნდა დამიცა-

ლოვო! — მაშ ერთი კუნჭული მაინც დამითმეო! — არა, ვერც ერთს ვერ დაგანებებ, სულ მე მინდაო! — რად გინდაო? — აი, იმისათვის მინდა, რომ ცალ კუნჭულში მე უნდა დავდგე, მეორეში ბატკანი დავაყენო, მესამეში მატყლი დავდო და მეოთხეში ყველიო! ანჯიქო, შენ ჩვენი სილარიბე ხარ, დღემდე ჩვენ...

ყველანი — (აჩუმებენ) ჩუმად, ადამინო...

ზახარიჩ — მაშ შენ ცხვარი ხარ?

მიტრო — ვიყავ, თქვენი საპარსი!

ზახარიჩ — ვაი, ვინც შენ ეგენი გასწავლა!

კონია — ხალხო, წინწკლავს, წინწკლავს. (ყველანი ზეცას მისჩერებიან. ანჯიქო და ზახარიჩი მიდიან.)

მიტრო — ისემც ღმერთი უშველის! ზეცას პირი შეუკრავს...

ანჯიქო — (მიმავალი) მაგ ყბედობას, გირჩევნიათ ეკლესიაში ღმერთს ევედროთ. (გადის)

(ეკლესიისკენ გაემართებიან: ნატალია, კონია, გოგია და სიმონი. ერთხანად მიტროც იმათ გაჰყვებათ, მაგრამ ხელს ჩაიქნევს და უკანვე გამობრუნდება და ბუტბუტებს: ჯღანმანიო! ჯვარი მკიდიაო! და გადის. ამ დროს გამოჩნდა „გონჯას“ ცერემონია. ჯვარად გაკეთებულ ჯოხს აცვია შავი დაგლეჯილი ახალუხი, და დაგლეჯილი ქუდი:)

გონჯა, გონჯა ვიარე
ველი შემოვიარე,
აღარ გვინდა გორახი,
ღმერთო, მოგვეც ტალახი!

(„გონჯას“ წყალს ასხავენ, აწუწებენ. ამ დროს შემოდის მუნჯი სიკო, რომელსაც ჰსურს განუმარტოს ასეთ ცრუმორწმუნეობის უნიადაგობა, მაგრამ მისი ლულლული ბავშებს აცინებს. სიკო უფრო ბრაზობს, რის გამო ბავშები უარეს სჩადიან და ახელებენ, თან იძახიან:)

მუნჯო სიკო,
სჯობს არ იყო!

სანდალა — (შემორბის) აი, თქვე დორბლიანებო! რას ერჩით მამაჩემს? (ბავშებს გაჰფანტავს.) მამი, წავიდეთ შინ, წავიდეთ! (გადიან).

(სცენა ცარიელდება, შემოდის მასწავლებელი ქალი გუნაზი, უკან მოსდევს პავლე).

პავლე — გუნაზი, გუნაზი! გასეირნებაზე უარს რად მეუბნები? ჩემმა მზემ, მწყინს!

გუნაზი — ამხ. პავლე, აკი გითხარ, არ მცალიან — მეთქი!

პავლე — ისეთი რა საქმე გაქვთ, რომ ამ უქმე დღესაც ვერ იცლით? ბოდიშს კი ვიხდი, მაგრამ სიმართლეს არ ბრძანებთ! დღეს ყველა გარედ არის და არც სკოლაშია მეცადინეობა!

გუნაზი — სკოლის გარდა, სხვა საქმეებიც არსებობს!

პავლე — კედლის გაზეთზე ხომ არ მუშაობთ?

გუნაზი — (ცივად) თუნდაც ასე იყოს...

პავლე — არა, მე ისე... წინააღმდეგი არა ვარ... მე თვითონ ორი კვირაა წერილს ვამზადებ... პოეზია ადგილობრივ მაშტაბით! ლექსები წყალივით მოდის... საკუთარ გულისტკივილზე...

გუნაზი — თქვენ ლექსებს სწერთ? (იცინის).

პავლე — (ნაწყენი) გგონიათ არ შემიძლიან? ყოველ დღე რედაქციაში ვგზავნი! ალბად არ მისდით, თორემ... (გუნაზი იცინის) ეხ გუნაზი, როგორ არ დავწერო, როცა ჩემი სულიერი მდგომარეობა საფუძვლიანად შერყეულია! (უცქერის) და, მერე, იცით ვისგან?

გუნაზი — ეგ მე არ მაინტერესებს! საერთოდ, მაკვირვებს თქვენი ყველაფრისადმი უყურადღებობა... ხალხი ცრუმორწმუნეობას მისდევს, მინდვრებში ლიტონიას მართავენ, წვიმა მოვიდესო, კარდაკარ გონჯა დააქვთ და საბჭო კი ზომებს არ იღებს!

პავლე — საბჭო რა შუაშია! რელიგიის საკითხი საბჭოს მაშტაბში არ შედის!

გუნაზი — თქვენ თუ ეს არ გესმით, სამწუხაროა! თუმცა ჩვენმა კომკავშირელებმა მაზრას შეატყობინეს და ანდრო გობაძეც ფხიზლად არის!

პავლე — ანდრო გობაძე! ის მუდამ ჩემს საქმეებს რომ ჩხრეკავს. ცხვირს იქ ჰყოფს, სადაც არ ეკუთვნის! ჩემს მაგიერ მდივნობას რომ ეძებს... ვიცნობ!..

გუნაზი — ნება არ გაქვთ, ანდროზე მაგრე ილაპარაკოთ!

პავლე — (თავს იკავებს) მე არაფერი... წინააღმდეგი არ ვარ... გუნაზი! ვიცი, ანდროს ასე ხმა მაღლა არ ელაპარაკებოდით... იმასთან სხვანაირად ხმაშეწყობილი ბრძანებდით!

გუნაზი — (აღელვებული) ამხ. პავლე! თქვენი გადაკვრით ლაპარაკი უადგილოა და სულელური! მშვიდობით! არ მცალიან! (გადის)

პავლე — სჩანს, პირდაპირ ცენტრაში მოხვდა! ხა, ხა, ხა! (უცბად სიცილს შესწყვეტს და მუქარით) მაცადე, საძაგელო, ისე იქნება, როგორც მე მსურს!

(გამოჩნდება გაბო, მას მოსდევს ელიზბარ ქაღალდით ხელში)

ელიზბარ — (გაბოს) მაშ რა ვქნა, გაბრიელ? მიშველე, სოფლის მამა ხარ!

გაბო — მოხუცო, დღეს უქმე დღეა, როგორ არ გესმის, დეკრეტის ძალით, არ შეიძლება! (პავლეს შეამჩნევს) პავლე! პავლე! საით მიეჩქარები?

პავლე — (ნაძალადევი სიმხიარულით) ისე, ჩემო გაბო! თუმც მდივანი ვარ, მაგრამ მასწავლებლის დარიგება კაი რამეა! (იცინის)

პავლე — (ორაზროვნად) ჰო, მასწავლებელ ქალს „დარიგება“ ეცოდინება!

პავლე — ყოველ დღე! კვირაობითაც და საქმის დღითაც!

გაბო — ძაან მოხერხებული ბიჭი ხარ, პავლე!! მაშ მასწავლებელი გუნაზი „არიგებს“, ჰა?

პავლე — ჯერჯერობით მცირე მაშტაბით!

ელიზბარ — გაბო, მაშ როგორ მოვიქცე, კაცო, ჰე? (პავლეს) პავლე! შენ ხომ ჩვენი მდივანი ხარ! აი, იმ მიწის გაყოფაზეა!

პავლე — ელიზბარ! რით ვერ გაიგე, ეგ საქმე გადასინჯვას აღარ საჭიროებს!

ელიზბარ — როგორ თუ არ საჭიროებს? ეს ხომ ვიცით: ცაცანას ბიჭს ჩამოუჭრეს ჯომარდოს მიწა. ჩემი სამი დღიურიც იმას მიუკერძეს. კაცო, მე რომელ კედელს ვახალო თავი?

პავლე — ინსტრუქციაში ასეა ნათქვამი, მორჩა და გათავდა!

ელიზბარ — მე რა თავში ვიხლი მაგ თქვენს ინსტურექციას — გეუბნები, მე რა ვქნა მეთქი? ქვა გამოვხრა, ბალახი მოვძოვო? ჩემს ცოლშვილს ნაცარი დავუყარო, კაცო? ეს რას ჰგავს, ძველი რეჟიმი დაგვიბრუნდა თუ?

გაბო — შენ ეი! ვის უყვირი? (მუქარით და ყვირილით) არ იცი, თავჯდომარეს ელაპარაკები?

პავლე — მაგ კონტრევოლიუციას თავი დაანებე და საერთო მაშტაბით ილაპარაკე, თორე მე ვიცი შენი!

ელიზბარ — რას მაშინებ, შვილო? სიმართლის გულისთვის ხომ ვერ დამიჭერ?

გაბო — რატომ ვერ დაგიჭერ? დაგიჭერ, დეკრეტის ძალით!

ელიზბარ — (გაცხარებული) მაშ ეს ჯლანმანიც წაიღე! ღარიბს ფეხი დაადგი! (ტანსაცმელს იხდის და მიაყრის) აჰა, გაძეხ! ასეთია საბჭოთა რეჟიმი? წყალმსაც წაუღია...

გაბო — (პავლეს ეფარება) ნუ ჰყვირი! მე შენ გიჩვენებ ხელისუფლების გინებისათვის...

პავლე — (ყვირის) შენ იცი, რას გიზავ? ეს აგიტაციაა ადგილობრივ მაშტაბით! წავიდეთ გაბო! (გადიან).

ელიზბარ — (მიაძახებს) სისხლის მსმელებო! ძალა ჩაიგდეთ და გვახრჩობთ?..

(ამ დროს სხვადასხვა მხრიდან შემოდიან ანდრო, მიშა და მოსე.)

ანდრო — (განცვიფრებული ელიზბარს) ელიზბარ, შენ ჭკუაზე ხომ არ შეშლილხარ?

ელიზბარ — ი, ანდრო, მე რომ ჭკუაზე ვიყო შეშლილი, ვერც შევამჩნევდი, რომ ღარიბებს სჩაგრავენ...

ანდრო — მოიცა! მოიცა! რაშია საქმე? (ელიზბარს ელაპარაკება)

მოხე — (მიშას) ეხ, სჩანს, არაფერი გამოვა! მალე ჯვარით სიარულს დაიწყებენ:

მიშა — ესეც შენი ქარხნის ამხანაგები! ჩვენ ხომ ყველაფერი შევატყობინეთ! პატარა დარიგების ბარათი მაინც გამოეგზავნათ!

მოხე — მიშა, არ გვჭირდება ქარხნის ამხანაგები! განა ჩვენ აქ ცოტანი ვართ?

მიშა — ჩვენი პეტრეც ხულიგანებთან დასეირნობს...

მოხე — ფუი! ვითომც ისიც კომკავშირელია! (მარცხნით გადიან).

ელიზბარ — (ანდროს) აბა, განა ეს შეიძლება? რატომ ყურადღებას არ აქცევენ?

ანდრო — სჩანს, ადგილობრივ უხეირო მეთვალყურეები ყოფილან! საქმეს სხვები უნდა მივუჩინოთ!

ელიზბარ — მაშ რა ვქნა, ანდრო, მშივრები დავიხოცნეთ?

მოხე — (გარედან) ანდრო, გელოდებით!

ანდრო — ეხლავ! ელიზბარ, აი რას გირჩევ: სალამოზე სკოლაში კოლმეურნეობის კრებაა. იქ მოდი, მოვისაზროთ!

(ელიზბარი თავის ტანისამოსს აჰკრეფს. ასტყდება ზარის რეკა. შემოდიან ქარხანაში მომუშავე კომკავშირელები, მოაქვთ სხვადასხვა სამჭედლო იარაღი, რადიო და ლიტერატურა.)

პირველი — ვგონებ არ დაგვიგვიანია!

მეორე—სწორედ დროზე მოვსულვართ! გესმის, ზარებს რეკავენ!

მესამე — ადგილობრივ ამხანაგებს უნდა მოველაპარაკოთ!

მეოთხე — გაიგებენ და მოვლენ! მაშინ გადავცეთ საშეფო საჩუქარი! (სასწრაფოდ სდგამენ დაზგას. შემორბის გოგო).

პირველი — ვისი ხარ, ქაჯან? დედა სახლშია?

გოგო — არა, ეკლესიაში!

მეორე — გაიქე და იყვირე: ქარხნიდან ოსტატები მოვიდნენ, ბარებს წკეპავენ, ნამგლებს აკეთებენ, ქვაბებს ჰკალავენ, გატეხილს ამთელებენ — თქო! უფასოდ! აბა გაბზინდი და იყვირე!

გოგო — დედა! ოსტატები მოსულან! უფასოდ ქვაბებს ჰკალავენ, გატეხილს ამთელებენ... უფასოდ.

პირველი — ძმებო, აბა, ერთი კარგი კონცერტი, რომ ვერსის მანძილზე ხმა ისმოდეს! (მუშაობენ. გამოჩნდება ნატალია და გოგო).

გოგო — აი, უფასოდ აკეთებენ, მამა არ მომიკვდეს, მართალს გეუბნები!

ნატალია — რამდენი ხანია, ქვაბს ძირი აქვს გამომწვარი! ნენე, შე გასაქროობო, მე სინს მოვიტან. შენ გაიქე და მამიდა მაროს შეატყობინე, მერე კრუხიპალო თებროს, მერე აირბინე ჩვენებიანთ სოფოსთან, მერე გიგლას ცოლთან, მერე ყვავიაანთ მაშოსთან — ჩქარა!

პირველი — საკმარისია, სამმა დედაკაცმა გაიგოს, მთელი სოფელი აქ მოგროვდება!

(შემორბიან მოსე და მიშა).

კონია — (შემორბის) შვილო, მართლა უფასოდ აკეთებთ?

პირველი — უფასოდ დედი! მოიტა!

კონია — შენ გაიხარე? ვინ ხართ? სადაურები ხართ?

მეორე — კომკავშირელები!

კონია — ღმერთმა გიშველოთ! წავალ სხვებსაც ვეტყვი. (სხვადასხვა მხრიდან შემორბიან მამაკაცი და დედაკაცი, ხელში დამტვრეულ ნივთებით. ზოგს ქვაბი უჭირავს, ზოგს ვედრო, ზოგს ნამგალი და სხვა).

პირველი — მოიტათ მოიტათ! ყველაფერს გავაკეთებთ...

ხალხი — ჯერ ჩემი გააკეთე! ჯერ ჩემი!

(მღერიან და მუშაობენ. ჰკალავენ, წკეპავენ, აკავშირებენ, ლიტერატურას ტრიგებენ და სხვა.)

დიაკვანი — (შემორბის) ეკლესია დასტოვეთ? რას იტყვის მოძღვარი? მალე ჯვარის გამოსვენება დაიწყება. (მორბის მნათე) თევდორე, შენ სადღა მირბი, ზარები დარეკე!

თევდორე — მეც ხორციელი ვარ, მოუკალავი ქვაბი მაქვს!.. ზარების რეკას ხვალეც მოვესწრობით!

(შემორბის ღვდელი შემოსილი).

მღვდელი — ხალხი რა მიზეზით გამოიქცა ეკლესიიდან? წყეულო, რატომ არ რეკავ? ეს რა ბაბილონის გოდოლია?

დიაკვანი — მამაო, უბედურებაა! მნათეც გაიქცა, მე დავრეკავ!

პირველი კომკ. — (მღვდელს) მოქალაქე, იქნებ შენც გწვეთავდეს, მოდი შეგაკეთოთ!

მღვდელი — ვიჯმნი ეშმაკისაგან! განვაგდებ სატანასა! (ყვირის) დიაკვანო, შე ძაღლის გავარდნილო, დარეკე! (გარბის).

პირველი — რეკე, რეკე! ვნახოთ ვინ აჯობებს!..

იგივე სცენა.

დიაკვანი — ჩემი თვალით ვნახე, იქ არიან ტრიფონი, სიმონი და სხვა საშუალო გლეხები.

ზახარიჩ — მაგას ვერ დავიჯერებ! მაშ გაგიჟებულან, კაცო?

ანჯიქო — ტრიფონი ხარიანია. ცხენიც ჰყავს. რა უნდა უხაროებთან?

დიაკვანი — ამ პოჯვრის მადლმა, იქ არიან — წელან ფანჯრიდან ვუცქერდი, როცა მასწავლებელი ქალი გრძელ-გრძელს ელაპარაკებოდა.

ანჯიქო — თედო, აბა წადი კარგად დაათვალიერე! (დიაკვანი გადის)

ზახარიჩ — ანჯიქო, მაგათ რომ საქმე ალჩუ დაუჯდეთ, მაშინ ხომ მთელს სოფელს კოლმეურნეობაში ჩააბამენ?

ანჯიქო—ეგ არ მოხერხდება, ზახარიჩ! მაგათი ავლადიდება კურდღელს აეკიდება!

მედუქნე — ის გაგლეჯილი მართა რომ ქალაქში წასულა?

ანჯიქო — ვიცი! ერთი ტრახტორი ყოფილა! მართა ვერაფერს გახდება! სოფლის საბჭომ ჩვენთვის იშუამდგომლა!

დიაკვანი — (ბრუნდება) გეუბნებით, იქ არიან — მეთქი! ტრიფონი, სვიმონი და სხვა გლეხები. მასწავლებელი კი ენას ატარტარებს...

ზახარიჩ — ქათამი ხომ ქათამია, სირაქლემად რომ გახდეს, არ უნდა დაავიწყდეს, რომ ერთ დროს ის ქათამი იყო. მაგათ კი დაივიწყეს, რომ ეგენი კაცად შენ აქციე...

(ამ ხნის განმავლობაში სიკო უკვე შემოსული იყო. ყურს უგდებდა და ალუღლუღდა. მით გამოჰხატავს, მათდამი ზიზღს).

ზახარიჩ — მოიცა! აქ ვილაც ყოფილა! ვეეე! (ყველანი შეკრთებიან ზახარიჩი აივანს ეფარება.)

ანჯიქო — ფუ, ტყუილად შევშინდით! სიკოა, მართას ქმარი!

ზახარიჩ — (თამამად) ჰო, სიკოა? წითელი კამანდირი? წავიდეს მაგის... მუნჯია, რას დაგვაკლებს? როცა ეგ ყბაში დასჭრეს, მე იმ დროს ლაგოდახში ვვაჭრობდი! ტყვია შიგ ენაში მოარტყეს, მაგრამ განა ძალი კოჭლობით მოკვდება?

(გადიან. სიკო ბრაზმორეული თვალს გააყოლებს, დამახინჯებული ხელით ცდილობს წასულებს ქვა ესროლოს. შემდეგ მოწყვეტილი დაჯდება და მიყუჩდება. გამოდიან ჯგუფებად გლეხები და დედაკაცები — ეტყობათ კრებაზე ყოფილან და კამათობენ.)

მიტრო — ტრიფონ, ტყუილად გვეწინააღმდეგები! შენც ჩვენთან უნდა იყო...

ტრიფონ — „თქვენთან?“ თქვენ ვინ ხართ?

მიტრო — ჩვენ ღარიბი გლეხები! საბჭოთა ხალხი!

ტრიფონ — თუ ძმა ხარ, ზღაპრებით ნუ გამბერე! ჩვენ ყველა საბჭოთა ხალხი ვართ! შენ საქმე მიჩვენე, საქმე!

მიტრო — კაცო, ხომ გაიგე ანდრო და მასწავლებელი მოსავალზე რას ამბობდნენ... მიწებს შევაერთებთო, მანქანებს მოვიტანთო, დესეტინაზე ასოცი ფუთი ხორბალი მოვაო — განა ეს საქმე არ არის?

ტრიფონ — ეგ საქმეა... ეგ მეც მომწონს, მაგრამ...

მიტრო — ჰოო, დაგიჯდა ჭკუაში?

სიმონ — ახლა ის იკითხე საბჭოში რას ლაპარაკობენ... ტრახტურს ანჯიქოს ამხანაგობა მიიღებსო...

ელიზბარ — მართლა? აბა, ეს რას ჰგავს, კაცო? მართლა მდიდრებმა უნდა დაითრიონ? მაშ რა ჯანდაბათ მინდა...

ტრიფონ — მოიცა, ელიზბარ, რა ცეცხლი მოგედება-ხოლმე. მაგასაც ვნახავთ! ვისაც მაგარი ორგანიზაცია ექნება, ჩვენც იმას მივემხრობით! ასე არ არის, სიმონ?

სიმონ — მაშ არა და!.. საწყალი ჩემი თავიც მეჯავრება! (სიმონ და ტრიფონ გადიან.)

ნატალია — ეე შვილო, მაგათ რა უჭირთ, ქვაც აქვთ და კაკალიც — ბრალი ჩვენი, რომ მარტო ქვა გვაქვს, თავში შემოსაკრავი...

მიტრო — ადამიანო, მაგას რად ამბობ? მოიცა, ქორწილი ჩვენკენაც იქნება!

ნატალია — როდის? როდის?

მიტრო — როდის? რა ვიცი, როდის, მე ხომ კოდელნინო არ ვარ, ვიმკითხაო? ფუ, რა სულწარსულები ხართ! (გადიან. შემოდიან ანდრო, გუნაზი, პეტრე, მოსე და მიშა.)

პეტრე — წავიდნენ მაგათი! მაგ ოხრებს რა ძალიან თავს ევლებით? გაიგეთ, ეს კოლმეურნეობა საკუთარი ინტერესებისათვის გვინდა, მაგათ რა კალთებს აგლეჯავთ?

ანდრო — სულელო! ეგ ვინ მოგახსენა? იქნებ მაგნაირი აზრი პავლემ ჩაგინერგა?

პეტრე — მერე, რაა რომ პავლემ? პავლე კომუნისტია!

გუნაზი — პავლე თვითონ მოიკულაკებს და კულაკებსაც უძვრება.

პეტრე — გუნაზი, თქვენ, როგორც უპარტიოს, არაფერი გეთქმით!

ანდრო — გაჩუმდი! გუნაზის შენზე მეტიც ესმის და მეტსაც აკეთებს!

მოსე — (პეტრეს მუქარით) შენ ეი, პეტრე! ჩვენც გატყობთ იმ ხულიგან ხიხოს რომ აჰყოლიხარ!

მიშა — (უფრო მეტი მუქარით) ჩვენს გოგოებთანაც ისე არ იქცევი, როგორც კომკავშირელს შეეფერის!..

პეტრე — (გულზვიადათ) რა უბნის ძალლებივით დამესიენით? მაგით შემაშინებთ? წადით თქვენი...

(პეტრე გადის)

ანდრო — თქვენ, ყმაწვილებო, მაგის ქცევა მაზრას შეატყობინეთ! მაგისთანა კომკავშირელიდან პავლე ქორქაშვილისთანა კომუნისტები იზრდებიან!

მოსე — ხვალვე მივწერთ! (მიშა და მოსე გადიან)

ანდრო — გუნაზი, მეც უნდა წავიდე! მშვიდობით! თქვენ რალაც მოწყენილი სჩანხართ...

გუნაზიზ — ისე...

ანდრო — დაიღალეთ? ბევრს მუშაობთ? აი, მართა დაბრუნდება და ამოგეშველებათ!

გუნაზი — არა, მე ეგ არ მაწუხებს!

ანდრო — აბა, მაშ სხვა რა მიზეზია?

გუნაზი — მე თვითონ არ ვიცი... ისე, გუნებაზე არ ვარ... მეეჭვება!

ანდრო — გეეჭვებათ?

გუნაზი — (სიჩუმე) მეეჭვება! (მძაფრად) რასაც ამტკიცებენ კოლექტივიზაციის, მეურნეობის და სხვა ათას საკითხების შესახებ, ეს მხოლოდ გაზეთის მეთაური წერილებია! ცხოვრება კი პავლე ქორქაშვილები და ანჯიქოები ყოფილა! აი, სინამდვილე! ამიტომ მეეჭვება...

ანდრო — არა გუნაზი! მართას ეჭვი არადროს ეპარება! იგი არც რყევაშია! იგი არასფერს დასთმობს, რადგან საკუთარს ტკივილებს გრძნობს.

გუნაზი — ანდრო!

ანდრო — საწყენად არ მითქვამს!

გუნაზი — ანდრო, მე მსურს მწამდეს, მინდა, ისევე როგორც სწამს მართას და თქვენ.

ანდრო — (მხურვალედ და მხიარულად) რატომაც არ უნდა გწამდეს? განა დღეს ხუცების კონტრა არ დავამარცხეთ? განა ეხლახანს კრებაზე სოფლის უმრავლესობა ჩვენ არ მოგვემხრო? მაშ რატომ არ

უნდა გწამდეს? არა, გუნაზი, მოიშორე ეგ ინტელიგენტური უნიათობა! რაკი ომი გამოაცხადე, ბრძოლა გამარჯვებამდე!

(წასვლას აპირობენ, გუნაზის სიკო შეეხეჩება. გუნაზი შეკრთება)

გუნაზი — ა! მეშინიან!

ანდრო — გუნაზი, ეგ ხომ სიკოა, მართას ქმარი! (სიკოს) სიკო, წადი სახლში! ნუ შფოთავ, მართა მალე დაბრუნდება! ეხ, სიკო! ერთ დროს ეგ ჩემი მეთაური იყო? გესმის? გლეხები შაირს მღერიან... ისინი უკეთ გაგაცნობენ.

შაირი ჩოგბურზე:

ლაგოდეხში მივაშურეთ ჩვენს ჯარისკაცებს...
წითელ დროშას მაღლა ვწევდით, ზარსა ვცემდით მტერს.
იქ მოვაწყეთ აჯანყება გაზაფხულის დღეს
იქ მოვაწყეთ აჯანყება . . . . . .
მეთაურად სიკო გვყავდა პროლეტარს და გლეხს.
გენერლები დაფაცურდნენ, ჯარს მოუწოდეს,
ჯარი იმათ აღარ გაჰყვათ, ზურგი უბრუნეს. (ორჯერ)
ღამე ალყა შემოგვარტყეს, ტყვედ დაგვიჭირეს,
სიკო იმათ არ დანებდათ, ტყვია ესროლეს,
თერთმეტი ძმა დაგვიხვრიტეს, არც კი დამარხეს. (ორჯ.)
სიკო გლეხმა შეიფარა, იქ მოარჩინეს.
მაგრამ, ვაი, იმ მორჩენას, ველარ სძრავდა ხელს,
ტყვიით ენა დაუმუნჯეს, ძარღვიც გაუჭრეს. (ორჯ.)
მეგობრებო, მოსისხლე მტერს ვინც შეიბრალებს,
ის აფერხებს ხალხის საქმეს და ღალატობს ძმებს.
მაშ ბოლომდე გამარჯვება და სიკვდილი ძველს.
მაშ ბოლომდე გამარჯვება . . . . . .

ანდრო — გესმის? მაშ ბოლომდე გამარჯვება! განა ჩვენ მტრებმა შეგვიბრალეს, რომ ჩვენ ისინი შევიბრალოთ? არა! თამამად გუნაზი და ბოლომდე გამარჯვება!

(გადიან. შემოდის პავლე მთქნარებით, უკან გაბო მოსდევს.)

გაბო — კაცო, პავლე, პავლე, მთელ დღეს დაგეძებ... სად ხარ, კაცო? ჩემი მდივანი ჩემთან უნდა იყოს, შენ კი... აი, ეს ქალალდი ვერ წამიკითხავს...

პავლე — თავი მტკივა, გაბო, თავი! კარგია ნაბახურევზე ერთი მჟავე!

გაბო — სად გადაჰკარ? არ მეგონა, მაგას იკადრებდი! მერე, პარტიული მაინც არ იყო, შე ოჯახქორო! პავლე, ძალიან გემდური, ჩემმა მზემ!

პავლე — რაზე, ბიჭო!

გაბო — უჩემოდ იქეიფე? ვერ დამიძახე, შე კაი კაცო? შენ არ იტყვი ხოლმე უვირისთავოდ ქორწილი არ იქნებაო? თამადა მაინც არ გინდოდათ?

(წერილს აჩეჩებს)

— აჰა, ეს წაიკითხე!

პავლე — (წერილს აცქერდება) რაკი მდივანი ვარ, ყველა ნაჯლაბნზე, თავი მე უნდა ვიმტვრიო? ხვალისთვის გადადე!

გაბო — ეს განცხადება ერთი კვირაა უბით დამაქვს, გაიქონა, ეს ოხერი!

პავლე — ეხლა ჯიბეში ჩაიდე!

პეტრე — (შემორბის) გაბო, პავლე! გაიგეთ? მართა დაბრუნებულა!

გაბო — მერე?

პეტრე — მერე რა ვიცი! აი, აქეთ მოდის... პავლე, იცი, გუნაზიმ წელან შენზე რა სთქვა?

პავლე — ჩემზე?

პეტრე — კულაკებს უძვრებაო!

პავლე — გომბიო! მე მას ვუჩვენებ...

პეტრე — ვერაფერს დაკლებ! ანდრო ჰყავს მფარველად!

პავლე — ანდრო შენ დიდი ვინმე გგონია! მაცადონ, კისერს მოვუგრეხ მაგათ ოპოზიციას!

გაბო — ჩუმად! არ გაიგონ!

პავლე — მე ჩემი გეგმა მაქვს სამაზრო მაშტაბით! აი, ანჯიქოც დროზე მოვიდა!

(შემოდიან ანჯიქო და ზახარიჩ)

ანჯიქო და ზახარიჩ — გამარჯობათ! გამარჯობათ!

პავლე — (საიდუმლოდ) ჩვენ უნდა ცალკე მოვილაპარაკოთ ეკლესიის გალავანთან.

ზახარიჩ — რაო, ახალი ხომ არ გაგიგიათ?

პავლე — მართა დაბრუნებულა...

ანჯიქო — ეგ მეც გავიგე! ტრახტური მართლა მაგათთვის მიუციათ?

პავლე — საბჭოს დადგენილება შენ ხუმრობა ხომ არ გგონია?! მაგათ ვინ მიაშავქვავებს? ჰოდა, შეკრება და მოლაპარაკება ორივე შემთხვევაში საჭიროა...

ზახარიჩ — არ სჯობია მთვარიანზე ღვინო, საუზმე... რომ იქ ზოგიერთ ცხონებულის შესანდობარი დავლიოთ?

პავლე — მაგას რა აჯობებს, სუფრის მაშტაბით!

(შემოდის მართა — მოსდევს ლაპარაკით გუნაზი, ნატალია, კონია, შემდეგ ანდრო, მიშა, მოსე, მიტრო, ელიზბარ, ტრიფონ, სიმონ და სხვა ქალი და კაცი).

ნატალია — კოოპერაციაში ფართალი არ იშოვებოდა?

ხმები — გვიამბე, გვიამბე — ტრაქტორის საქმე როგორ არის?

ტრიფონ — დააცალეთ, ხალხო, ხვალეც ამ თვისაა!

ანდრო — ხალხო, სიჩუმე! ტრაქტორის შესახებ მართა მოხსენებას გააკეთებს.

მართა — (ოფიციალურ პოზას მიიღებს. ხალხი სმენად გადაიქცევა. ზოგი დაჯდება და ზოგი სდგას).

— ამრიგად... მაშასადამე გამომდინარეობს... მოხსენების შესახებ... რომელიც ტრაქტორისთვის... (უმძიმს) უჰ!

ზახარიჩ — ჰა, ენა დაგება?

ანდრო — მართა, ხომ არ გეძნელება?

მართა — ანდრო, რა ძნელი ყოფილა, აზრი დამებნა...

ანდრო — ნუ გინდა მოხსენება უბრალოდ გვიამბე...

მართა — მაგას რა სჯობია? (თავისუფლად, მკაფიოდ) ჰოდა, ქალაქში რომ ჩაველ, მაშინვე მიწსახკომში ვეცი... ასე და ასე — მეთქი... თქვე პირშავებო, თქვე ასეთებო, თქვე ისეთებო — მეთქი... ტრაქტორს ყველა ეარშიყება აღმასკომიდან დაწყებული, გლეხთა საბჭომდე — მეთქი! ცდილობენ დაითრიონ — მეთქი...

პავლე — როგორ თუ გლეხთა საბჭო?

გაბო — როგორ თუ დაითრიონ... მაგისთვის დეკრეტია!..

მართა — შემდეგ მიპასუხეთ!

ზახარიჩ — ჰხედავთ მაგ გაგლეჯილს?

მართა — (განაგრძობს) ვეუბნები: კოლმეურნეობის გაფართოებას ხელს უშლით და აქეთ იმიტომ გამოვქანდი, რომ ყურებიდან ბამბის ძველა გამოგაცალოთ მეთქი! ჰოდა, მიველ მიწსახკომში და იქ რა შევიტყეეეე! (პაუზა, ყველანი დაინტერესებულნი) თურმე, თითო რაიონს თითო ტრაქტორი რგებია და ის ერთიც (ხაზგასმით) ჩვენი საბჭოს შუამდგომლობით უნდათ გადასცენ ანჯიქოს, ზახარიჩს და იმათ ავანჩავანებს...

(შეძლებულ გლეხებში სიხარული, ბოგანოებში უკმაყოფილება. ხალხი აყაყანდება).

ელიზბარ — ხალხო, ეს რას ჰგავს? ჩვენმა საბჭომ რად იშუამდგომლა? მდიდრებს მხარს უჭერენ, კულაკებს ემხრობიან?

გაბო — რას მიჰქარავ, ნეტა ვიცოდე? არ იცი, ჩვენ დეკრეტის ძალით ვმოქმედობთ?

ანჯიქო — ხალხო, მოიცათ! როგორც სჩანს, ჩვენი ორგანიზაციის წინააღმდეგ ლაპარაკობს. ამას კი კანონი უკრძალავს, ჯერ ერთი იმიტომ, რომ ჩვენ თუ ვარსებობთ, დირეხტივის და დეკლამარაციის ძალით, და მეორეც, მაგალითად ჩემზე მოგახსენებთ: განა მე ქვრივ-ოხერი და ღარიბი მებრალება? მე იმათ ყოველთვის ვეხმარები და საბჭოთა ხელისუფლებასაც ფეხქვეშ ვეგები. დაეკითხეთ მოსეს, მაგდანას, თომას, ივანეს — ამ უხარო ხალხს...

ზახარიჩ — კაცო, დაეკითხეთ, ქვეყანა ჩალით ხომ არ არის დახურული!

მოსე — მართალია, ხალხო, მართალი!

თომა — ეგ ჩვენი სოფლის მამაა, ჩემმა მზემ!..

ნატალია — მაგისთანა სულგანათლებული და მადლიანი ერთი არ მეგულება...

მიტრო — სულგანათლებული კი არა, კულაკია!

ანჯიქო — რის კულაკი შე გაქუცულო!

მიტრო — ხალხო, აბა, ეს რას ჰგავს? გამოდის რომ ანჯიქო ყველაფერი ყოფილა და ჩვენ, ეს ათასი ბოგანო გლეხი კი — არაფერი!

ზახარიჩ — ეხლა გაიგე? შენ ვინ გენდობა, ქარაფშუტას ქარი წაგილებს... (უბერავს და ხელებს მაღლა-მაღლა იქნევს).

ტრიფონი — (მიტროს) მაშ შენ ხარიანთან ებმები? ეგე, ვისაც წელი მაგარი აქვს, იმას ანგარიშსაც უწევენ...

სიმონ — მაშ რა ჯანდაბად გვინდა კოლას მეურნეობა, ან არტელი, ან ორგანიზაცია, თუკი მთავრობა ყურადღებას არ მოგვაქცევს?

ტრიფონ — წავიდეთ, წავიდეთ, აქ ჩვენი სარფა არ ყოფილა! მაგათ მიეცეს და მიემატოს!

(ბოგანო ხალხი ერთხანად წასვლას აპირობს)

მართა — (მკაცრად) ხალხო, მოიცათ! (ხალხი შეჩერდა) საქმე ერთი შებერვით ხომ არ კეთდება! ტრაქტორს არტელი მიიღებს, ჩვენ...

(ბოგანოებში მხიარულება, შეძლებულებში უკმაყოფილება)

მართა — საკითხი შეატრიალეს და ჩვენკენ გადმოატრიალეს. ტრაქტორს ჩვენ მივიღებთ — აი, რეზოლიუცია!

ელიზბარ — საინტერესოა!

მიტრო — (გახარებული) ჰო, ასე! ეს კი სამართლიანია! (ტრიფონს უახლოვდება შუბლზე ხელ მიდებით) გამარჯობა ტრიფონ! ეხლა რას იტყვი? ღარიბებსაც გვქონია თუ არა ორგანიზაცია!??

ტრიფონ — (შემარიგებელ კილოთი) ჰო, რა ვიცი... ეგ საქმე — საქმეა! მაგრამ ერთი მაგ ქალალდზე დამახედეთ, აზის თუ არა ბეჭედი?

მართა — აი, ნახეთ! (ქალალდს სინჯავენ. გაბომაც ნახა და ზახარიჩს აზრი გაუზიარა)

ზახარიჩ — მერე რაა რომ ბეჭედი აზის, ბეჭედს განა თვითონ ვერ დაასვამდნენ? თუნდაც ამოდენა (ხელით ანიშნებს) ბეჭედ გავაკეთებ და დავასვამ. იშკილია, იშკილი!

მიტრო — ხალხო, ეხლა მტერს თვალებს დავუყენებთ! მანქანა რომ გუგუნს დაიწყებს, მაშინ... ჩვენი მასწავლებელი რომ ამბობდა... ფუ, როგორ დამავიწყდა... აი, იმას, რა ჰქვიან, გოგო?? ჰო, ვიცი, ინდოსტრიალიზაცია, ცოციალიზმი — იმის რჯულიც არ იყოს — სულ ბრეს ვადენთ!

პავლე — (ანჯიქოს, პეტრეს, გაბოს და სხვებს) უთუოდ მოლაპარაკება საჭიროა, ხომ ხედავთ, თავზე გვასხდებიან ადგილობრივ მაშტაბით.

ზახარიჩ — მაგათ ლაგამი, თორემ ისეთ ტლიკებს გვესვრიან, რომ მაშტაბი სიზმრად ღა გელანდებოდეს...

მართა — (დედაკაცების ჯგუფში) რომ გენახათ, რა ჭაპანწყვეტა გამოვიარე! პირდაპირ დირექტორისაკენ გავექანე. არ მიშვებდნენ: ხვალე მოდიო! ვკარ წიხლი და შევუვარდი. წამოხტა სქელი, სათვალებიანი: „დღეს არ ვიღებთო!“ (ტონს აუწევს) როგორ თუ არ ღებ, ხუთი დღეა, ხალხის ფულს ვხარჯავ — მეთქი! „ნუ ჰყვირიო!“ ვიყვირებ კი არა, თავპირს დაგამტვრევ — მეთქი! „მაგრე ვის ელაპარაკებიო!“ შენ შე წყეულო — მეთქი! „მაგის გამო არაფერს მიიღებო.“ აქ კი გავცეცხლდი, ვუყვირე და როგორ ვუყვირე! თქვენ არ გეგონოთ, ქალი ვარ და კაბა მაცვია — მეთქი. იმ უფროსს ცხვირწინ ასეთი მუშტი ვუჩვენე. (მუშტს უჩვენებს ანჯიქოს და გაბოს)

მიტრო — გოგო, მართა! ბარემ ერთი მუშტის მაგიერ, ორი გეჩვენებინა, აი, ასე?! (საჩვენებელ თითებს ენაზე აისვამს, ორივე ხელით „სამთითს“ (შიშს) გააკეთებ). პუპლუც! იცის გოგომ! იცის ბიჭმა!

ზახარიჩ — ჰხედავთ, ამ ბოსტნის საფრთხობელას!? ვაჰ! ვაჰ! მოკვდი გულო!

სურათი

(ეკლესიის გალავანი, ალაყაფის კარით, რომელსაც სხვა კარიც აქვს და გალების დროს რახუნებს. ზაფხულის მთვარიანი ღამეა. შემოდიან: ანჯიქო, ზახარიჩ და თომა.)

დიაკვანი — ვინ არის?

ანჯიქო — სუ! ჩვენ ვართ!

ზახარიჩ — ღმერთო შენ მიშველე! თედო, აჰა, კიტრი, ყველი, ფაფასავით ღვინოა! ანჯიქო, დავლიოთ თორემ შიშისაგან ლამის გამაციოს!

დიაკვანი — კარები მაგრა დახურეთ?

ანჯიქო — მაგრა! თუ რამე მოხდა, ეკლესიაში ზედაშე მოვიტანეთ და ჩვენს მიცვალებულებს ვიგონებთ, ვის რა საქმე აქვს?

თომა — მთელს სოფელს სძინავს, რისი გეშინიათ? (კარი დარახუნდება. შეკრთებიან, შემოდის პავლე და პეტრე.)

ანჯიქო — ვინ არის?

პავლე — ჩვენ ვართ!

თომა — მართლაც შემეშინდა!

ზახარიჩ — გეუბნები, ლამის გამაციოს — მეთქი! კაცო, ეს რა ხათაბალა გამოიგდეთ? მერე, რომ გაგვიგონ, ჩემი ცოლშვილი? ჩემი ქულფათები?

ანჯიქო—ზახარიჩ! სანამ გაბოც მოვიდეს, სთქვი სადღეგრძელო...

ზახარიჩ — რის სადღეგრძელო, დავთრები დაბნეული მაქვს...

პავლე — მე თქვენთან ვიყო, რისა უნდა გეშინოდეთ?

ზახარიჩ — ჩემმა მზემ ეგ კი მართალია! მაშ მოდი ერთი ძველი მაზალო გითხრათ. ღმერთმა გაუმარჯოს იმ კაცს, რომელიც პატარა დაიბადება და მერე გაიზრდება. როცა გაიზრდება, შეიქნება ასე, ოცი წლისა, წავა ლუკმა პურის საშოვნელად. ივლის, ივლის, მიადგება ერთ წყალს, უნდა რომ ეს წყალი გადასცუროს, მაგრამ მოუვა იანლიში. შუა წყალში რომ მივა, დაიხრჩობა. ეს წყალი წაიღებს ამ დამხვრჩალს, ატარებს, ატარებს და ერთს ნაპირას მიაგდებს. ზედ ლამსა და ქვიშას მიაყრის. გავა რამდენი ასი წელიწადი და იმ ლამსა და ქვიშაზე ერთი მუხა ამოვა. ეს მუხაც გაიზრდება, შეიქნება ასი წლისა. ერთს გაზაფხულის დილას ამ მუხაზე შემოაჯდება ბულბული და დაიწყებს სტვენას. ეხლა ის ბულბული იმ უპატრონო მკვდარს იგონებს. გაუშვი იმ ბულბულსაც გაუმარჯოს...

(სადღეგრძელოს დაათავებს, კარები დარახუნდება. ჭიქა ხელიდან გაუვარდება. შემოდის გაბო.)

ანჯიქო — ფრთხილად, გაბო, კარებს რას არახუნებ?

გაბო — კაცო, შიშისაგან! კარებს ვაღებ; ვგრძნობ, ვილაც მაწვება, მერე ფეხებ-ქვეშ მედება! ვფიქრობ, დავიღუპე — მეთქი! დავაკვირდი და მუნჯი სიკო კი გამოდგა. ერთი მაგარი ვუთაქე და გავაგდე...

პავლე — ეგ საშიში არ არის...

თომა — ეშმაკი კაცია!

პეტრე — მუნჯია, რას დაგვაკლებს...

ზახარიჩ — ნაბამ ვაშლს რომ ხანჯალი არ გაუქნიო, გასჭრის, მაგრამ ხეს ნაჭერი მაინც შერჩება; ერთი პატარა ჭია კი იმ ვაშლს ისე გამოხრავს და ძირს ისე ჩამოაგდებს, რომ ვერც კი გაიგებს, სანამ გვერდები არ დაეჟეჟება... ეგ სიკოც ჩვენი ჭიაა!

ანჯიქო — მართლაც სიფრთხილეს თავი არ ასტკივა...

გაბო — მაშ დავიწყოთ!

პავლე — დავიწყოთ!

გაბო — (დაჯდება, სხვები შემოუსხდებიან, ზოგი ფეხზე დგას) აი, ხალხო, საქმე ამნაირად არის. სჩანს, მართამ ქალაქში თავისი გაიყვანა. აქედან რა დავასკვნათ? ის, რომ ვინც ყვირის, ის იმარჯვებს... არტელში აუარებელი ხალხი შედის. მალე არჩევნებიც იქნება და ჩვენ კუკუს ამოგვკრამენ!..

პეტრე — ეგენი ჩვენ ძირს გვითხრიან! ჩემზე ქალაქში ქალალდი მიუწერიათ... ანდრო მხარს უჭერს.

პავლე — გობაძე? მე იმას კისერს მოვუგრეხ. მე, პარტიულს, კრიჭაში მიდგა...

ანჯიქო — ეხ, მე ტრახტური მენანება! რა შემოსავალი გვექნებოდა?

ზახარიჩ — მაშ, მაშ! ხვეტე და ხვეტე! მერე, მე აწონაში რამდენს ავწკაპნიდი? ამწონავად ხომ მე უნდა ვყოფილიყავ?

თომა — მაშ, მაშ! კაცო, როგორც ჯიბგირმა ფული ამოგაცალოს, ისე მოგვივიდა!

პავლე — საჭიროა გეგმით მუშაობა, რომ საქმე ჩვენკენ მოვატრიალოთ!

აველანი—როგორ? როგორ? (მუნჯი სიკო მოიპარება და ყურს უგდებს)

პავლე — ქალაქში მე კარგი ნაცნობი მყავს, დიდი კაცია! ხვალ წავალ ქალაქში, მაგრამ ფულია საჭირო! ცარიელი ხელით ხომ ვერ მივადგები?

ანჯიქო — პავლე, ფულზე დაბრკოლება არ ექნება!

ზახარიჩ — ჯან! შეუსახელე, ანჯიქო მზად არის!

პავლე — მეორეც: მთავარი მტერი უნდა ჩამოვიცილოთ! სახელი გავუტეხოთ, ლაფში ამოვსვაროთ, რომ ჩვენ გზა გაგვეხსნას. ჩვენი დაუძინებელი მტერი მასწავლებელი ქალია! ჩვენზე ხალხს ის ამხედრებს.

ზახარიჩ — ოხ, ერთი სად არის იმისთვის მამალი ბიჭი!!

პავლე— მე ასე ვფიქრობ: (უსირცხვილოდ) გუნაზი ჩემთან ხომ წოლილა? — წოლილა! ხომ დაადასტურებთ?

ყველანი — დავადასტურებთ!

პავლე — ამ ჩვენს პეტრესაც ხომ ჰყოლია? — ჰყოლია! დადასტურებთ!

ყველანი — დავადასტურებთ!

ზახარიჩ—გაუმვი, მაგისთანა ლამაზი გოგო ვითომც მეც მყოლია!

პავლე — შენც და ხიხოსაც! იტყვით? (ხიხოც ხითხითებს.)

ყველანი — ვიტყვით! ვიტყვით!

პავლე — მაშასადამე, ის ყოფილა როსკიპი და საზოგადო საქმიდან — ჰაიდა!

პეტრე — მე და ხიხო გუნაზის კარებს კუპრს წავუსვამთ, რომ პარტიულებზე კრინტი ველარ დასძრას!

პავლე — ეგეც კარგი იქნება! მართას შესახებ კი სოფელში ხმა უნდა დავყაროთ, ვითომც საზოგადო თანხა საკუთარს ოჯახს მოახმარა, ფული გაფლანგა — ამის ოფიციალური საბუთებიც არის — ხომ გესმით?

გაბო — საბუთები? რა საბუთებია?

პავლე — საბჭოსთვის საქონელს ვინ ყიდულობდა? — მართა!

ზახარიჩ — მართა, მაშ მე ხომ არ მანდობდნენ?

გაბო — მერე მაგით რა გამოვა?

ზახარიჩ — დააცა, ქუმელი ხომ არ ხარ, ყელზე ადგები?

პავლე — თუ ყიდულობდა, მაშ ანგარიშები და ქვითარები უნდა ჰქონდეს...

ზახარიჩ — ჰო, კარგია! კარგია!

გაბო — (შეუტევს) რა არის კარგი! მე დანამდვილებით ვიცი რომ საბუთები აქვს! უჯრაში მე თვითონ ვნახე...

პავლე — გაბო! ჰქონდა! (ჯიბიდან ქვითარებს ამოიღებს და ჰხევს) ეხლა კი აღარ აქვს! (ყველანი კმაყოფილებით იცინიან.)

ზხარიჩ — მეგონა, მარტო მე ვიყავ მარიფათიანი, ეს რა დიდი ვინმე ყოფილა!

პავლე — რაკი საბუთები აღარ ექნება, მაშ პროკურორთან უნდა წაბრძანდეს. შეიძლება საბუთების აღდგენა, მაგრამ სანამ აღადგენენ, პანჩურს ჰკრავენ და ჩვენ ხელს მოვითბობთ!

ეხლა ანდრო გობაძეზე.

პეტრე — იმ ძაღლს მე გავუსწორდები!

ანჯიქო — მხოლოდ წყნარად, მშვიდობიანად, უდავიდარაბოდ! აი, თუნდ მაგალითი ჩემგან აიღე!

ზახარიჩ — გაუგონე, მაგას ათი პერანგი შენზე მეტი გაუცვეთია ნათქვამია: ათჯერ გაზომე, ერთხელ მოსჭერო!

გაბო — მეც ვარჩევ უდავიდარაბოდ, რომ საქმე არ წაგვიხდეს...

პავლე — თქვენი საქმე სხვა არის! მე იმას პარტიულ მაშტაბით ვებრძვი...

პეტრე — როგორ თუ უდავიდარაბოდ?

ზახარიჩ — სუ! რა გაყვირებს?

პეტრე — ცოცხალს არ გავუშვებ... ის ჩვენ კომკავშირელებს გველობება...

პავლე—(რევოლვერს უჩვენებს) პეტრე, ყოველ შემთხვევისთვის შენ ამისთანა გაქვს? (სიკომ რევოლვერი დაინახა და შეაჟრჟოლა.)

პეტრე — არა, არა მაქვს! თუ ძმა ხარ მომეცი!

პავლე — წაიღე! მე მეორეც მაქვს!

ზახარიჩ — ვაჰ, ეს ოხრები, ალარ ხუმრობენ! ეს რა ხათაში ჩავვარდი? რა მჯრიდა, ჩემთვის ვგდებულვიყავ?

ანჯიქო — ზახარიჩ, ეგ რა საკვრიველია მშვიდობიანობის დასაცავად საჭიროა. მაგრამ ვინიცობაა, პეტრეს თავს დაესხნენ, მაშინ პირუტყვიც კი თავს დაიცავს...

ზახარიჩ — ეგ საქმეა, მაგრამ მე მაინც შორს...

პეტრე — მაშ მე პეტრე არ ვყოფილვარ, თუ ანდრო ჩემზე გავაცინე! (რევოლვერს შეათამაშებს) არ ვაცოცხლებ!

პავლე — გაჩერდი! როცა დრო მოვა, მე თვითონ! (სიკო სამრეკლოზე ავარდება და დაიწყებს ზარების რეკას. ყველანი შეშინდებიან და აირევიან.)

გაბო — ვინ ეშმაკი რეკავს?

ზახარიჩ — კაცო, ეს რა ხათაბალაა?

ყველანი — რა ვქნათ, კაცო, რა ვქნათ? (თავზარ დაცემულნი აქეთ იქით ეცემიან. სხვადასხვა მხრიდან შემორბის ხალხი, მოსე, ანდრო, ელიზბარ, ტრიფონ. მიტრო და ნატალია.)

ხალხი — რა ამბავია? ცეცხლი გაჩნდა? ამ შუალამისას ზარებს ვინ რეკავს?

პავლე — რომელი ხულიგანია, რომ ათრთხობს დაძინებულ ხალხს?

მოსე — ხალხო, სიკოა, მართას ქმარი!

ნატალია — სიკო მაგას და დარდუბალა! ეგ ჭაჯი!

ანდრო — (ეჭვშეპყრობილი) სიკო? (უყვირის) სიკო, ჩამო, გეყოფა! (ანდრო შეთქმულებზე) უდროო დროს საეჭვო კამპანიაა!

მიტრო — ხალხო, აქ რაღაც ცუდი ამბავი უნდა იყოს!

ანდრო — (ეჭვით შეპყრობილი) პროკურორს გადაგცემ!

პავლე — რა სა-ბუ-თით? მაშ ხმა ჩაიწყვიტე!

ანდრო — ოხ, რომ შეეძლოს სიკოს ლაპარაკი!

ხუთი წლის შემდეგ

ხუთი წლის შემდეგ —
მე წარმოვიდგენ —
თითქოს მივფრინავ
ჰაეროფრთებით
რომ მოვიარო
კიდითი კიდე
სივრცე გაშლილი:
ზღვები და მთები.
შორით გაისმა
მძლავრი გუგუნი.
ჰაერში დარჩა
გიგანტის კვალი
და მყის ვიგრძენი
სხვა საუკუნის
ათრთოლებული
გულის ფართქალი.
რკინის მერანმა
არ იცის დაღლა:
ბრდღვინავს, გრიალებს
ელექტრო ძრავი
და მიმაქანებს
ლრუბლებზე მაღლა
„საბჭოთა ფრთების“
ფოლადის მკლავი.
წინ ელვასავით
მესვრის თვალებში
სივრცე — გაფრენილ
ქარხნების მილებს

და ვამჩნევ ქვევით
მძიმე კვალებში
ტრაქტორის ქუსლით
დასერილ თხრილებს.
გადაუარეთ
ალაზანს, შირაქს,
სად შრომის შვილთა
უმძიმეს წუთით —
შავი ძარღვებით
ამოაქვს ქვიშას
ასიათასი
ტონა მაზუთი.
აგერ ზაჰესი,
თავფარავანი
და ტრაქტორების
ვრცელი სადგური;
ჩამწკრივებულან
ვით ქარავანი
უზარმაზარი
ბეღლები პურის.
აქ კოლექტივის
ნება განაგებს
მიწის ბარაქას,
ანეულს, ყანას
და მუშის ხელი
ტკივილით აგებს
თავისუფლების
ახალ ქვეყანას.
ჩემი სალამი
ალმშენებლობას!
შზიურ სტროფებად
გულგადახსნილი —
ვგრძნობ რომ ვით პოეტს,
ოსტატს, ხელოვანს
ამ შენებაში
მეც მიდევს წილი.
და თუ ეგ ფიქრი
ეგზომ მახარებს —

თუ მას მივმართავ
დღეს სიმღერებით —
ვიცი: ვიხილავ
საბჭოთა მხარეს
სავსეს სიკეთით
ბედნიერებით.

ხუთი წლის შემდეგ —
მე წარმოვიდგენ —
თითქოს მივფრინავ
ჰაეროფრთებით
რომ მოვიარო
კიდითი კიდე
სივრცე გაშლილი:
ზღვები და მთები.

— : —

ი. ლიხაშვილი

კოლექტივებზე საუბარი დედასთან

— შენ ჩემო შვილო,
მთლად დაგვივიწყე,
აღარ სცილდები
ქალაქის ქუჩებს,
ალბად არ იცი
ჩვენ რა დავიწყეთ
და რა ახარებს დღეს სოფლის მუშებს.
ეხლა ჩვენს ახლო —
სხივ განატყორცნი:
გარბის მანქანა
დიდრონ თვალებით
და ჩვენს ეზოსთან, —
იქავე მარცხნით:
„კოლექტიურმა“ მოხნა ყანები.
ამ სიხარულით და ალმაფრენით
სოფელს მიეცა სულ სხვა იერი
ერთად ამღერდა ხალხი, — ამდენი
და შეიძულეს ყველა ცბიერი.
შენ კიდევ ფიქრობ
ალბად სოფელი —
არის იგივე
რაც იყო მაშინ
როცა პატარა, —
ფეხებ სოველი
იყინებოდი ხარებთან გზაში.
ერთხელ გიპოვე —
შენ გულწასული:
გადაბრუნებულ
ურმის ბორბლებთან

მკერდში ოდნავად ფეთქავდა გული
და წაქცეული ხარი ბორგავდა.
ეს იყო ლამით:
თოვლში,
ყინვაში,
გარეთ ძალლიც კი არ დადიოდა.
სახლს ვერ ნახავდი
ერთხელ კვირაში
ციდან რისხვა და
მეხი ცვიოდა.
ალბად ამიტომ
ალარ გსურს ნახო
მძიმე წუთების
ძველი ადგილი,
მაგრამ მერწმუნე
თუ მიხვალ ახლო
იქ წინ შეგხვდება
ხალხი გაზრდილი.
გათენებისას,
ერთხელ დაბლობზე:
სად იწვა თეთრი
და გრძელი ნისლი
ჩვენ დავინახეთ ცეცხლი კალოზე
და კომუნარის დაღვრილი სისხლი.
იყო ხმაური —
შეუწყვეტელად:
გამოათრიეს წუწკი ივანე,
მან „კოლექტიურს“ გადაემტერა
და გაუთხარეს იქვე სავანე.
მაშინ მივარდა
ჩვენი ანდრია
მან შეაჩერა ამხანაგები
და ცოცხალ-მკვდარი —
გამოათრია:
შურის ძიებით სისხლის ამღები.
ბოლოს გამოტყდა უკვე ბობოლა
გამოამჟღავნა ყველა „გმირები“.

ვინც „კოლექტიურს“ დღეს შეებრძოლა
და შეიღება სისხლით ხელები.
ეს იყო მღვდელი,
იყო ვაჭარი,
ყველა ოხერი —
ვინც კია სოფლად,
დასავლეთიდან უქნევდა ქარი:
ბავშებს —
რომლებიც დასტოვეს ობლად.
მას შემდეგ დიდი
დრო არ გასულა —
სოფლად გავრცელდა
ასეთი ხმები:
რომ „ხალხის სიტყვა
უკვე ასრულდა —
მათ ჩამოშორდათ წუწკი ძალები“.
„კოლექტიურმა“ —
ობოლ ბავშებზე:
თვით დაიკისრა
დღეს მფარველობა,
ერთ ცრემლს ვერ ნახავთ
იმათ თვალებზე
და ხშირად მესმის მათი გალობა.
მე ძლიერ მიკვირს
შენი მოქცევა:
შემოაბრუნე ერთხელ თვალები,
რომ ნახო სოფლის ეს გატაცება
ქალაქის კედლებს რომ ეფარები“.

მე მომაგონდა ყოფნა
იმ დღეში
ვიგრძენ:
მშობელი ძალზე აღელდა
და დედაჩემის
დამჭკნარ ძარღვებში:
ბებერი სისხლი თითქოს ამღერდა.
...და გავიფიქრე —
დროა წავიდე.

„კოლექტიური“ დედამ შეაქო,
ვფიქრობ:
მე ამით ცუდს არ ჩავიდენ
და ვსთქვი:
„მშვიდობით ჩემო ქალაქო“.
მე ახალ გეგმებს
დღეს განვიხილავ
ვგრძნობ:
სოფლისაკენ გული მეწევა
ვამბობ:
ქალაქო მაშინ გიხილავ,
როცა სოფელი შენ დაგეწევა.

——— : ———

ტფილისის სამხედრო ტაძრის დანგრევა

წერაქვიანო!
ვინც უნდ იყო ჯიშით და ტომით:
იუდეველი,
მალრიბელი, თუ ხატაელი,
დაჰკა წერაქვი
დახავსებულს უაზრო დგომით,
რომ გარდაიქმნას
ჩემი გულიც, ვით მთა და ველი.

დაჰკა წერაქვი
იმ ძველ ტაძარს, სადაც ოდესმე
უგნური ჭკუა
მათხოვრობდა ხატის წინ ბედსა,
სადაც სინათლის
მაძიებლად საწყალთ მშობეს მე,
რათა შემდგომში
თავს დავსხმოდი ყოველგვარ ღმერთსა.

დაჰკა წერაქვი!
მის კედლებში მტერი ჰბოდებდა
მტანჯველთ სიკეთეს,
მოვლინებას საამო ლავად
და გუმბათიდან
მისი ზარი მოუწოდებდა
მრევლს ჩემი რწმენის
და მიზნების ჩასაქოლავად.

დაჰკა წერაქვი!
ეგ ტაძარი, როგორც კულაკი,

საწყალთა შორის
გაბლინძული და ქედ-აყრილი,
იდგა მრისხანედ
და ჩემი ბჭე, ჩემი ბუნაგი
მას ზიზღსა ჰგვრიდა,
როგორც მონა ნაცარწაყრილი.

მისი კედლები
საფლავთაებრ მესვენა გულზე;
სადაც ტანჯულთა
მისწრაფებებს სჭყლეტდა, ამტვრევდა
და არ იცოდა,
რომ კომუნის მკაცრ გაზაფხულზე
შურისძიება
მის კედლებსაც ჩამოანგრევდა.

დაჰკა წერაქვი,
სადაც ლოცვით აბრწყინვალებდნენ
„უთვითმპყრობელესს,
უავგუსტესს და წმინდა პირებს“,
გაუმაძღრობას
თავისას რომ ჩვენ გვაბრალებდნენ!
თვისგან გაძარცულთ
რომ გვეძახდნენ საწყლებს და მწირებს!

დაჰკა წერაქვი
შმაგიანი განავარდებით!
ის არსებობდა
სისხლისა და ცრემლის ნიალვრით!
დაჰკა, აივსოს
ახალ ყოფის მტერი დარდებით.
დაჰკა და მაგით
შავ წარსულსაც მიწას მიაყრით!

დე, იმ ადგილზე,
სადაც მღვდელი ლოცავდა მეფეს,
წამოიჭიმოს
გლეხთა სახლი საქართველოსი

და დაეწაფოს
საქართველო უკვდავ სიკეთეს
სოციალიზმის
აწმყოსა, თუ მომავალს დროში.

მძლვარმა წერაქვმა
ამოაგდოს მის საძირკველი,
საუკუნეთა
ქარიშხალში მდგომი უძლევად
და ნანგრევებზე
დააბრწყინეთ სახლი პირველი
მუშათა-გლეხთა
შეურყეველ თავისუფლებად!...

I/II — 30 წ. ტფილისი.

——— : ———

ᲨᲝᲠᲔᲣᲚᲘ

VIII

ჩვენი ბინა დაიშალა. კამო ბათომში გაიწვიეს. ლამბაშიძე თავის სახლში წავიდა — მამასთან. მე ისევ ტფილისში ვიყავი — დედასთან.

ორი პატარა ოთახი გვეჭირა. ჩემი პატარა დაძმანი სასწავლებელში დაიარებოდნენ. დედა ჩემიც მათი გულისთვის სცხოვრობდა ტფილისში. მამა კი მიტოვებული გვყავდა სოფელში და საზრდოს გვიგზავნიდა.

დედა ჩემი მოფუსფუსე დიასახლისი იყო. შვილებზე ზრუნავდა. თავის ამაგს აფასებდა და შვილებისაგანაც მოითხოვდა პატივის ცემას და ყურადღებას. ჩემს აბნეულ გზას ამჩნევდა და გულში დარდობდა, რომ ასეთი უბედური შვილი ეზრდებოდა.

ერთ დღეს გულში ნადები გამოსთქვა და საყვედურიანი კილოთი მითხრა: „ნეტა შენისთანა შვილი არ დამბადებოდა და მუცელშივე გამწყალებოდა! როდემდის გინდა აგრე იხეტიალო და ჩვენი ლუკმა პური სჭამო!„.

არ მოველოდი. ასეთმა სიტყვებმა გული ამიტკივა. მწარე სითხე გაიშალა შიგ და სევდა მომაწვა. ერთ ხანად გაბრუებული ვიდექი. მერე, სწრაფად ქუდი დავიხურე და გამოსასვლელად კარი გავაღე.

დედა ჩემი ახლა მიხვდა გადამეტებულად ნათქვამ მწარე სიტყვებს — კარში ჩადგა, არ გამიშვა. საღამოდის სახლში დავიცადე. მაგრამ წასვლა მტკიცეთ მქონდა გადაწყვეტილი. საღამოს დედის შეუმჩნევლად გამოვედი. სახლში დაბრუნება აღარ მინდოდა. მაგრამ, სად უნდა წავსულიყავ? მახლობელი ამხანაგი აღარავინ იყო ტფილისში!..

ბათომი! ბათომი!... იქ არიან ამხანაგები! იქ არიან მუშები! და მე დავიწყებ მუშაობას! განხორციელდება ჩემი ოცნება! შევალ ქარხანაში! გავხდები მუშა! და ვიქნები ნამდვილი მუშა-რევოლიუციონერი! მაშინ ვერავინ მისაყვედურებს, ვერც ამხანაგები და მთლიანად ჩავეფლობი მოძრაობაში...

მაგრამ, ახლა სად წავიდე, სად? ვის მივმართო დახმარებისათვის, ვის გავუზიარო ჩემი ფიქრები?..

ვორონცოვის ხიდთან ვდგევარ. „კონკის“ ჩხარა-ჩხური, ფაიტონების სრიალი, მოსიარულეთა ხმაური, ყვირილი და გაძახილი — ჩემს განმარტოებულ ვნებას აღიზიანებს, ათრთოლებს...

ხიდზე გამწკრივებული ფარნები ციალობენ, კმაყოფილი სახეები მოქალაქეებისა მაბრაზებს. მინდა გადავეღიო ამ აურ-ზაურში, დავარღვიო ქუჩის მშვიდობიანი მყუდროება, შევშალო მსვლელობა. შევქმნა ჩოჩქოლი, გავაჩალო ბრძოლა, დავამარცხო წყნარი და დალაგებული ცხოვრება... ჩემი ბოღმა და გესლი ჩავკლა ამ ბრძოლაში...

მარტო ვარ. უძლური ვარ, ნამდვილ ცხოვრების წინაშე ვთრთი და კბილებს ვაკრაჭუნებ. ჩემი ოცნება ცხოვრების შესახებ, ახლა შორს არის!... აგერ ნამდვილი, ალესილი ცხოვრება დაუნდობელი კბილებით! რატომ არა მაქვს ძალა, თუ კი ეს ხდება ოცნებაში, ერთის დარტყმით განვახორციელო გულში ნადები ზრახვები!..

ხიდის მოაჯირიდან ქვეით მოდუდუნე მტკვარს დავხედე. მის მსვლელობას მივეცი ფიქრები. და მისმა ბუტბუტმა, აქოჩრებულმა ტალღებმა, ხიდის ბურჯებს რომ გამალებით ეხეთქებოდა, — დააწყნარა ჩემი აღელვებული გრძნობა.

დიდხანს ვიდექი ხიდთან და მტკვრის მიმდინარეობას ვუმზერდი. ფიქრები ჩალაგდა. აზრი ჩამოყალიბდა. არეულ სახეთა შორის დავინახე მამაჩემის ჭალარა წვერ-ულვაში, კეთილი ღიმილი, სილრმეში წასული თვალები და ნაოჭიანი შუბლი. თითქო ამ წუთში ის იყო ჩემი მისაყრდენი ნავთსადგური, ჩემი დამაამებელი.

სადღაც შორს, გულის კუნჭულში დაფარული იყო მისი მზრუნველობა, ალერსი, უზომო სიყვარული ჩემდამი. ახლა, ასეთ გაჭირვების დროს, წამოლივლივდა ჩემს წინაშე მისი სახე-მივიწყებული, მიტოვებული...

მაშ, უნდა წავიდე მამასთან. ის ხომ კელითია! ყველაფერს გაიგებს, მაპატიებს, მამური სიყვარულით მომიალერსებს... ხოლო ახლა, ამ წუთში, რა ვქნა?

თავში გაირბინა სხვადასხვა ამხანაგის სახემ. და მომაგონდა, რომ იქვე ახლო გიგუცა პარკაძე იდგა. ცალკე ბინა ეჭირა და პარტიულ მუშაობას ეწეოდა.

სახლში დამიხვდა. წიგნი გვერდზე გადადო. სიხარულით მიმიღო და გვიანი მისვლის მიზეზი იკითხა.

ვუამბე ყველაფერი და ჩემი გადაწყვეტილებაც ვამცნე.

— კარგი გიფიქრია! წადი ბათომში, მიწაც და მალაქიაც იქ არიან! ადრე თუ გვიან ყველა მაგ გზას დავადგებით! კარგია, კარგი!

— მათი მისამართი არ ვიცი!

— მაგას ხვალ გავიგებთ!

— ვფიქრობ ლამბაშიძესაც გავუარო! ვინახულებ, გავიგებ რას აპირებს, როდემდის იქნება სახლში!..

— ეგეც კარგია! გზაც ხომ იქითკენაა! მართლა, იმას რალაც შრიფტი უნდა გაეგზავნა ბათომში თავის მამის სტამბიდან, იქნებ ჯერ არ აქვს გაგზავნილი და შენ წაიღო. მამასთან გავლას კი არ გირჩევ. რა საჭიროა?..

— წერილს კი მივსწერ! შევატყობინებ სადაც ვიმყოფები!

— ჰო! ეგ ეგრე ჰქენი!

იმ ღამეს იმასთან დავრჩი. ტკბილ მეგობრულ მუსაიფში გავატარეთ ღამე. ვისაუბრეთ, ვიოცნებეთ, მოვიგონეთ ამხანაგები, განსაკუთრებით მიშა დავითაშვილი, რომელსაც „დრახინას“ უძახდით. ვილაპარაკეთ პარტიულ მუშაკებზე და ნაშუალამევს დავიძინეთ.

მეორე დღეს ყვირილაში, ლამბაშიძესთან ვიყავი. პირდაპირ მისვლა მის სახლში არ შეიძლებოდა. მისი მამის ხასიათი ვიცოდი — შვილს უშლიდა ამხანაგებთან კავშირი არ დაეჭირა. ხშირათ უთქვამს მისთვის — „ვილაც დიაკვნის შვილებს რომ აჰყვები, აქედან ხეირი არ გამოვაო!“..

დიდ ხანს ვისხედით ყვირილას ღვრია ტალახიანი ტალღების პირად. ორი შეთქმული, აჩქარებული სისხლით და ათრთოლებული გულით — ვფიცავდით მუშათა მოძრაობის ერთგული ვყოფილიყავით დავცინოდით გარშემო მყოფ მოქალაქეებს და გული სიამაყით სავსე გვქონდა.

ბათომში მართლა წასაღები იყო სტამბის ასოებით აწყობილი რგვალი ბეჭედი ბათომის კომიტეტისა. შუაში აწყობილი იყო — „ბათომის კომიტეტი“ და გარშემო — „რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია“. ამასთანავე დამზადებული წითელი ატლასის დროშა წარწერებით და სურათებით. აგრეთვე დროშის ტარი, რომელიც ორათ იყო გასაკეცი.

— ყველაფერი ეს მიშამ და მალაქიამ შემომითვალეს, მაგრამ წამლები ვერავინ ვნახე აქამდის! ახლა შენი ჩასვლა ძალიან გაუხარდებათ და ამ დროშის მიტანაც!.. ასოების გამოგზავნა კიდევ შეიძლება, თუ ამხანაგები დაისაჭიროებენ. ასოთ-ამწყობი ჩვენი კაცია! ამალამ იმასთან იქნები... მეუბნება ლამბაშიძე.

იმ ღამეს სტამბის ოთახში დავბინავდი ასოთ-ამწყობთან. ზევითა სახლში, სადაც ოჯახი სცხოვრობდა მამის კაბინეტი იყო — არ შეიძლებოდა ასვლა. სამაგიეროთ იქ ჩამოვიდა დედა. პატარა ტანის, გამხდარი და სათნო პირისახის ადამიანი.

საჭმელი მოიტანა და ბოდიში მოიხადა, რომ მისი შვილის ამხანაგს და მეგობარს სათანადო პატივს ვერ სცემს. მაგრამ რა ჰქნას — ასეთი პირქუშია მისი ქმარი, თავის ნება. ყველაფერი ისე უნდა ხდებოდეს, როგორც მას სურს, ყველა მას უნდა ემორჩილებოდეს, ემონებოდეს, როგორც გარეთ, ისე ოჯახში... არავის აქვს ნება თავის აზრი და შეხედულება იქონიოს... აი, მე მისი ცოლი ვარ, მაგრამ ჩემი შვილისათვის ვერ მიმიალერსებია... რა ვქნა შვილო, ის ადამიანიც თავის საქმეს აკეთებს... ჩვენთვის დესპოტია, მაგრამ საზოგადოების თვალში — წარჩინებული, ჭკვიანი, გონიერი და ყველგან მიღებული საზოგადო მოღვაწეა!..

ტკბილი ქართული ენით ლაპარაკობდა ღამბააშიძის დედა. განათლებული და ჭკვიანი ადამიანი იყო. და თან ისეთი მიმზიდველი, პატიოსანი, კეთილი და მოსიყვარულე, რომ მოგხიბლავდა, მიგიზიდავდა. თავიდანვე იგრძნობდი რამდენი სითბო იყო ამ პატარა დედაკაცში, როგორი ტანჯული გული ჰქონდა შვილებისთვის და როგორი მზრუნველობით იყო სავსე მისი პატიოსანი გული...

ღამბაშიძის მამა მართლა დესპოტი იყო. გატაცებული თავისი დიადობით, დეკანოზობით. „მწყემსის“ რედაქტორობით. თუ ოჯახის წევრი მის სურვილზე და ნებაზე არ გაივლიდა ფეხით გასთელდა, არაფრად მიიჩნევდა, მოიშორებდა, არ დაინანებდა, არ იწუხებდა. თავისი კარიერის მეტი მას არაფერი სწამდა, არავინ უყვარდა.

აი, ახლა, როცა მისმა შვილმა სემინარია მიატოვა. მისი სურვილის წინააღმდეგ — გაბოროტებული იყო და შვილს ახლო არ იკარებდა.

სამაგიეროთ დედა სწუხდა, გული უკვდებოდა. მისი ფიქრი იყო შვილისათვის ახალი გზა მოენახა, მისი კეთილდღეობა მოეწყო. რავუყოთ რომ შვილმა არ შეასრულა მამის სურვილი, სემინარია არ დაამთავრა, მერე აკადემია და მისი ალაგი დეკანოზისა და რედაქტორისა არ დაიკავა... შვილი, შვილია!!! თუნდ დეკანოზი იყოს და თუნდ უბრალო მოხელე!..

ასე ფიქრობდა დედა. შვილს მზრუნველობას არ აკლებდა. ფუსფუსებდა. სწუხდა. გამოსავალს ეძებდა.

გამოსავალიც მისი აზრით იმაში იყო, რომ შვილი უნდა დათანხმებულიყო საზღვარგარეთ წასვლაზე. მას იქ უმაღლეს სასწავლე-

ბელში მიიღებენ. მის საზღვარ-გარეთ წასვლაზე მამა დათანხმდება, რადგან მისი თავმოყვარეობაც დაცული იქნება და შვილიც მოცილდება შემცდარ გზას. ფულსაც გაუგზავნის და დათიკოც არაფერს წააგებს...

— შვილო, თუ დამიჯერებ, კარგს იზამ... დამთანხმდი, მამას მოველაპარაკები და საქმეც მალე გაკეთდება. განა იქ უფრო კარგათ არ შეისწავლი რაღაც მარქსიზმია თუ სოციალ-დემოკრატობა? მერე იქიდან დაბრუნებული, უფრო **არ** გამოადგები მუშათა მოძრაობას?..

დედა შვილს ელაპარაკებოდა და თან მე მიმზერდა — თითქო სდომოდეს გაეგო, რა შთაბეჭდილებას მოახდენდა ჩემზე ასეთი წინადადება — დავეთანხმებოდი, თუ უარყოფით შევხვდებოდი...

— აი, შვილო, შენი ამხანაგიც თუ იქ წამოვა — მე ვიცი მაგის მამას ფულის მხრივ ექნება დაბრკოლება — მე დავეხმარები. იმდენს კიდევ შევძლებ, სანამ იქ იქნებით, ფულს არ მოგაკლებთ! მამა შენის გარდა, მე ცალკე გამოგიგზავნი, ჩუმათ, ისე რომ მამა შენი ვერაფერს გაიგებს...

ალბათ თვალები გამიფართოვდა. სახემ კმაყოფილება გამოხატა, რომ დედამ უფრო დაჟინებით განაგრძო საზღვარ-გარეთ წასვლის შესახებ ლაპარაკი.

მოიყვანა მაგალითები იქიდან დაბრუნებულ საზოგადო მოღვაწეებისა. აგვიწერა იქაური ცხოვრება, ჩვენი მომავალი, პატივისცემა და სწავლა-განათლების მნიშვნელობა ქვეყნის კეთილდღეობისათვის.

— აბა, ახლა რომ ასე მალე მუშათა მოძრაობაში ჩაერიოთ, რა უნდა ასწავლო მუშებს, როცა თქვენ თვითონ **არა** ხართ ნასწავლი!.. ჯერ უნდა ისწავლოთ, განვითარდეთ და მერე სხვას უნდა ასწავლოთ!.

თითქოს მის ლაპარაკს აი აქ, მისი შვილის ამხანაგთან, შვილის მომავალ ბედნიერებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონოდეს—გაცხარებით და დამაჯერებელი კილოთი ლაპარაკობდა ეს პატარა დედაკაცი. არ ინდობდა არაფერს საშუალებას, ოღონდ მიზნისთვის მიეღწია. თრთოდა, კანკალებდა. პირში ნერწყვი უშრებოდა.

თვალებში შემომცქეროდა. მაგრამ არ ჩქარობდა ჩემი აზრის გაგებას — ეშინოდა. სცდილობდა მთლიანად ამოეწურა დამარწმუნებელი საბუთები.

— არა, დედა! მე შენ რამდენჯერ გითხარი, მაგაზე ნუ დამიწყებ მეთქი ლაპარაკს! მე ამხანაგებს ვერ ჩამოვშორდები!...

მკვახეთ ეუბნება შვილი.

— ამხანაგები შენს გადაწყვეტილებას უარით როგორ შეხვდებიან შვილო!.. როგორ შეიძლება ამის წინააღმდეგ წავიდენ! მხოლოდ შენ ხარ ჯიუტი, თორემ, ისინი არაფერს გეტყვიან!..

თავში უამრავი ფიქრი მიტრიალებს. ვერ გავრკვევულვარ ეს მოულოდნელი წინადადება მაშინებს და მიზიდავს. დედის განმარტება სამართლიანად მიმაჩნია და ჩვენი გადაწყვეტილებაც განხორციელებას მოითხოვს...

ვხედავ დედის ლმობიერ თვალებს ჩემსკენ რომ იმზირებიან, თითქო რაღაცას მემუდარებიან, მომთხოვენ. ვგრძნობ ჩემი ერთი სიტყვა მის გულს გააცოცხლებს ან მოჰკლავს...

— აი, შვილო თუ გინდა, თქვენ უფროს ამხანაგებსაც ჰკითხე, აბა, ვნახოთ ისინი რას გეტყვიან!...

— რათ გვინდა უფროსი ამხანაგები დედა, თქვენი აზრი მართალია და დათიკო კიდეც შეასრულებს მაგას...

გადაჭრით ვსთქვი.

გახარებული დედა სკამიდან წამოდგა. ხელები ჩემსკენ გამოაშვირა და სიხარულით შესძახა:

— აი შვილო, გაიხარებდე!... ჭკვიანი ბიჭი ყოფილხარ... გაიზარდე, იცოცხლე, იმხიარულე...

— შენ მართლაც ჯიუტობ!.. — მივმართე ლამბაშიძეს. — ცხოვრება ხელს გიწყობს საზღვარგარეთ წახვიდე და შენ უარს ამბობ? სადაური ჭკუაა! მართლა და, იქ უფრო არ შეისწავლი სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობას და უფრო არ გამოადგები მუშათა მოძრაობას? ამას რა ლაპარაკი უნდა!... დედი, თქვენ დაწყნარდით! თქვენი შვილი თქვენს სურვილს შეასრულებს...

— ეგრე შვილო, გაიხარებდე!.. ოღონდ ერთი ამის წასვლას მოვესწრო, საზღვარგარეთ მეგულებოდეს და მერე თუნდ ალარც ვიცოცხლო!...

რაკილა დედამ თავის მხარეს მიგუყლა — დამშვიდდა, დაწყნარდა... მისი მიზანიც ეს იყო. მან კარგათ იცოდა, რომ მშობლებზე უფრო მეტი გავლენა, ამხანაგს ჰქონდა შვილზე.

— ამალამ აქ მოისვენე შვილო, მერე შენს მშობლებსაც მოელაპარაკე და ერთად წადით საზღვარ-გარეთ...

ფუსფუსებდა დედა და ლოგინს მიწლიდა მზრუნველობით...

მეორე დღეს ბათომისკენ გავსწიე. ლამბაშიძეს კიდევ გაუმეორე ჩემი აზრი საზღვარ-გარეთ წასვლის შესახებ და დაჟინებით მოსვთხოვე უარი არ ეთქვა დედისთვის.

— რას ამბობ. ამას მე ოცნებაშიაც ვერ წარმოვიდგენდი!.. მამა შენს ფული არ აქვს თუ? რატომ არ უნდა ვისარგებლოთ?...

— მერე, რას იტყვიან ამხანაგები!..

— მე მოველაპარაკები. იმათ აზრს შეგატყობინებ, წერილს მოგწერ!...

ერთმანეთს გადავეხვიეთ. მატარებელიც დაიძრა.

IX

ბათომში პირველად მივდიოდი. ზღვის ნახვა მიზიდავდა. უცხო ქალაქის ნახვა მეჩქარებოდა.

გავიარე რიონი, აგერ სამტრედია. მერე, გურიის მთები, აჭარა და უცბათ თვალის წინ გაიშალა ზღვა. ზღვა იყო დიდი და აბურცული. მისი ტალღები მწკრივათ ერთმანეთს მიერეკებიან და იქვე ლიანდაგის ახლო იბნევიან.

მატარებელი მიჰქრის ზღვის პირად და მეც ახალი ცხოვრებისაკენ, ახალი გადავარდნისაკენ მიმაქანებს.

ზღვა მალე დაგვშორდა და ახლა ჩემს წინ შორეულ სურათის მსგავსად აიბეჭდა ქალაქის შავი შენობები და ქარხნების მაღალი ბუხრის თავები.

სადგურის ბაქანზე დავდივარ, იღლიაში ამოჩრილი წითლათ შეღებილი დროშის ტარით. საკვირველია. რატომ იყო საჭირო ყვირილიდან წამოელო მაინც და მაინც დროშის ტარი?

ახლა დამებადა ეს კითხვა.

არ ვიცი რას ფიქრობდენ სადგურის ჟანდარმები — თვალებ გაფაციცებული რომ ვიარებოდი ბაქანზე — დროშის ტარით იღლიაში ამოჩრილი.

კარგათ მახსოვს ორი წითელი რგვალი ჯოხის თავი, იღლიიდან რომ ამოზიდულიყო, როგორც ბუდიდან ჩიტის თავები.

ბარცხანაში უნდა წავსულიყავ. ხოლო საითკენ იყო ეს ბარცხანა, არ ვიცოდი. არც მინდოდა სადგურზე მეკითხნა ვისმესთვის.

სადგურს გავცდი. ბარცხანამდის ორი ვერსი მანძილი იყო.

მალაქია სახლში არ დამიხვდა. ვინმე მოხუცი დედა-კაცი ოთახში დაფუსფუსებდა. მოიცადეო, მითხრა, — მალე მოვლენო... და ჭურჭლის წმენდა განაგრძო.

ერთი ფიცრული ოთახი აივნით. წინ და უკან ყანა. არ სჩანს ქალაქი. ჩვეულებრივი სოფელია. ხოლო შორიდან ისმის მატარებლის ყივილი.

ეზოს, სახლს და გარემოს ეტყობა, რომ მოსახლე ახლად ეწყობა. შენობაც ახალია, მოაჯირიც და ის პატარა ხეხილის ხეები — ეზოში რომაა გაფანტული.

— სად არიან დედა, წასული? ვეკითხები მოხუცს.

— ჩემი ამბავო შვილო, სამუშაოზეა წასული და მალაქია არ ვიცი! მალე კი მოვლენ!

— ამბავო სად მუშაობს?

— როჩილდის ქარხანაში, შვილო!

— დიდი ხანია თქვენ ბათომში ცხოვრობთ?

— არაა შვილო დიდი ხანი! სანამ ჩემი საცოდავი ცოცხალი იყო, ასე კი არ ვცხოვრობდით შვილო!... იმხელა ეზო გვქონდა ნიგოითში, სახლ-კარი, რომ მტერს თვალი დაუდგებოდა! ჩემი ამბავო პატარა იყო მაშინ! კლასში დეიარაბოდა. მარა, მერე ველარ შევძელ მე უბედურმა ხელი შემეწყო და ქე დამრჩა შვილო უსწავლელი... თვარა მუშათ კი არ წევიდოდა, იმას მოუკტეს დედა!...

— მუშაობა დედი, საძრახისი საქმე კი არაა!... — ვეუბნევი.

— არა, შვილო, მაგას ვინ უმბობს? მარა, სწავლული კაცი მაინც სჯობია?

— შეიძლება სწავლულიც იყვე და მუშაც!

— თუ სწავლული ხარ შვილო, მუშა რაფერლა იქნები? მაგას ისიც უმბობს,—მალაქია, მარა არ ვიცი! შენც ცოციალი ხარ შვილო?

უცბათ შემეკითხა მოხუცი.

— მეც სოციალისტი ვარ!

— კაი დაგემართა!..

კარი გაიღო და ოთახში მალაქია შემოვიდა. ჯერ გაკვირვებით დამაშტერდა. მერე უცბათ გაიღიმა. სიცილი დაიწყო. მხარზე ხელი დამარტყა.

— იცი? კარგ დროს ჩამოხვედი! ხომ დაიწყებ მუშაობას?

— მისთვის ჩამოვედი!

— რა ჩამოგვიტანე? არის რამე ახალი წიგნი?

— აი, ეს შრიფტი, დროშა და კიდევ, დროშის ტარები... ლამბაშიძემ გამომატანა.

— დროშის ტარები? ეს ვინლა შეუთვალა?

— რა ვიცი!

— დროშის ტარებს აქ ველარ გავაკეთებდით?

— ამისთანას ვერა! მაგრამ მეც ძალიან მაკვირვებდა ეს ამბავი...

— კარგია, კარგი! გამოგვადგება!

— მიშა სახლში წავიდა, ავათ გახდა. კამო კი დაჭერილია!

— დაჭერილია?

— ჰო, აქ არის ბათომის ციხეში! ტფილისიდან სტამბის მოწყობილება მოჰქონდა. სადგურზე დაიჭირეს.

— ჰოო! მაშ, კატორღა არ ასცდება! საწყალი კამო!...

— საწყალი კი არა, ისე ყოჩაღათ არის, გეგონება ციხეში კი რა, ქორწილშიაო. იძახის მალე გნახავთო. რის იმედი აქვს არ ვიცი!...

— სხვა, მალაქია, მუშაობ?

— არა, ამ დღეებში წავალ გემზე სამუშაოდ! შენც იქ წამოხვალ! აქ ისეთი ბიჭებია, ისეთი, რომ სულში ჩაიძვრენ! ერთი ამბაკო გაიცანი?

მალე ამბაკოც მოვიდა.

გამხდარი. მოსხლეტილი ტანით. ახალგაზდა. შავი თვალები ცქრიალებს. სხეული მოუსვენრათაა, მუდამ მოძრაობაში. ლაპარაკის დროს სცდილობს წთაბეჭდილება მოახდინოს. უცხო სიტყვებს ხმარობს. თითებში ჩხირი უჭირავს და კბილებით წიწკნის. მოწიწკნულს ტუჩებზე შეაჩერებს და ისე განაგრძობს ლაპარაკს.

— ხომ იცი, მალაქია, მედროგეები გაფიცვას იწყებენ. შენ უნდა წახვიდე მათთან, ხომ იცი!... დღეს კრება ექნებათ!

მიმართავს მალაქიას.

— მელიტონი მოვა აქ საღამოზე და ის წაგიყვანს, ხომ იცი!...

— არა, არ ვიცი!.. აჯავრებს მალაქია.

ამბაკოს ლაპარაკის დროს უყვარს „ხომ იცის“ ხმარება. ყოველი ფრაზის შემდეგ უნდა ჩაურთოს ეს სიტყვა, თითქო ამით უნდა დამაჯერებელი იერი მისცეს თავის ლაპარაკს.

— გემზე სამუშაოთ როდისღა წავალთ?

ეკითხება მალაქია.

— აი, ამ ორ სამ დღეში! ამხანაგიც ხომ არ მოდის?

— მოდის მაშ! მუშა უნდა გახდეს!

— ჰოდა, აბა მალე მოვნათლავთ გემზე! ხომ იცი, მალაქია რა ხდება ახლა იქ?

— არა, რაშია საქმე?

— ხომ იცი, დაშნაკებმა ჩეიგდეს თლათ სამუშაო...

— როგორ ჩაიგდეს!

— რაფერ და, ხომ იცი, ხაზეინებიც და მათი პრიკაშჩიკებიც დაშნაკები არიან. ჰოდა, რომ მუშები მიიბირონ თავის პარტიაში. ხომ იცი, გადაუწყვეტიათ სამუშაო მარტო სომხებს მისცენ, აბა!...

ჰოდა, ახლა ხომ იცი, ისეთი კბილებ დალესილები არიან რუსი და ქართველი მუშები რომ, ხომ იცი, რა მოხდება!...

— ჰოი, მაგათი დედა...

— ხომ იცი, ძალიან ცდილობენ ჩემთან კავშირის დაკავებას. რაცხას მელაქუცებიან კიდეც მარა, ხომ იცი, რა საერთო გვაქვს მაგ ნაციონალისტებთან!

— მაგათ ისეთი პოლიტიკა აქვთ, რომ ყველგან ეროვნული შუღლი უნდა გაალვივონ. ჰოდა რასაც მოიმკიან დავინახავთ!

ამბობს მალაქია.

— მაინც რაფერ არიან მოშხამულები, ხომ იცი! მეიცა მალაქია, კაპიტალის კონცენტრაცია დაანახვებს მაგათ ყველაფერს, ხომ იცი!..

— კი, მაგრამ უბედურება ის არის ჩემო ამბაკო, რომ სომეხი მომუშავე ამხანაგები არ გვყავს, რომ მაგათ მუშებს ხელმძღვანელობა გაუწიოს და დაშნაკ-ცუტიუნის პარტიას ჩამოაშოროს... არა, რომ სოციალისტობენ კიდეც?

— აბა, ხომ იცი!...

— ჩვენც რომ არ მიგვიშვან გემზე სამუშაოთ?

— აბა! მაგას რაფერ იზამენ! ხომ იცი, მე კი მყავს იქანე ნაცნობი დაშნაკები... მარა, ეს ხომ არაა საქმე! ხომ იცი, მოსალოდნელია იქ რაცხა მოხდეს. ჰოდა ჩვენ უნდა მივიღოთ რამე ზომები ამის წინაალმდეგ, ხომ იცი!

— უნდა მოვილაპარაკოთ კომიტეტში!..

— უსათუოდ, ხომ იცი!...

X

ჩემი ოცნება მესამე დღეს შესრულდა. გემზე სამუშაოთ წავედი. ოო!.. კალამმა როგორ უნდა ასწეროს ის მშვენიერი დილა!...

ლურჯი ხალათები ჩავიცვით და შიშველა ფეხებზე, — ჩუსტები. მზე არ იყო ამოსული. მიდამოს ტრედის ფერი ჰფარავდა. პირი დავიბანეთ და აჩქროლებული სისხლით ყანა გავიარეთ.

წინ მივრბოდი. ხბოსავით ვხტოდი...

„ეი, თქვენ ჯერ კიდევ თბილ ლოგინებში რომ გძინავთ! მზე არ არის ამოსული, მხოლოდ ჩიტებს ღვიძავს. და მე სამუშაოთ ვეშურები. ჩემი წრომით დღეს პირველად გამოვდივარ ცხოვრების გზაზე... და მე ჩავერევი მშრომელთა ლეგიონში, ჩვენ დავამყარებთ შრომის სამეფოს. ბოლოს მოვუღებთ მჩაგვრელთა ხროვას და ძმობას-ერთობას გზას გავუკაფავთ“...

ამაყია გული. მედიდურია მსვლელობა!

აგერ ზღვის ზედა პირზე სხივები ალაპლაპდა. ტალღები ნელის რხევით სითბოს შეეგება.

უეცრად ჰაერს აპობს ქარხნის საყვირი. სივრცეში ავარდება იგი შემზარავი ხმით. ოოო-უუუ!... მოუხმობს მუშებს სამუშაოთ. უუუუ!.. გაჰკივის მუშათა უბანს. ახმაურებს მიდამოს, თითქო უნდოდეს ზეცას ასწვდეს, ქვეყნიერება შეანძრიოს!..

მეც მიწვევს იგი! მეც ხომ სამუშაოთ მივდივარ! დღეს მეც მათ შორის ვარ, ვინც სხვისი შრომით არ იკვებება...

სხვადასხვა მხრიდან მოდიან მუშები. თითო-ოროლა გამოჩნდებიან, ერთ გზას ადგებიან და უკვე ჯგუფებად, სამუშაოსკენ მიდიან. როგორც პატარა ნაკადები ერთ მდინარეს უერთდება, მუშების ჯგუფებიც ერთ რაზმათ ეწყობა და შავათ გაჭიმულ გველივით შავს ალაყაფის კარებში ზლაზნით ინთქება.

ქარხნის აწოწებულ შავ ბოლში გახვეული ბუხრის თავი მრისხანეთ დაჰყურებს შენობებს, მის გარშემო წიწილებივით რომ არის შემოკრებილი.

ჩვენ კი პორტში უნდა გავიდეთ. ლიანდაგის შავი ხაზები გავიარეთ და ზღვის ნაპირს მივადექით. მთების მსგავსად აზიდული გემები წყალში ჩაფლული ძირებით, უძრავათ დგანან. დატვირთვის მოლოდინში გაყუჩებულან.

ბაქანთან გემის წინ ჩოჩქოლია. უამრავი მუშა ბურთივით შეკრულა. ყველა ცდილობს წრე გაარღვიოს, შუა გულში მოექცეს. ამიტომ ერთმანეთს აწვებიან, წრეს გარს უვლიან, იგინებიან და ილანძღებიან. ზოგი წრის გარღვევას ახერხებს, მოხერხებული მხრების წინ წაწევით შუა გულისკენ მიისწრაფვის, სადაც ამაღლებულ ალაგიდან ვინმე ფიჯაკში გამოწყობილი, პატარა თეთრ ქალალდისაგან გამოჭრილ ბილეთებს არიგებს. ეს ბილეთია, რომელიც უფლებას იძლევა იმ დღეს გემზე იმუშაო.

ყველა ცდილობს დღიური ლუკმა პურისთვის სამუშაო იშოვოს. არეულია ერთმანეთში აჭარელის განიერი ნაოჭიანი შარვლები, გურულების ვიწრო მესტები, სომხური ქალამნები, რუსული წაღები, ჩაცვი და ლურჯი ხალათები. მოძრაობა, ყვირილი, გინება... მხიარული და დაღვრემილი სახეები...

— ხომ იცი, ბილეთების დამრიგებელი სომეხია — აბზობს ამბაკო — და სულ სომხებს ურიგებს. ხომ იცი, აქ რაცხა დატრიალდება'.. ნარა, ხომ იცი, მალაქია, თქვენ აქ ვერ შეხვალთ და ბილეთს ვერ იშოვით. მე უკვე დავალებული მაქვს სამი ბილეთი. წავალ მოვძებნი იმ კაცს. იქნებ დაავიწყდა კიდეც! აქ მომიცადეთ, ხომ იცი!..

და მოსხლეტილი გავარდა.

გრძელი ჩრდილები თანდათან შემოკლდა. მზე უკვე მაღლა აცურდა და ერთ ადგილს მიეკრო. მაზუთით გათხუპნილი ტალღები, გემის კედელს ზლაზვნით ეჯახება და ზანტად იშლება ზღვის ზედა პირზე.

მე და მალაქია პაპიროსის ბოლს ვუშვებთ სივრცეში და შთაბეჭდილებისგან გაბრუებული, ხმა ამოუღებლად გავცქერით აურზაურს...

მალე გახარებული ამბაკო მოვარდა.

— არის, ხომ იცი! აგერ მალე ჩავალთ გემში. გარეთ არ ვარგა მუშაობა, ხომ იცი, შიგნით სჯობია! აქ ცხელა, იქ უფრო გრილა, ხომ იცი!...

მინდა მუშაობა მალე დაიწყოს, გახარებული ვარ. მზე იცინის და მეც ვიცინი. გული კანკალებს და კუნთები თრთიან. მალაქიას შევხედავ სახეზე და მასაც ღიმი უკრთის ბაგეზე.

მუშების შეკუმშული ბურთი უკვე დაიშალა. ახლა უკვე გამოკვეულია ვინ წავა სამუშაოთ და ვინ არა. სამუშაოზე დაშვებულნი უკვე რიგებათ მწკრივდებიან, ხოლო ისინი ვისაც ბილეთი არ შეხვდა, მაინც იქვე ტორლიალობს და ბაქანს ვერ სცდილდება.

ჩვენ გემი, სადაც უნდა დაეწყოს მარსელში გასაგზავნი ყუთებში ჩასხმული ნავთი, უმოძრაოთ სდგას ნაპირთან და მიმაგრებულ ბოძებს აწვება. მაზუთიანი ტალღები ხის ბოძებს ეხეთქება და შლაპუნით და ზანტი მოძრაობით ისევ გემის კედელს ეგლისება.

გემის ბაქანზე ძირიდან ამართული გძელი განიერი ფიცრული კიბეა.

კიბეზე ავედით. შუა გულ ბაქანზე ჭასავით ამოჭრილ გემის სილრმეში ჩავიხედე. მდევების გამოქვაბულივით გემის მუცელი დაცარიელებული იყო და უზარმაზარი. ჩვენ — თხუთმეტი მომუშავე შიგ უნდა ჩავსულიყავით. გემზე ამართული კიბით მუშები ორ ფუთიან ნავთის ყუთს ამოიტანდენ ბაქანზე და მერე ღარივით დაწვებულ ფიცრებზე ყუთს გემის მუცელში დაუშვებდენ, იქ ჩვენ ამ ყუთებს ერთმანეთზე დავაწყობდით კედლის გასწვრივ.

გემში ჩასასვლელად, ვიწრო რკინის დახლართული კიბე, ირიბათ მისდევდა კედელს. პირველათ ამბაკო ჩაეშვა. უზარმაზარ კედლის პირად ჭიანჭველასავით მიღოღავდა მისი მოსხლეტილი ტანი. ჩემ შემდეგ მოდიოდა მალაქია, თვალები გაფართოებული ჰქონდა, მოხრილი ტანით ფრთხილად მიადგამდა ფეხებს რკინის ვიწრო კიბის საფეხურებზე.

ძირს რომ ჩავედით, თეთრ წერტილათ მოსჩანდა გემის ახდილი კარი და სინათლის სვეტიც თოკივით ჩამოშვებულიყო, რკინის კედლები და თაღები, მდევების კლანჭებივით ერთმანეთს მიბჯენოდა.

პირველი ნავთის ყუთის მოლოდინში ჩაგვამწკრივეს. მეჩქარებოდა ყუთი მალე ჩამოშვებულიყო.

აგერ, თეთრ წერტილთან შავი ხაზები შეინძრა. ლარივით დაშვებულ ფიცრებზე ისარივით მოსხლეტილი ნავთის ყუთი ჩამოსრიალდა.

ყუთი რიგებათ უნდა დაგვეწყო კედლის პირად. რიგობით შევდიოდით ჩამოშვებულ ყუთებთან. პირველი ყუთი მჩატეთ, ბურბუშელასავით ავწიე. გავარბევინე და თავის ალაგზე დავდე. ამაყათ ისევ რიგში დავდექი. მიხაროდა მალალ ტანიან მუშებში რომ ვიდექი და მათთან ვმუშაობდი.

რკალი იყო გაკეთებული. წეროებივით ერთმანეთს მივდევდით. ყუთს ავიღებდით, მივიტანდით ალაგას და კვლავ ვბრუნდებოდით ახალი ყუთის წასაღებათ. ვერ შეჩერდებოდი, რომ რიგი არ დაგერღვია.

მახსოვს ორი მძლავრი ტანის მუშა ალმაცერად მიცქერდა. ერთი მათგანი მალალი, გრძელი მკლავებით ყუთს ხელს დაავლებდა და მიჰქონდა, როგორც პაპიროსის კოლოფი. და როცა მე ყუთს ორივე მკლავში ვიხვევდი და მძიმეთ მივათრევდი — ისინი ულვაშებში ილიმებოდენ.

მუშაობა სწრაფია. ჩამოცვივნული ყუთები არ უნდა დაგროვდეს. ზევით თეთრი წერტილია და ამ წერტილიდან სცვივა თეთრი ყუთები. იგივე ყუთები ხელში ვარდება, რკალი ტრიალებს და ყუთები კედელთან ეწყობა. ყუთები, მხოლოდ ყუთები... სხვა არაფერი.

მაგრამ, ეს რა არის? მკლავში თითქო პალოსავით რალაც გაიჩხირა, თითებში ტკივილს ვგრძნობ. ვილუნები ყუთის ასაღებათ, მაგრამ თითი გახევებულია. მკლავი მოსხლეტილი და ყუთი არ სცილდება იატაკს. ლურსმით ხომ არ არის დაკრული?

— ამხანაგო, პატარა ხანს შეისვენე, ჩვენ ვიმუშავებთ... მეუბნევა მალალი მუშა.

მერე, რატომ? ჰმ! როგორ შეიძლება ჩემს მაგივრად სხვამ იმუშაოს და ხელფასი კი თანაბრათ მივიღოთ. ეს ხომ იგივე გაყვლეფა იქნება სხვისი შრომის... არა, არა ამხანაგო!.. აი, მიცქირე როგორ გავარბენინო ყუთი? მე ჯერ სრულიადაც არ დავლილვარ!..

და ყუთის სიმძიმისაგან მოკუნტული და ძარღვებ დაჭიმული ყუთს მივარბენინებ. მალაქიაც იმნაირვე გაჭირვებით იღებს ყუთს

და წელში მოხრილი მიდის სიმძიმისგან ნიკაპ ჩამოვარდნილი. ამბაკო-კი ჯერ ყოჩაღათაა.

— დაიღალე? — მეკითხება იგი.

— ალბათ დავიღალე!

— ნუ გეწინია! ხომ იცი დღეს შაბათია. შაბაში მალე იქნება, ორი საათით ადრე, ვიდრე ჩვეულებრივ დროს! ხომ იცი!..

ეს ცნობა მახარებს. თუმცა შაბაშამდის ჯერ კიდევ ადრეა!

თეთრი წერტილიდან ყუთები კი სცვივა, შეჩერება, შესვენება არ შეგიძლია.

საკვირველია, რატომ ასეთი სისწრაფით მოცვივიან ყუთები!.. ერთი მეორეს მისდევს, როგორც ძაფზე გადაბმული რგოლები.

— ცოტა-ღა დარჩა შაბაშამდის, ცოტა! ხომ იცი!...

მეუბნება ამბაკო.

ყუთები კი მოსხლეტით მოცურავენ ზევიდან. ყუთის აღებისას თითების მიკარება ტკივილებს იწვევს. თითქო სხეულის ნაწილს მოსწყდა მკლავი, თავისუფლად ვერ ვამოძრავებ. ვაი თუ დავეცე, ველარ შევძლო!... მრცხვენია... მაგრამ არა!.. უკანასკნელ ძალას ვიკრებ. მოთენთილი და მოღუნული ვიარები სიმძიმით ხელში. ყუთს მკლავებში ვახვევ, გულში ვიხუტებ, რომ სიმძიმე მკლავების გარდა სხვა სხეულის ნაწილებმაც გაიზიაროს. ათრთოლებული სხეულით მივდივარ, ვიღუნები და რიგათ ჩაწყობილ ყუთებთან ვისვრი.

თეთრი წერტილიდან კი ფიცრებზე ერთმანეთს მოსდევს ყუთები. ვინ შეაჩერებს ამ ყუთების სრბოლას!...

წუთები ღა დარჩა შაბაშამდის, მაგრამ ეს წუთები საუკუნეებათ იქცა. რკალი მოძრაობს და დაწყობილ ყუთების მთები უკვე კედლის ნახევარს ფარავს. რა გაავსებს ამხელა ფუღუროს, რომლის სიგრძე, სიგანე და სიმაღლე ასეულ საჟენს უდრის... რამდენი დღე დასჭირდება ამ ყუთების სრიალს, რომ ეს გამოქვაბული აივსოს!..

ტანი თრთის. მკლავები აღარ მემორჩილება. ტკივილებს ვგრძნობ. ახლა, კი აღარ დავდივარ, არამედ მივლოლავ, მოკაუჭებულ მუხლებით და მოხრილი ტანით.

აგერ მოვხვიე მკლავი ჩამოშვებულ ყუთს, წელში ველარ ვსწორდები და მოღუნული მივათრევ. ამ დროს თეთრი წერტილიდან გაისმის: შაბააშ!... და ჩემი ყუთიც იქვე ფეხებთან დავარდება ძირს. ადგილზე მიტანისთვის მხოლოდ ორი ნაბიჯი იყო საჭირო... და ეს რომ დაინახეს მუშებმა სიცილი ვერ შეიკავეს.

შემრცხვა... მაგრამ ეს ამბავი მეც სიცილში ჩავატარე.

რკალი ირღვევა. სათითაოდ ზოგი კიბეს მიაშურებს, ზოგი ქუდს ეძებს.

მალაქია მირბის. ვერ შეამჩნევს რკინის სვეტს, თალიდან რომ კედელს ებჯინება და შუბლით მიეხეთქება მას. დარტყმა ისეთი ძლიერი იყო, რომ გულშეწუხებული ძირს დაეცა. მივცვივდით, წყალი ვაპკურეთ. მოვაბრუნეთ. შუბლზე კოპი აიბურცა.

კიბეზე ასვლა გაგვიჭირდა — მოდუნებული თითები ვერ ბოძრაობდენ.

ზევით რომ ავედით და სუფთა ჰაერი ვისუნთქეთ — სინათლის სიუხვემ გაგვაკვირვა, ზღვის სივრცემ და ქალაქის ხმაურმა გაგვაოცა. ეხლა ჩვენ ის არ ვიყავით, რაც დილას — სხვა გავხდით. ამაყათ გავცქერით ქალაქს.

დაღლილობას, მოქანცულობას ვგრძნობთ, მაგრამ მხნეთ და მხიარულათ ვართ. მალაქიას შუბლზე კოპი ყაბალახით აქვს შეხვეული.

თითებს ვზილავ. მოვლუნავ, გავასწორებ, — გავშლი. პაპიროსს კოლოფიდან წვალებით ვიღებ, თითქო თითები ჩემი არ არის. წუმწუმის ასანთებათ ხუთივე თითია საჭირო...

მივიღეთ ბარათები ნამუშავარი ფულის მისაღებათ. ამისათვის კანტორაში უნდა წასულიყო რომელიმე. ამბაკოს საქმე ჰქონდა. მალაქია თავის ტკივილს გრძნობდა, ამიტომ სამივე ბარათი მე წავიღე.

უკვე საღამო იყო დახუთული, მოდუნებული თითებით აბაზიანებს რომ ვითვლიდი. რა თეთრი, ლამაზი, ბზინავი იყო ეს აბაზიანები... ჩემი შრომით მოპოებული აბაზიანები...

XI

ერთი კვირის შემდეგ მოხდა გემზე ის აუცილებელი ამბავი, რის შესახებაც ამბაკოს ასეთი წინათგრძნობა ჰქონდა.

გაბოროტებულმა და მოთმნებიდან გამოსულმა მუშებმა ველარ შესძლეს დაწნაკების თავხედობა აეტანათ და ერთ დილას, როცა უკვე დაუფარავად და აშკარად გამოაცხადეს, რომ გემში სამუშაოდ მხოლოდ სომხებს ჩაუშვებენ და სხვა არავის, — მოზღვავებულმა შურისძიებამ, თავდაცვის და ლუკმა პურისთვის ბრძოლის ინსტიქტმა — მოულოდნელად გადმოხეთქა.

სამუშაოზე მოსული ქართველი და რუსი მუშები ვერ შეურიგდენ ამ მდგომარეობას. დაიწყო ჩოჩქოლი. ყვირილი, ლანძღვა, გინე-

ბა. აღელვებული გრძნობა გამოსავალს ეძებდა. ბოლმითა და გესლით იყო სავსე გული.

ეს აბობოქრებული ბრბო ერთ ალაგს ტორტმანებდა, ღელავდა, ქანაობდა. საკმარისი იყო ვისმეს ეჩვენებინა ან ნიშანი მიეცა და იმ საგანზე მიეთითებინა,, რაც შექმნილ მდგომარეობის პირდაპირი მიზეზი იყო, რომ ასეულისგან წემდგარი თავები, მკლავები და ხელები, ერთ სხეულათ ქცეულიყო.

„მაგათი დედა კი... მაგათი!..“ „როგორ შეუძლიათ!“ „ვინ არიან ეს მოთრეული მამაძაღლები!..“ „არა, რაფერ გვიბედავენ, ჰა!..“ „აგია, დაგვაძაბუნეს და სხვა არაფერი!“, „მაგათი დედა კი... მაგათი!..“.

ერთმანეთს შესცქეროდენ, არ იშლებოდენ. რაღაცას უცდიდენ. ჯგუფდებოდენ, ისევ იშლებოდენ...

... ამ დროს იყო, ხომ იცი — ყვებოდა ამბავს ამბაკო, — გემის კიბეზე რომ გამარჯვებული პრიკაშჩიკი ჩამოდიოდა. ჰე, ახლა კი რაცხა მოხდება თქვა — გევიფიქრე... და მართლაც ვხედავ საიდანღაც გასროლილი ქვა მოხვდა მკლავზე. შეიჭმუხნა, ხომ იცი. მარა ვითომ აქ არაფერია, მაინც მოდის იძრს. აბა, ახლა ყველა ილუნება ქვების ასაკრებად, მარა მოკირწყლულია მოედანი, და ქვებს ვერ ამოაძრობ იქიდან... პრიკაშჩიკი ამაყათ მოდის კიბეზე. უფრო ბრაზდებიან, კბილებს აკრაჭუნებენ და ახლა, ხომ იცი, დამუჭული ხელებით მისკენ მირბიან. მარა მიახლოვებაც ვერ მოასწრეს რო გავარდა რევოლვერი და პირდაღმა გაიშხლართა კიბეზე მომავალი პრიკაშჩიკი. ერთ წუთს ყველა შეჩერდა, ხომ იცი, რაცხა მოულოდნელი მოხდა. კიბეზე სისხლი წამოვიდა...

„ჰეე!.. მასთე მოგიხდება!..“ წამოიძახა ყველამ. ერთი კიდევ შეხედეს წაქცეულს, ხომ იცი, და რო დარწმუნდენ ცოცხალი ველარ ადგებაო, მოკურცხლეს, მარა რაფერ, ხომ იცი!... ასთე გეიფანტენ სხვადასხვა ქუჩაზე, რომ ერთი წუთის შემდეგ მოედანზე ადამიანს ვერ დეინახავდი, ხომ იცი!..“

ამ შემთხვევამ დიდი აღელვება შეიტანა დაშნაკცუტუნის პარტიაში, რადგან მოკლული „პრიკაშჩიკი“ დაშნაკის პარტიისა იყო.

მეორე დღეს მათ პროკლამაცია გამოუშვეს, სადაც იმუქრებოდენ, რომ ერთი მოკლული პარტიის წევრის გულისთვის ისინი ორს იმსხვერპლებდენ. მართლაც არ გასულა ორიოდე დღე, რომ ორი მუშა მოკლულ იქნა მათი მაუზერისტების მიერ. ერთი მათგანი სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის წევრი.

მდგომარეობა გამწვავდა. ეროვნული შუღლი უკიდურეს წერტილამდე ავიდა. საქმეში ყველა პარტიის წარმომადგენლები ჩაერიენ. მოიწვიეს პარტიული კრება. დაწნაკები საბრალმდებლო სკამზე დასვეს მუშების წინააღმდეგ ხმარებულ ტერორის გამო. მათ განაცხადეს — ისინი იძულებული იყვენ ამ საშუალებისათვის მიემართათ, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში, მრავალი წევრი ჩამოშორდებოდა მათ პარტიას, ხოლო ეხლა მზათ არიან ბოდიში მოიხადონ, აგიტაცია გასწიონ, რომ სამუშაოზე ყველა იქნას დაშვებული და მუშებს მშვიდობიან ცხოვრებისკენ მოუწოდონ...

ასე დამთავრდა ეს სამწუხარო ამბავი.

XII

ბათომის ქარხნებში იმ ჟამად თეთრი თუნუქისაგან ნავთის ყუთები მზადდებოდა. ქარხნის ადმინისტრაცია უკვე იმდენათ დაშინებული და მუშებთან ბრძოლით მისუსტებული იყო, რომ მუშებს თითქმის მუდამ გაჰყავდათ თავისი მოთხოვნილებანი. გაფიცვა ჩვეულებრივი მოვლენა იყო. ყოველ თვე სამუშაო ქირას იმატებდენ. ასეთი ეკონომიური ხასიათის გაფიცვებმა, პოლიტიკურ ბრძოლის საჭიროება შეასუსტა.

მალაქია და მე ერთს ისეთ ნავთის ყუთების დასამზადებელ ქარხანაში მოვეწყეთ. ახლა უკვე ნამდვილი მუშები ვიყავით და ყოველ დღე ქარხანაში ვიარებოდით.

მუშების ექსპლოატაცია ამ ქარხანაში კაპიტალისტურათ იყო მოწყობილი. თუნუქის ყუთის დასამზადებლათ მისი ორი შთავარი განყოფილება ასე იყო განაწილებული: ერთ განყოფილებაში, სადაც ყუთისთვის თუნუქი იჭრებოდა, გვერდები, თავი და ძირი ყალიბდებოდა და მანქანის საშუალებით ერთმანეთს ეკვროდა — მუშები მუშაობდენ განსაზღვრული თვიური ჯამაგირით, ხოლო მეორე განყოფილებაში, სადაც ჩამოყალიბებულ ყუთებს ტყვიით აკავშირებდენ, — ნარდათ.

პირველ განყოფილებაში დამზადებული ყუთი უნდა გადასულიყო მეორეში. ცხადია, თვიური მომუშავენი თავს ძალას არ ატანდენ, არ ეშურებოდენ და არ ჩქარობდენ ყუთების დამზადებას. ხოლო მეორე განყოფილება, სადაც მუშები ნარდზე მუშაობდენ, მოითხოვდა ყუთების ჩქარს და ხშირ მიწოდებას, რათა რაც შეიძლება მეტი დაემზადებინათ და ფულიც მეტი მიელოთ. ამ ნიადაგზე ორ განყოფილებაში მყოფ მუშებს შორის ანტაგონიზმი ღვივდებოდა; კაპიტა-

ლისტსაც ეს უნდოდა: ერთი მხრივ პირველი განყოფილება იძულებული იყო ჩქარა და მარდათ ემუშავა და ეს იძულება გამოდიოდა თვით მათივე ამხანაგ მუშების მხრივ. ამნაირად შექმნილი ანტაგონიზმი მუშებში უთანხმოებას ჰბადებდა, რაც საერთო გამოსვლების ერთსულოვან დამუშავებას ხელს უშლიდა. თუ გაიფიცებოდა პირველი განყოფილება, ამის წინააღმდეგ მიდიოდა მეორე, რადგან გაცდენილი დღეებისთვის ის ქირას ვერ მიიღებდა.

მალაქია და მე პირველ განყოფილებაში ვმუშაობდით. ჩვენ მოვალეობას შეადგენდა დამზადებულ ყუთების მეორე განყოფილებაში გადატანა.

ათი ყუთი, ერთმანეთზე დაწყობილი, მაინც და მაინც არ იყო მძიმე. ძალა აღგებოდა თითებს და პირველ დილას, როცა პაპიროზის ქაღალდში თუთუნი უნდა გამეხვია მოსაწევათ, მოდუნებული თითები ვერ გავანძრიე, თუთუნს ქაღალდი ვერ შემოვაკარი. უძლურათ ვანძრევდი თითებს და პაპიროზს ვერ ვაკეთებდი.

სიძნელე მუშაობისა იმაში გამოიხატებოდა, რომ მეორე განყოფილება მოითხოვდა ყუთები მალი-მალ მიგვეტანა. მაგრამ პირველი განყოფილება არ ჩქაროობდა. ჩვენ ვიდექით რომელიმე მუშის გვერდით და შევყურებდით, როდის დაგროვდებოდა ათი ყუთი, რომ მაშინვე გაგვერბენინებია მეორე განყოფილებაში. მეორე განყოფილება გვაჩქარებდა, დაგვიანებისთვის გვაგინებდა.

ამ განყოფილებაში უფრო მეტი წილი შეუგნებელი მუშებისა იყო. პირველში კი, ბევრი იყო ჩვენი ორგანიზაციის წევრი. აქ გვიცნობდენ. გვეალერსებოდენ — მეორე განყოფილებაში გასვლა გვეზარებოდა.

საკვირველია, — პირველი დღეები მუშაობისა გატაცებით და აღფრთოვანებით სავსე იყო. ვმუშაობდი, — გმირათ მიმაჩნდა თავი. შავი ხალათი და ჩუსტები მახალისებდა. დილით, საყვირის ხმაზე, სამუშაოზე მივდიოდი, როგორც მოშივებული ხბო მიხტის დედის ძუძუსთან. მივესწრაფოდი ქარხანაში და მიხაროდა, როცა დაყურსული პატარა მანქანები ამოძრავდებოდენ, სიცოცხლეს ქმნიდენ და მუშებთან ერთად, როგორც ცოცხალი არსებანი ხვნეშოდენ, ოხრავდენ, ხრიალებდენ და გუგუნებდენ...

თითქოს დღესასწაულია — ცეკვა, სიმღერა, ყიჟინი და გაძახილი, ერთმანეთშია არეული. თუნუქის თეთრი ნაჭრები ილუნება, მანქანის რკინის სალტეებით ერთმანეთს უერთდება, კავშირდება და ყუთებათ, ერთი მეორეზე ეწყობა.

აქ არის შრომა პატიოსანი, მუშაობა, ოფლი და შრომის ნაყოფი. აქ, დახუთულ ჭერის ქვეშ, ვიწრო ფანჯრების შიგნით, მუშები ჰქმნიან სიმდიდრეს. მოლუნული და ოფლში გაწურული ის აწვდის ქვეყნიერებას თავის ნაყოფს. ხოლო იქ, მაღალსა და განიერ ფანჯრების შიგნით, განცხრომაში წამოწოლილი ვინმე, უსინდისოთ სარგებლობს ამ ნაყოფით და სხვის მიერ შექმნილ სიმდიდრეს, თვით ისაკუთრებს...

საღამოს, როცა ბინდი მოიცავდა ქალაქს და მე ამბაკოს მეოხებით მუშების წრეში მივდიოდი, სადაც პატარა დაბალ ჭერთან ოთახში რვა რწყვილი თვალი მუშებისა მიცდიდა, რომ გაეგონათ ახალი სიტყვა თავის ცხოვრების, მისი გაუმჯობესების და მტრებზე გამარჯვების შესახებ — ჩემი გული ჩქროლავდა. მაშინ ამბაკოც მხიარული იყო.

— ემატება, ემატება ჩვენს რიგებს, ხომ იცი!.. მერე, რა ხალისით მოდიან წრეში! მაგენი ყველა სოფლიდანაა ჩამოსული... გაჭირვება ძმაო, დიდია სოფელში, ხომ იცი! სწავლა სწყურიათ! რასაც მოჰკრავენ ყურს, მაშინვე ხვდებიან! მარა, წიგნი არაა ასეთი ჩვენ რომ გვინდა, ხომ იცი, თვარა ასთე მალე განვითარდებიან, რომ გაგიკვირდება!..

— ჰო, წიგნის მოთხოვნილება დიდია... ქართულ ენაზე კი წიგნები არა გვაქვს!

— ისთე გატაცებით გიგდებენ ყურს, ხომ იცი, თითქო ჩაყლაპვა უნდოდეთ შენი! თვალები ბზინავს და გული სცემს... მერე ერთმანეთში დეიწყებენ კამათს. ყველა თავისებურათ ხსნის შენს ნათქვამს და უხარიათ, რომ რაცხა ახალი შეიძინეს. რატომაა ასე ყველაფრით დაინტერესებული ჩვენი კაცი?

— გურულები ცოცხალი და თავმოყვარე ხალხია! არ უნდათ ერთმანეთს ჩამორჩენ და ყველა ცდილობს წინ წავიდეს... სოფლის გაჭირვება ხალხს ქალაქში ერეკება, ქალაქიც არ იძლევა არაფერს. გამოსავალს ეძებენ... ჩვენც ამის გზას ვიძლევით!

— კაია, კაი ჩვენი საქმე, ხო იცი!..

ყოველი ჩატარებული წრე, ყოველი ახალი შეგნებული მუშის შემატება, ორგანიზაციის მოწყობა, ფურცლის გამოშვება, გაფიცვის გამარჯვება — ჩვენ გვამხნევებდა, რწმენას და იმედს გვილვივებდა და ვლამობდით მალე, ერთის დარტყმით გადავსულიყავით აღთქმულ ქვეყანაში.

ყოველ დღიური ცხოვრება კი, თავისი გზით ნელა მიდოდავდა. საყვირის ხმა ყოველ დილით ჩვეულებრივ ახმაურებით მუშებს სამუშაოსკენ მოუწოდებდა.

რატომლაც ჩემი გული სახელს თხოულობდა. მინდოდა ვილაცას დაენახა ჩემი მუშაობა, ჩემი მოქმედება და გამამხნევებელი სიტყვა ეთქვა. მინდოდა ვინმე აღტაცებული ყოფილიყო ჩემი მუშაობით. მინდოდა თანამგრძნობი ყოფილიყო ჩემი და ჩემთან ერთად აფთოვანებული ყოფილიყო იმ გრძნობებით, მე რომ მიზიდავდა.

მინდოდა განმარტოების დროს, როცა ზღვის პირად ტალღების სრბოლას ვადევნებდი თვალს და ჩემს ფიქრებს მის მღელვარებას ვაქსოვდი — ჩემთან ყოფილიყო ის შეუცნობი პირი, ჩემს არსებას რომ ასე სწყუროდა.

მარტობა მაინც მიყვარდა. განმარტოების დროს ვცილდებოდი ხილულ ქვეყანას და ოცნების ქვეყანაში ვცურავდი. აქ მხოლოდ ჩემი „მე" იყო. ჩემთან იყო მხოლოდ ერთი უცხო ვინმე, რომელსაც ვესაუბრებოდი, ჩემს ზრახვებს ვუზიარებდი, ვეალერსებოდი და მისი გულისთვის საგმირო საქმეებს ვასრულებდი, ერთმანეთში ვხლართავდი... და უცხო ვინმე არ იყო ფანტაზიით შექმნილი, არამედ რეალური...

ჩვენი ქარხნის მეორეს ეზოში საცხოვრებელი ბინა იყო. აქ ცხოვრობდა ქარხნის გამგე. მის აივანზე ერთხელ ახალგაზრდა ქალიშვილი შევნიშნე. შავი თმა ყორნის ბრთებივით ყურებზე ჩამოფარებოდა და, — შევხედე თუ არა, შევამჩნიე ისიც ჩემსკენ იმზირებოდა. ამ დროს ეზოში ჩამოაყენეს ყუთებით სავსე დროგი, რომელიც შუაში ჩამოგვეფარა.

უეცრად თითქო თვალთ დამიბნელდა. თავბრუ დამესხა. უცნობ სახეში ნაცნობი სახე გამოკრთა. ერთ ადგილს გახევებული ვიდექი.

„ნუთუ ის არის? მერე, აქ რა უნდა? იქნებ გაიგო ჩემი ამბავი და აქ იმიტომ მოვიდა? იქნებ გამგე მისი ნათესავია? სტუმრათ მოვიდა მასთან და ჩემი შეხვედრა უნდა?.. ის არის ის. — ჩემი ოცნების ასული!... შორიდან მადევნებს თვალყურს...

თვალ წინ წარმომიდგა ბავშობის დრო. მეზობელ ამხანაგის ეზოში რომ ვბურთაობდით, სალაობას და ახტურმას ვთამაშობდით... და ერთ დღეს, თამაშობის დროს, ჩემი მხედველობა მიიზიდა ჩემი ამხანაგის — თავადიშვილის დამ. ჩემსკენ იმზირებოდა, ჩვენს თამაშობას თვალყურს ადევნებდა. თვალი შევავლე მას იმ დროს, როცა ძარღვები დაჭიმული მქონდა და მოკაუჭებული ფეხებით სწრაფად უნდა გავქცეულიყავ, რათა დანიშნულ ხაზიდან წაკუზულ ამხანაგს ზურგზე გადავხტომოდი. ისიც ამ დროს მე მიცქერდა, ერთი წამით ჩვენი თვალები ერთმანეთს შეხვდა. რატომლაც სხეულში ერთნაირი თრთოლა ვიგრძენი, საფეთქელის ცემა, უცბათ მოვწყდი

ალაგს და შურდულივით გადავეცალე ზურგზე — წაკუზულ ამხანაგს. გამარჯვებული მყისვე უკანვე მივბრუნდი და იქით გავიხედე, სადაც თავადიშვილის ქალი მეგულებოდა. მის ბაგეზე ღიმი შევნიშნე.

„აბა, მიტო, შენ თუ გადახტები ასე მარდათ!..“. მიმართა მან ჩემს ამხანაგს — და ჩემსკენ მოიხედა.

ასე იყო მაშინ. და ეხლა, როცა აივანზე შავთმიანი ქალიშვილი დავინახე, სხეულმა კვლავ თრთოლა იწყო.

— ამხანაგო! კრება გვაქვს სასადილოში, თქვენ გიცდიან!..

შემომესმა ნაცნობი მუშის ხმა. ფიქრებიდან ამოვცურდი და იქვე ეზოში, მუშებისთვის გამართულ სასადილოსკენ გავემართე.

ამ სასადილოში კრებები ხშირათ იმართებოდა.

აქ სწყდებოდა საკითხები — მუშებისა და ადმინისტრაციის დამოკიდებულების შესახებ. კრებაზე გამოტანილ დადგენილებას ყველა მუშა უყოყმანოთ ემორჩილებოდა. მოქმედება ერთსულოვანი იყო და ამიტომაც მისი გადაწყვეტილება მუდამ სისრულეში მოდიოდა.

—— : ——

ბრიგადის გამგზავრება ლამისყანაში

გზაში გვაწამა ამინდმა ზამთრის,
შემოეცალა სიმარდე მუხლებს
მაგრამ, წინ მალე, მთაგრეხილ საფრით
მოგვესალმება მუხრანის კუთხე.
თოვლით ნახური მოსჩანს გადალმა
რიგად ჭალა და რიგად ველები,
ჰა, ჩვენც მოვდივართ თემში ქადაგად
დაუთვალავი ბრიგადელები.
ცნობის-მოყვარე მგზავრი ვარ მაინც,
სურვილის ღელვით მივყვები ბილიკს
რომ, განახლების მზემ ლამისყანის
შორეულს მკერდი მაჩვენოს ტკბილი.
ძველთაგან ვიცი, რა მძაფრად სჩანდა
მეზობელ ტომთა სურვილი მტრული:
აქ დაიჭირა ლეკების ბანდამ
გურამიანთა კაცი განთქმული.
ეხლაც დამდეგი მკათათვის დღეთა
შრომის ჟამია შენების რკალში;
გალმა ირტიზით მოსულებს ვხედავ
როგორ იჭერენ გლეხებთან კავშირს.
შემოეფარა მთები, და უხვად
ციხეთა ნანგრევს ვუცქერი მუდმივ,
სადაც კედლებში იზრდება მუხაც
და ფრთა-ონავარ ფრინველთა გუნდი.
მშობლიურ ქალაქს ვადარებ მუხრანს,
ესმოდეთ მინდა ციხეთა რჩენილთ
რომ, აქვე გვერდით, სხვა ცეცხლით ქუხან
ბრძოლები ჩვენი.
ეს ველი მაინც გათავდეს ბარემ,
სურვილის ღელვით მივყვები ბილიკს
რომ, ლამისყანის კომუნა მხარემ
შორეულს მკერდი მაჩვენოს თბილი.

——— : ———

ატენის ხეობაში

— შუალამე გადასული იქნება კიდეც? მერე რა? გუნბეის საგზაოზე გასულმა ხალხმა საათების სათვალავი რალათ უნდა აჟღარუნოს ბორკილებივით! შეხედე, ცის ასპარეზზე თავმომწონე ფალავანივით როგორ მოდის ვაჟკაცი მთვარე! თითქოს განგებ მოეშურება, რომ უფრო საცდუნებელი გახადოს ჩვენი მგზავრობა.

— მაშ ჩვენ მეგობარს დაე უქმად დარჩეს გაშლილი ლოგინი! ჩვენ კი გავუდგეთ ამ გაშლილ გზას — ატენისაკენ...

და მივდივართ ორნი.

გაშლილი გუნება რომ გვაქვს, გზაც გაშლილად მოგვეჩვენება. ნამდვილათ კი მივდივართ ვარაუდით. ჩქარა წავაწყდით ჭაობიან ადგილს, ლობეებს და ჯვარედინ გზას.

აგერ მოიტუზება დედაბერი გიდელით, კოჭობით და უარაქათო ხველებით...

ეტყობა, ქვეყნის სიმშვიდეში უფრო ლრმად არის დარწმუნებული ვიდრე თავის დღეგრძელ სიცოცხლეში. იმიტომ ალარ ეშინია ამ შუალამისას გზისა და მთების, და... მარტოობის.

— დიდედ, სალამი!

შეიძლება ვერხვების ჩრდილს შევყავარ შეცდომაში და ის სრულიადაც არ გვეკუთვნის დიდედათ. მაგრამ მე მაინც უდაოთ ვუწოდებ დიდედას, რათა დარწმუნდეს, რომ ჩვენ არავითარი ზრახვა არა გვაქვს მის სინორჩეზე.

— დიდედ! ატენის გზა რომელი არის?

— აი შვილო ამ გზას დაადექით! ნურც იქით გადაუხვევთ, ნურც აქეთა და მიხვალთ პირდაპირ ატენში.

ჩვენც გავყევით ვენახების ლობეებში ჩახუტულ ნაცარა გზას. დედაბერს კი დავულოცეთ გორისკენ გაშლილი მინდორი.

დაიწყო სოფელი ხიდისთავი:

ვენახი — სახლი — ბაღი.

კიდევ ვენახი — კიდევ სახლი — კიდევ ბაღი.

— მაშ არ ყოფილხარ აქეთ არასდროს? მეკითხება ამხანაგი.

— არა გენაცვა!

— მა როგორი ქართლელი კაცი ხარ, ქართლის გული თუ არ გინახავს?

— ბარემ თავი დამნაშავეთ მიმაჩნია, მაგრამ სად არის სამართალი, რომელიც კაცსა სჯის ასეთ დანაშაულზე!

— არა! შენ მაინც არ გეპატიება. ამდენს დადიხარ, ამდენი კუთხე გინახავს ქვეყნისა და ატენი? მერე ნეტა კურტანივით არ ეკრას ზურგზე გორსა.

— მართლაც ყოველ წელიწადს დამიპირებია რამდენჯერმე, მაგრამ ვერ იქნა და აქნობამდის ვერ მელირსა ამ კუთხის ნახვა. აი ეხლაც მთელი ორი თვეა ვეჩიჩინები ბევრ ჩვენ მწერლებს, მაგრამ რუსთაველის პროსპექტიდან მოშორება ერთი-ორი დღით განა ადვილი საქმეა! ბოლოს როგორც იქნა გამოერია ერთი „გმირი" და აგერ კიდევაც მომდევს გვერდში — ვასო გორგაძის სახელწოდებით.

მოგვწონს ორღობეებში ორის ხეტიალი, შემოდგომის შავგვრემანი ღამე და სადღაც დაკარგულ ხევის ხმაურის მოსასმენად სულგანაბული ბალ-ვენახები.

„ასპროცენტიანი" მთვარე კი ფხიზელ მეველესავით მოგვდევს მაღლით — შორი-ახლოდან. ხანდახან ამოეფარება თეთრი ღრუბლების დაფანტულ ფარას და იქიდან გვითვალთვალებს თავისებურათ. ჩვენც სწორედ ეს გვინდა — უვალ ადგილას გზის გასაკვლევად.

აგერ საწყალი კაცის ვენახი. მაშ ღობედანგრეული რათ არის? ან ვაზები და თვით სარებიც რამ დაგვალა ასე უდღეურივით. მაინც ეტყობა ასხია რამე. მაშ რათ სდარაჯობს ორტოტა კაკლის ქვეშ მისი პატრონი? გაუჩაღებია ძირში რევოლიუციონური ცეცხლი და თვითონაც მისჯდომია საიდუმლო შეფიცულივით.

მაინც გასაოცარია: ღარიბი კაცი როგორ იცნობება აჩრდილზეც, ჯდომაზეც...

— გამარჯობა ძმობილო!

— ...გაგიმარჯოთ...

ეხლა მივხვდი, რომ „გაგიმარჯოზეც" კი იცნობება საწყალი კაცი. რა უცეცხლო პასუხი იყო, მიუხედავად იმისა, რომ მისი მთქმელი ცეცხლთან მჯდომია!

მივდივართ.

მარჯვენა მხარიდან ჩქარა ამოგვედევნა საშუალო გორა (როგორც ეტყობა — თრიალეთის ნაგერალაა). მარცხნიდან კი არ გვცილდებიან ერთიერთმანეთში გადარეული ბალ-ვენახები.

რამდენი გავიარეთ? სამი კილომეტრი? ოთხი? ხუთი? მაგრამ თუ არ დავღალულვართ, რათა გვჭირდება ეს სათვალავი?

ხიდისთავი გათავდა თუ არ გათავდა? გოლიათ კაკლებსა და ვერხვებს იქით ვხედავთ ბაღებს, ვხედავთ ვენახებს, მაგრამ სახლებს კი ველარა. ამ წალკოტს კი ნაპირიდან ნაპირამდის ვერ გადასწვდება თვით მეველის ხმაც ამ წყნარ ღამეში.

ნუ თუ მდინარე ტანა იმოდენაა და თანაც ისეთი ცხოველმყოფელი, რომ ასე ახარებს გულუხვი კაცის სუფრასავით ფართედ გადაშლილ ამ ბალ-ვენახებს?

მაინც აქ ვერა ვხედავთ ჯარისკაცებივით ჩამწკრივებულ ხეხილთა რიგებს. ეს უფრო დღეობაზე ან მიტინგზე შეყრილ ხალხსა ჰგავს. ეტყობა მამა-პაპის ხელით დარგული უწესრიგობა ველარავის დაურღვევია. მაინც გვიამება, რადგან იქ გვეგულება დამკვრახული მტევნები, ლოყაშებრაწული ვაშლები, ნაირ-ნაირი ხილეულობა და მაძღარ შემოდგომის სურნელებით ჩვენც რაღაც საამო სიმშილს განვიცდით.

ტანა მოხერხებულათ ემალება მაძიებელ თვალს ამ სიმწვანეში. მაგრამ მაინც გვესმის ათას ხეებში დაცხრილული მისი ხმაური. მთიდან ჩამოყოლილ ქვების ჯართან განაგრძობს ბრძოლას თუ ალტაცების ღიღინია — ამ ბუნებრივ სიმდიდრეთი გამოწვეული?

ე წინ რამდენი ურმები დაგროვილან! აღზევანზე ხომ არ მიდიან დალოცვილები!

მივუახლოვდით. მრავალ მათგანზე მართლა უძევს დიდრონი ქვები, მხოლოდ მარილის კი არა — უბრალო კლდისა.

ცეცხლიც უნთიათ. კარგია ხელის მოთბობა, და ეგებ გულისაც — გლეხობასთან გაბაასებით.

მივედით, მივესალმეთ. მაგრამ ჩვენი მოულოდნელი მისვლის შთაბეჭდილებას ანელებს ერთი ოსის მეტად „მეგობრული და მშვიდობიანი“ ჩხუბი ქვების წამლებთან.

— ჩემი თავი გენაცვალოს გიორგი! მე სულსაც არ დაგიჭერ! გინდა სულაც წაიღე ეს ქვები! მაგრამ მაინც რამდენიმე ჩემი ქვა დაგიდიათ და ეგ ვერ არის კარგი.

ქვების წამლებიც იმავე კილოთი უპასუხებს:

— კოლა, კოლა! ნუ კი გაჯავრდები კაცო!

— კოლას თავიც გენაცვალოს, მაგრამ ჩემი ქვები მაინც არ უნდა დაუდოთ. მე მთელი კვირა მიმუშავია მაგაზე.

გიორგი კი გასძახის მეურმეებს:

— ეე, ბიჭებო! კოლას ქვებს ნუ ახლებთ ხელსა კაცო! შენ კი ჩემო კოლა, ქვამა ქვის მეტი რა იცის! აი, რომელიც გინდა წაიღე სამაგიეროთა.

ამ „მეზობლური სიყვარულობით" აღსავსე დავამ ჩვენ წასვლამდის გასტანა. პასუხისა და პასუხს შუა კი ჩვენც მოვასწარით რალაცის გამოკითხვა.

ეს გიორგი როგორც ეტყობა კაი ლონიერი კაცი უნდა იყოს ხიდისთავიდან. ოცამდე ურემი წამოუყვანია და ეზიდება შენობისათვის აქვე მონგრეულ სამასალო კლდეს.

— თითო ურემში რას აძლევ ქირას?

— არაფერსა. ეს მეზობლურათ მეხმარებიან. სოფელში ასე ვეხმარებით ყოველთვის ერთიერთმანეთის ამნაირ საქმში.

— თუ კი აგეთი გამტანობა გაქვთ — მაგას რალა სჯობია!

— აბა სოფელი როგორ იცხოვრებს! ქირით რომ ავიყვანო, უფრო იაფიც დამიჯდება, მაგრამ როგორც მიღებულია, არ ეალატება ესეთ სასოფლო ჩვეულებას. აი ეხლა სახლში ჭედილა იკვლის. ოთხი-ხუთი კოკა ღვინოც მზათ არის. აგრეთვე სხვა ხორაგეულობა. წამოსვლის დროსაც კარგათ გავუმასპინძლდი, მაგრამ რა ვუყოთ, ასეა წესი. მეტი იხარჯება მაგარამა, მე მაინც მეზობლურ დახმარებათ ჩაგითვლია ეს. თქვენ სადღა მიემგზავრებით, თუ უკაცრავად არ ვიქნებით?

— ატენისკენ.

— ვისთანა?

— არავისთან.

— მა?

— ისე. სანახავათ მივდივართ.

— ეგ კი კარგი ბრძანებაა, მაგრამა მაინც ისე რამ გაგიჭირათ, რომ ამ ღამიანათ...

— გასაჭირი აქ არაფერია ჩემო კარგო. ეხლა ღამიანა ვნახავთ აქაურობას, ხვალ კიდევ დღის სინათლივ და ატენის ხეობაში მეტი სიმდიდრის საპოვნელად არც წამოვსულვართ.

— კაი სიტყვაა, კარგი, ჩემმა მზემა! მაგრამ მაინც თუ არავინ არა

გყავთ, ისე როგორ იქნება! სხვა არა იყვესრა პურის ჭამა მაინც არ გინდათ?

— რა ვუყოთ! კოოპერატივი ხომ არის?

— ატენში? არ არის.

— როგორ? იმოდენა სოფელში მართლა არ მოიპოვება კოოპერატივი?

— არა მეთქი! შე კაი კაცო რა მაქვს მოსატყუარი! აქ კი არის, აგერ ცოტა იქით, „ზაოტში“.

— როგორ „ზაოტში?“ განა აქ ქარხანა არის რამე?

— არა, ქარხანა კი არა, სოფელსა ქვია „ზაოტი“. წინეთ აქ სახერხი ქარხანა იყო და იმიტომ დაარქვეს ეგრე.

— გარდატენი ხომ არაა?

— არა! გარდატენი კიდევ იქით არის.

— როგორ? ქვეყანაზე განა სახელი გამოილია, რომ სოფელს „ზაოტი“ არ დაარქვათ?

— ენგრეა, რაუყოთ!

(ამ ოცდაათი წლის წინედ საექსპლოატაციო მიზნით ამ ატენის ხეობაში დაახლოებით ოცდაათ კილომეტრზე გაყვანილი იყო ვიწრო ლიანდაგიანი რკინისგზა. ამ გზით გაზიდეს თრიალეთის მთების მდიდარი ტყეები. სანაცვლოდ კი დასტოვეს სოფლის ეს უმსგავსო სახელწოდება — „ზაოტი“. თითქმის ოც წელიწადს იყო დაუქმებული ეს რკინისგზა. ამ სამი-ოთხი წლის წინედ კი სულერთიან აჰყარეს — თავმოგიჟიანებულ ტანისაგან მრავალ ადგილს გაოხრებული).

— გიორგი, კაცო, სკოლა მაინც არ არის ატენში?

— მე მგონი არც სკოლა არის. და გინდაც იყვეს — თქვენ რა მერე? სკოლაში ვინ გაგიწევთ სტუმარ-მასპინძლობასა.

— მასწავლებელი ხომ იქნება კაცო! ან ავსა ვკითხავთ, ან კარგსა სოფლის შესახებ, ხალხის შესახებ და ასე გავიკვლევთ გზასა.

— არა ჩემო ძმაო, ეგრე ალალბედზე სიარული უცნობ სოფელში არ ვარგა. მოდი ისევ მე გაგიწიოთ პატარა სამსახური.

— ამ გზასა და გზას შუა ეგები შენ გამოგვადგე გაჭირების ტალკვესად, აბა ჰა!

— გარდატენში ერთი კაი ძმაკაცი მყავს — გიორგი ჭიხლაძე. იმასთან მიდით ჩემი სახელითა და როგორც დაგიხვდეთ — ყაბული გქონდეთ.

— ვინ არის ე ჭიხლაძე?

— თქვენ მიდით იმასთანა და ვინც არის, მერე დააფასეთ. ხო-

ლოთ კი უთხარით: ხიდისთაველმა გიორგიმ გამოგვგზავნა შენთანა თქო.

ამ გაჭირების დროს ერთგულათ ჩავიწერეთ მეხსიერებაში. გიორგი ჭიხლაძე.

სამყაროს „ზაჰესით“ გადმოკიდული ელექტრო-მთვარე უკვე ცის საქოჩრიდან დასჩერებია გულიმა წაქცეულ, დაქანცულ ქვეყანას.

ჩვენ წინ აღმართულა მკერდმომსხვრეული გორა. ეს მისი წიბოს ბარაქიანი ნამტვრევებია ურემზედ რომ ულაგებენ. აქედან მორღვეული უშველებელი ოთხკუთხი ქვები ციხის ბალავარათაც გამოდგებიან არამც თუ გლეხის ნამშრალისათვის. თრიალეთის ტყეების მოსპობის შემდეგ ეს მცირე შვებას არ წარმოადგენს მახლობელ სოფლების მშენებლობაში.

— ხომ ქარი ამოვიღეთ, ხელიც მოვითბეთ. გიორგი ჭიხლაძის გზა-კვალიც ვისწავლეთ! მაშ განვაგრძოთ გზა.

— მაშ გამარჯვებით გიორგი!

— გზა მშვიდობისა გენაცვა!

— თუ დრო გვექნა, ეგებ შენც დაგეცეთ ხვალ ხიდისთავში!

— ჩემი თავი თქვენ გენაცვალოთ! თუ კი ეგრე პატივსა მცემთ, ვინ შერცხვენილს არ გაეხარდეს!

გავუდექით გზას. უკანიდან კი ისევ გვესმის მზრუნველი ხმა გიორგისა:

— არ დაგავიწყდეთ — გიორგი ჭიხლაძე!

ნუ გეშინია ჩემო კარგო! გაჭირვება არ დაგვავიწყებს!

ვასო ნამდვილ პოეტობას იჩენს ამყოლობით, გუნებით, გარემოს შეფასებით.

ყველაფერი იცხრილება სილამაზის სხივებში და გვენანება, რომ აქნობამდის არ ვყოფილვართ აქ. გვენანება, რომ მარტო ორნი ვართ.

*
* *

ტანას გალმა წამომჯდარა ორი მდევი, ორი გორა. იმათ შუა ძლივს ეტევა პატარა სოფელი. არ ვიცით, რა ჰქვია. რუქიდან კი რომ გვახსოვს ან ტინობია, ან გარდატენი, ან შეიძლება ლურჯი საყდარიც.

თუ დღის შუქზედაც ისეთივე მიმზიდავია ეს სოფელი, როგორც ღამე — ვნანობთ, რომ არა ვართ იქაური მაცხოვრებლები.

მთელ სოფელში მხოლოდ ერთგან ციალებს ცეცხლი და ის გვესახვის პოეზიის რაღაც კანდელათ. თან გვინდა გამოვიცნოთ: ეს

მარტოხელა კანდელი რისთვის ანთია ასე ნაგვიანევათ? სიხარულით თუ სიმწუხარით?

გავიარეთ კიდევ სოფელი. მივდივართ პირდაპირ.

„აზრუმი არ მინახავს, მაგრამ აზრით კი ვიცი“. ატენი არ გვინახავს, მაგრამ მაინც ვიცნობთ მას: იქ უნდა იყოს სიონის ტაძარი და დიდი ციხე. ჯერ არც ერთია და არც მეორე. მაშ ვიაროთ!

ჩვენ ვიცქირებით გალმა-გამოლმა. გულდაგულ ვეძებთ ატენის თავისებურ ვენახებს: კლდეებზე გაშენებულს, კიბე-კიბე აყოლილს. დედისერთა თუ ქვეყნისერთა მთვარე თუმცა გულუხვად ჰხარჯავს თავის შუქს, მაგრამ...

აგერ შეგვხვდა ახალგაზრდა გლეხი. გვეკითხება ვინაობას, მიზეზს აქ წამოსვლისას. ჩვენც გვესიამოვნება მასლაათი: გზას ამოკლებს. დალალვაც შეუმჩნეველი ხდება...

ეს მგზავრი გაგვშორდა. ახლა მეორე წამოგვეწია.

— სადაური ხარ?

— ატენელი.

— მაშ ერთად ვიაროთ?

— ვიაროთ!

ცოტახანს მივდივართ ჩუმათ. ვეძებთ ერთმანეთის მისადგომ საბაბს.

ჩქარა უკვე გაიდო ხიდი.

— არა, მეგობარო, მაინც რას უნდა მიეწეროს? საქართველოს არსებობაში ატენის სახელიც იხსენება ძველთაგან ძველათ. მაინც ამ კუთხიდან მოფალავნე ვინმე ჯერ არავინ გამოსულა. აი თუნდა ამ ახალ დროებაში ერთი არავინ შემხვედრია დაწინაურებული — ამ სოფლიდან გამოსული. რა მიზეზია?

— რა ვიცი. ჩვენსა საერთოდ არ არის ნასწავლი ხალხი.

— რატომა მერე? რა უშლის ხელსა?

— სწავლასა, ხო მოგეხსენებათ, სიმდიდრე უნდა. ჩვენ კი ღარიბი ხალხი ვართ.

— სკოლა თქვენ არა გქონიათ, კოოპერატივი არა გქონიათ! მა რალა ხალხი ხართ ამ დროებაში?

— ბარემ კარგია რო გვქონდეს, მარამა...

— არც კოლექტივი გაქვთ რამე?

— აჰ! ეგეთი რამე სად გაგვაჩნია!

— რათა? ეგრე მდიდრები ხართ განა?

— რა ჯანაბამ გაგვამდიდრა! რალაცა თითო დღის ვენახი თუ გვაქვს — ეს არის ჩვენი წლის მოსავალი.

— სახნავ-სათესი?

— სად გაგვაჩნია! კი მოგვეპოვება ნახევარ დღისა ან თითო დღისა ზევით, შორს, მაგრამ იმითი როგორ წავა ოჯახი იოლათა!

— მა როგორ გამოდიხართ?

— ცოტა ღვინოსა ვყიდით, ცოტას ვმუშაობთ გარეთ, ცოტას ვიჭირვებთ და ასე მივდივართ იოლათა.

— მა ამ ახალი დროებითა ლამის ქვეყანა გადაბრუნდეს და თქვენ სულ არაფერი არა გცხიათ იმისი?

— რატომ! აი, ახალი გზა კეთდება ახლა, ამაში ძაან გვეხმარება მთავრობაი.

მართლაც მივადექით ტანას ნაპირად ჩამოყრილ უზარმაზარ კლდეებს. გაზაფხულით გადარეულ მდინარეს მრავალგან გაუწყვეტია წელში მის გვერდით მიმყოლი გზა და გაძნელებულია მიმოსვლა. ეხლა უფრო ზევით გაჰყავთ საფუძვლიანად და ეს კლდეებიც იქიდან არის აფეთქებით გადმონგრეული.

გადავედით კლდეებზე. აქ უკვე იწყება ნამდვილი ატენური ვენახები. აგერ ციხეც გამოჩნდა მთასა და მთას შუა მარტოხელად ამართულ გორაზე.

ჩვენი თანამგზავრი გლეხი სწუხს ჩვენს უბინაობაზე, მაგრამ...

ჩვენ ვამშვიდებთ, რომ არც ისე უთვისტომო ვართ. ჩვენ იქა გვყავს „კარგი ნაცნობი“ — გიორგი ჭიხლაძე.

— ჰოო! გიორგი ჭიხლაძე — ის კი დაგიხვდებათ! ის ძველია, ძველი! ყოჩალიც არის და წელიც მოსდევს შვილოსა.

იმდენი ქება გვესმის, რომ ჩვენ უკვე აღტაცებაში ვართ ჩვენი უცნობი მასპინძლით — ამ გიორგი ჭიხლაძითა.

*

* *

სოფლის თავში ჩვენ და ჩვენი თანამგზავრი დავშორდით ერთმანეთს.

როგორც ეტყობა — თვითონ სოფელი ატენი არ არის დიდი. თვალის გადავლებით — ორმოცდაათი-სამოციოდე კომლი იქნება. ტანას მარცხენა ნაპირზე ჯერ ვენახები შეფენილან და მხოლოდ იმათ ზევით მიკუნტულა სოფელი — მთების ძირას.

იქით, ხევის სილრმეში უკვე მოვკარით თვალი სიონის ტაძარს. მისი მძიმე აღნაგობა თითქოს უფრო ქვესკნელისაკენ მიიწევს, ვიდრე ზესკნელისაკენ.

სოფელს სძინავს. ვერავის კარებს ვერ დავაკაკუნებთ. უკვე დალალვასა და სიცივესაც ვგრძნობთ. თავშესაფარის საპოვნელად მივდივართ ძველი სიონისაკენ.

გავიარეთ სოფელი. კიდევ ერთი კილომეტრი. შემოვუხვიეთ პატარა გორას და ეკლესიაც იქავე არის.

ჯერ ბნელა. ტაძარს ვერ ვინახულებთ. თან განთიადის სუსხმაც გვაგრძნობინა თავისი ძალა.

ქურდი მწყემსებივით დავიწყეთ ლობე-ლობე სიარული და ჩინჩხვარის კრება. რის წვალებითა და ხელების გლეჯით დავაგროვეთ ერთი ილლია და ეკლესიის გალავანთან გავაჩალეთ ლარიბ ოჯახის საკმარისი ცეცხლი.

გვცივა, გვშია, გვეძინება კიდეც. მაინც ამ წუთის სილამაზე ნატვრის თვალით საპოვნელად წამოგვიდგება. იქ, ქალაქად, თბილ ლოგინში, მყუდრო ჭერქვეშ პოეტების განცხრომით ძილი კი რალაც საგმობელ ზარმაცობად მოგვეჩვენება.

გზამ თანდათან გაიღვიძა. ხეობის ზემოდან მოდიან გლეხები ფეხით თუ ურმით. ხვალ კვირა არის და გორისკენ ეშურებიან ბაზრობისათვის. უმეტეს ნაწილად ოსები არიან, რადგან ატენის ხეობის ზემოთ ნაწილში ისინი სცხოვრობენ.

გვიცქერიან. ბევრს ალბათ ვგონივართ დიდათ მორწმუნე ღამისმთეველნი. ზოგი ეგებ ყაჩაღათაც გვთვლის, ან გიჟათ, ან გზადაკარგულათ...

ჩვენ წინდაწინ მიგვიტევებია ყოველივე ასეთი ცოდვილი აზრი.

ვასო გულმოდგინედ უჩხიკინებს ცეცხლს. არ უნდა მოაწყინოს, რომ თვითონაც არ მოიწყინოს. ფიქრით კი არ ვიცი სად დანავარდობს.

მე კი ვუცქერი იქავე სიონს — მხრებში წაკუზულ დამარცხებული გმირივით რომ გარინდულა. ვუცქერი მას და ამავე დროს კი ვფიქრობ:

ჩრდილოეთის ოკეანეში „კრასინისაგან“ გავლებულ კვალზე...

„საბჭოთა ქვეყნის“ შემოფრენაზე — გასაოცრად დალეულ დედამიწის ირგვლივ...

ვრანგელის კუნძულზე რადიოს შესახებ, რომელსაც შეუძლიან გაიგოს თვით ამ სიონის გუმბათზე მჯდომ ჭოტის ყივილიც...

ვფიქრობ საერთაშორისო სოციალისტურ შეჯიბრებაზე, რომ რევ. ანთება გამოიწვიონ მთელ ქვეყანაზე...

ოო! დარწმუნებული ვარ, სიონს ჯერ ამის მსგავსი არაფერი მოუსმენია. ყველაფერი ეს ახალია და გაუგონარი. მის ქანწულობრივ სიძველეში მე ვახდენ ნამდვილ ამბოხებას.

ვინ იცის! ეგები რადიოს ანძაც აღიმართოს იმის გუმბათზე! და მაშინ თვითვე მოისმენს მთელი ქვეყნის გულისცემას ყოველწუთობრივ! და ეგებ ამ რადიოს ანძამ თვით იგიც დაიცვას დროის სიმუხთლის შემოტევისგან!

ოო! ეხლა შემიძლიან ვსთქვა, რომ სიონი აღარ არის ჩამორჩენილი ამ დროებიდან. მე ავიღე მასზედ შეფობა, რომ გავაცნო ამ ცხოვრების ძლევამოსილ სასწაულობას.

...თან გულში ვსვამ ატენურ მაჭრით — როალდ ამუნდსენის შესაწყალობელს...

აგერ მოვიდა ორი გლეხი ხელის მოსათბობად. ურმები იქავე გააჩერეს. საქონელიც ქედს დაასვენებს.

რა კაი მადლსა ვშვებით მე და ვასო ამ უდღეური ცეცხლით ამ შუა გზაზე!

დაქანცული მთვარე უკვე გადაიძლია დასავლეთისკენ და მახლობელ მთის თალხი კალთა გადმოაფინა ჩვენ სამფლობელოს.

მაგრამ აჰა, განთიადმაც შემოუსია თავისი აგიტკოლონები ცასა თუ მიწას და შერცხვენილი მთვარის შუქიც თანდათან იკარგება დღის მოვლენაში.

„მზეო ამოდი, ამოდი, ნუ ეფარები გორასა!..“

ოო! ნუ თუ ასე მოსანატრია ეს დალოცვილი — თორმეტი საათის განმავლობაში!

მაშ რა ჰქნან სამი-ოთხი თვის განმავლობაში ჩრდილოეთის ყინულებში დაკარგულმა რაინდებმა?

მაგრამ მე და ვასო რაინდობას ხომ არ ვჩემულობთ!

„მზეო ამოდი, ამოდი, ნუ ეფარები გორასა!..“

და აჰა, ჩვენს ნატვრასთან ერთად აღმოსავლეთის ცხოველმყოფელი სინათლეც თავს შემოევლო ქოჩორა ქედებს.

სიონს გარშემო ავლია ძველი გალავანი. სჩანს ნიშნები კოშკებისა და პალატების.

თვითონ ტაძარი კოხტათ არის მოკალათებული კლდის ფერდზე მერცხლის ბუდესავით მიკრულ პატარა ვაკეზე. ორი მხარედან კი გაქცეულ კალმახისავით ჩაუდის მოცელქე ტანა. ძირს, მდინარის გალმა და გამოლმა შეფენილია ბალ-ვენახები.

იშვიათი გადასახედია ეს გალავანი. მუნჯსაც კი ორატორობა მოუნდება ამ ადგილიდან.

ტაძრის კედლები ისევ მთელია. მაგრამ განძარცულია ყოველგვარი სამკაულიდან და შელახული ათასგვარი მოვარჯიშესგან — ანაბანაში.

სიძველეთა და ისტორიულ ძეგლთა დამცველ კომიტეტს ალბათ მაშინ მოაგონდება მისი კარის გამოხურვა, როცა ალარაფერი იქნება გადასარჩენი.

გამოვბრუნდით სოფლისაკენ. გვშია. გვენატრება ატენური ღვინის ან მაჭრის გემო. მაგრამ მზის ამოსვლაზე რომ აგვიხდა ნატვრა, განა აქაც შეგვისრულდება!

მალლა გორიდან ფრთებდაკეცილი არწივივით გადმოიყურება ძველი ციხე. ბარემ კარგია იქ ასვლა. ვახუშტი ამბობს — იქიდან მთელი ქართლი იხედებაო. მაგრამ გული ველარ უძლებს ეგეთ სიმალლეზე ასვლას. ეხლა კი ველარც მუხლი გაუძლებს ამ მოქანცულ ლამისთევის გამოვლის შემდეგ.

გავიარეთ უკან სოფელი. მივსდევთ ვენახებს გვერდში. სწორედ ეხლა ვამჩნევთ ატენის ამ თავისებურ სიმდიდრესა და სილამაზეს.

რა მოვლილი ვაზებია! ეტყობა პატრონს ამათზე ამოსდის მზე და მთვარე. მათ შეხედულობაში სჩანს, თუ რა აზიზათ უყვარს იგინი. ამ კოპწია პატარძლებსაც უხვად აუკინძიათ ხელში დატიკნული მტევნები და პატრონის ხელით დღედღეზედ ელიან ჩამორთმევას ამ საინტარო ტვირთისას.

ჩვენ ალტაცებით მივჩერებივართ ლობეს იქიდან. მაგრამ ვენახშიაც რომ ვიყვეთ, მაინც დაგვენანება მათი მოწყვეტა. ასეთ სიმშვენიერეს ხელშეუხებლად გვინდა ვუცქიროთ — ასე გვიკარნახებს ჩვენი მშიერი ალლო და გუნება.

ეხლა ვრწმუნდებით, რომ ტყუილად არ ყოფილა გავარდნილი სახელი ატენური ყურძნის და ღვინის. ეს არის შედეგი საგანგებო მყუდრო ბუნების, აქ თავისებურ დაჯიშებულ ვაზის და გლეხობის იშვიათი მზრუნველობისა.

ჩვენ მაინც ისე ვბრუნდებით უკან ამ ქართლის მარნიდან, რომ ხემოთ არ გვინახავს არცერთი ყლუპი ღვინო, არცერთი მარცვალი ყურძენი, არცერთი ლუკმა პური.

ეს არ ვიცი --- ჩვენ ბაიყუშობას მიეწეროს თუ აქაური მცხოვრებლებისას.

აგერ ჩამოვიარეთ ისევ გარდატენში. აქ მოგვაგონდა ჩვენი გიორგი ჭიხლაძე. ვიკითხეთ. მიგვასწავლეს. აქაც გვითხრეს ქება მის პურმარილზე.

ჩვენ გავსწიეთ გულდაგულ. შორიახლოდან უკვე დაგვანახვეს იმისი სახლი. ქალი დადის აივანზე. კაცი არვინა სჩანს. უხერხულობა ვიგრძენით. თან ძალიან გვეინტერესება არა გამასპინძლება, არამედ ამ კაცის გაცნობა.

უხერხულად მივტრიალ-მოვტრიალდით კოოპერატივის წინ და ბოლოს გავსწიეთ ისევ გორისკენ.

— ისევ დანგრეულ გორში ამოვივსოთ მშიერი ფერდი, ჩემო ვასო.

მივდივართ დალლილ-დაქანცული. ფეხები უკანა გვრჩება. აგერ წამოგვეწია ერთი მოხუცი.

— გამარჯობა ძიაკაცო!

— გაგიმარჯოთ, გაგიმარჯოთ!

— ატენელი ხარ, ძიაკაცო?

— დიახ, ატენელი ვარ!

— ერთი მითხარი ძია, თუ ხათრი გაქვს: ბავშვი არავისა ჰყავს მოსანათლი ამ ახლო-მახლო?

მოხუცი გაოცებული მოგვჩერებია. ვერ გაუგია, ხუმრობაა თუ მართალი — ჩვენი შეკითხვა.

— ძია, მართლა გეკითხები: აქ ბავშვი არავისა ჰყავს მოსანათლი?

— როგორა კაცო! სად გაგონილა სოფელ-სოფელ სიარული და მოსანათლი ბავშვის ძებნაი?

— გაჭირება გვაძებნინებს, რა ვუყოთ!

— როგორ გაჭირებაი?

— წინანდელს თავი დავანებოთ, მაგრამ ეხლა მაინც მთელი დღედა-ღამე იმის ნატვრაში გავატარეთ — ნეტავი ერთი ჯერ ატენი გვაჩვენა და მერე ატენური ღვინის გემოო. ატენი კი ვნახეთ, როგორც იქნა, მაგრამ ატენურ ღვინის ნახვას კი არაფერი ეშველა. მოვუნათლავთ ვისმეს შვილსა და ისე როგორ დაპურძვირდებიან, რომ ერთი სადღეგრძელო აღარ დაგვალეინონ ახალი ნათლულისა!

— რახან ეგრეა, შე დალოცვილო, მე მყავს მოსანათლი ორი შვილიშვილი.

— მაგას რაღა სჯობია ამ ქვეყანაზე. ნათლიებიც აგერ ვართ აქა, ჩვენი ფეხით მოსული.

მოხუცმა უნდობლათ ჩაიცინა. ჩვენც გვეცინება ძალაუნებურად.

— თქვენა ხუმრობთ შვილო...

— კაცო ნათლობაზე სიცილით უნდა დაგელაპარაკოთ, აბა ტირილით ხომ არა!

— მართლა ამბობთ?

— მართლა!

— მაშ გამობრუნდით!

—სადა?

— ატენში.

— მართლა. თუ კი მე მჯერა თქვენი, რატომ თქვენ ალარ უნდა დაიჯეროთ ჩემი?

— აბა, წავიდეთ მაშა!

ისე მოგვეწონა ამ მოხუცის ამოლებული ხმალივით დახვედრა, რომ ალარ გვენანება უკვე გამოვლილი ხუთიოდე კილომეტრი. დალალვაც დაგვავიწყდა და გავყეთ გამხიარულებული გუნებით ჩვენ მოულოდნელ „ნათლი-პაპას“.

— ჩემო ვასო! მე როგორც ვატყობ — ხუთწლიან გეგმასავით სრულდება ეს ჩვენი ატენური ნატვრა!

ისაკა ბოსტაგაშვილი!

აი თურმე ვინ ყოფილა ჩვენი ატენელი მასპინძელი და ჩვენ კი საგანგებოთ ვეძებდით გიორგი ჭიხლაძეს.

ჩვენ უკვე გავაბით მამაშვილური საუბარი ოჯახურ ავ-კარგზე. გარეშე პირი ვინ გაიგებს, რომ ჩვენ რალაც ნახევარ საათის ნაცნობი ვართ და არა მთელი სიცოცხლისა.

ძია ისაკომ ხელდახელ მეზობელს გამოართვა ორი ახალ-ახალი დედას-პური და აგვიყვანა ერთ თავის მახლობელ ვენახში.

კარგზე კარგი მტევნები არ ენანება ამ ოჯახაშენებულს ახლად შეძენილ ნათლიებისთვის.

ყურძენი და პური — მშიერ გუნებაზე — ატენში — ვენახში!

მადა შეეკრას, ვინც ეს სუფრა გასცვალოს რომელიმე სხვა სუფრაზე!

ძია ისაკომ ჩქარა მიგვატოვა ვენახში და თვითონ კი წინდაწინ წავიდა სახლში. ჩვენც შეგვიპირა, ავსულიყავით ერთ-ორ საათში.

ამ ვენახში ყოფნით ჩვენ გადავსცდით მთელი ღამის განმავლობაში წამოცდენილ ყოველივე ნატვრას. ამჟამად ტფილისში ჩაკეტილ ჩვენ მწერლებს დაე შეხარბდეთ ორი ტლუ კაცის ასეთი განცხრომა ნანინანატრად ახდენილ სიცხადეში.

ახლად გათიბულ თივაში თვალიც წავატყუეთ ერთი საათით და შემდეგ გავუდექით ჩვენი მასპინძლის სახლის გზას.

ისევ ატენში ვართ.

ძია ისაკო იქვე დაგვიხვდა. წაგვიყვანა ატენის ღირსშესანიშნავ ადგილების სანახავად.

ეს არის აქაური ს ა ც ი ვ რ ე ბ ი.

ვახუშტის კი უწერია ამ საცივრებზე თავის გეოგრაფიაში. ნახვაც გვინდოდა წინათვე, მაგრამ ჩვენმა დაღალვამ აგვახვევინა გვერდი. ეხლა კი გვიხარია, რომ იმათ უნახავად არ გვიხდება უკან დაბრუნება.

ციხე რომ კლდეზეა, სწორედ ამ კლდის ძირში არიან ეს საცივრები:

შიგ კლდეში გამოღებულია პატარა გვირაბები. ამ გვირაბებში შესდგამენ ღვინოს თუ წყალს და სულ ცოტა ხანში ცივდება იგი. ამ საცივრების წინა ადგილი მარნებათ არის გადაქცეული. რამდენიმე ათეულ ქვევრს დაუღია ხახა ახალმოსავლის მოლოდინში.

რაც უფრო ცხელა ზაფხულში, მით უფრო გრილათ ინახება აქ სასმელი.

უწინ ეს თავად ორბელიანს ჰქონია დასაკუთრებული. მხოლოდ გასაბჭოების შემდეგ დაჰპატრონებიან გლეხები.

რაღაცა თავისებური სურნელებაა ამ საცივრებშიც და ამ ცისქვეშ მოქცეულ კოლექტიურ მარნებშიაც.

პირდაპირ გორაზე, სასაფლაოსთან კიდევ ვნახეთ მეორე საცივარი — მაგარ და მკვიდრ სარდაფად აშენებული. მაგრამ აქ საბჭოს თავმჯდომარეს თივა ჩეუყრია. სწორედ ამიტომ ერთი გლეხი აღშფოთებით იმეორებს ერთი ათჯერ მაინც.

— ეს განა დასაუქმებელი ადგილი იყო, ესა?

მართლადაც! თივის ჩასაყრელად განა სხვა ადგილი აღარ მოიპოვებოდა?

აქედან ისაკომ წაგვიყვანა პირდაპირ თავის საცივარში — თავის მარანში:

პატარა ოთხკუთხი ქვითკირი უჭეროთ. მიწაში ჩამჯდარი ერთი ადლის სიმაღლეზე. შვიდი-რვა ქვევრი ჩამძვრალა მიწაში ერთი-ერთმანეთზე უფროს-უმცროსი.

ძია ისაკომ სათითაოდ აგვიხსნა ყველა ქვევრის დანიშნულება:

ეს გასაყიდია, ეს ამა და ამდღეს მოიხსნება, ეს ამა და ამდღეს, ეს კიდევ დღეს მოიხსნება!

და დაგვაყენა ერთი პატარა ქოცოს თავზე.

— მოდი ნათლობა სართვლოდ გადავდოთ და ეხლა კი ეს ჩვენი გაცნობისა იყვეს.

ხელდახელ გამოიტანა სახლიდან თბილ-თბილი პური, დაჭრილი ხახვი და პატარა ჯამი.

დიდის მოწიწებით მოხსნა ქოცოს თავსაბურველი და შემოვუსხედით ირგვლივ.

ძია ისაკოს ეს წინდაწინ დაუწურია მომცდარი ვენახის მოსავალი — ნამდვილი რთველის სახარჯოთ.

თავის ეშხით დამთვრალი მაჭარი რაღაცას ბუტბუტებს ბურანში ჩავარდნილ ლოთი კაცივით.

მოილხინა მასპინძელმა და ჩვენც მოგვალხინა.

მართალია ჯერჯერობით ბავშვები არ მოგვინათლავს, მაგრამ ჩვენ კი გემოზე „მოვინათლეთ“.

ალბათ დიდხანს დაგვრჩება ხსოვნაში ეს თითქოს სადა, მაგრამ ყველაზე მდიდარი დროსგატარება.

შემოდგომა 1929 წელი

——— : ———